რატომ არ არის სოფელ ვახტანგისში მეჯეთი A2
ნუ მერიდებით, ნურც მეფერებით! A3
"საოჯახო ტოტო" – ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 1 მარტი, 2004 წელი. №50 (599) | ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### რევოლუციური ბრწყინვალების უკან

რევოლუციას ყოველთვის ახლავს რომანტიზმის ხიბლი - ხალხი იოლად იჯერებს, რომ ის, რაც ცუდი და უარსაყოფი იყო, სამუდამოდ ჩაბარდება წარსულს. პოსტრევოლუციურ ეპოქაში კი სასურველი თანდათან შორდება რეალურს და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილება ისადგურებს. "ამისთვის ვიბრძოდით?" - ეკითხებიან ერთმანეთს...

A3

## უცხოეთი

### ჯონ კერი ტერორიზმის წინააღმდეგ

მასაჩუსეტელ სენატორს ჯონ კერის, ნოემბრის არჩევნებში ჯორჯ ბუშთან დაპირისპირებას უკვე ბევრი ექსპერტი უწინასწარმეტყველებს. ამით გამხნევებული ფავორიტი, თავის ერთადერთ მეტოქედ აშშ-ს პრეზიდენტს აქედანვე მიიჩნევს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს.

A5

## საზოგადოება

### უსახური უკვდავება

საბჭოთა კორპუსები და მათში მცხოვრები რიგითი მოქალაქეები პოსტსაბჭოთა სივრცის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ და, რა გასაკვირია, რომ ჟურნალისტი ამ ორი სამუზეუმო ექსპონატის ბედ-იღბლით დაინტერესებულიყო და ერთი სევდიანი წერილიც გამოექვეყნებინა.

A6

## სამართალი

### თბილისში ბოლო ორ დღეში მომხდარი მკვლელობის საქმეები გაუხსნელია

გუშინწინ, დღისით-მზისით, კოსტავას ქუჩაზე მდებარე სამედიცინო ცენტრის "ექიმი გილის" მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობა ჯერ არ გახსნილა. მოკლულის ვინაობა ორი დღის განმავლობაში დაუდგენელი იყო. გუშინ საღამოს კი სამართალდამცველებმა გარდაცვლილის სახელი და გვარი დაასახელეს.

A7

## საზოგადოება

### სანდრა რულოვსი: "ჰოლანდიაში ცხოვრება გამიჭირდება"

ინტერვიუ საქართველოს პირველ ქალბატონთან ჩაწერილია ბერლინში, საქართველოს პრეზიდენტის გერმანიაში ვიზიტის დროს.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | წვიმა |
| ქუთაისი | 18 | წვიმა |
| ბათუმი | 19 | წვიმა |
| სოხუმი | 16 | წვიმა |
| ფოთი | 18 | წვიმა |
| თელავი | 14 | წვიმა |
| ზუგდიდი | 18 | წვიმა |
| გორი | 12 | წვიმა |
| ახმეტა | 14 | წვიმა |
| ჭიათურა | 14 | წვიმა |
| გაგრა | 15 | წვიმა |
| სამტრედია | 18 | წვიმა |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0275 |
| ევრო | 2.5185 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7709 |
| რუბლი | 0.0711 |

# სიტყვა და საქმე

დავით ზურაბიშვილი

ორი ბათუმელი სტუდენტის დაკავება-გათავისუფლება უკვე ჩავლილი ამბავია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, რომელიც უკვალოდ არ ჩაივლის. ასლან აბაშიძეს პირველად გაუვიდა ახალ ხელისუფლებასთან ის, რაც ყოველთვის გასდიოდა შევარდნაძესთან. ახალმა ხელისუფლებამ ისიც კი ვერ მოახერხა, რასაც ადრე, ხელისუფლებაში მოსვლამდე გაცილებით უკეთ ახერხებდა - საკუთარი აქტივობის შესაბამისი საინფორმაციო გაფორმება.

ეს სტუდენტები რომ უბრალო სტუდენტები არ იყვნენ, არამედ აქტიური მონაწილეები გახლდნენ იმ დარბევებისა, რომელთაც აბაშიძის რეჟიმი ახორციელებს ოპოზიციის წინააღმდეგ, სამართალდამცველი სტრუქტურებისთვის ძალიან კარგად იყო ცნობილი. ამას ადასტურებდნენ "კმარას" აქტივისტები და "ჩვენი აჭარას" წარმომადგენლებიც. მიუხედავად ამისა, ლაშა ჩახვაძე და მერაბ მიქელაძე დარბევებში მონაწილეობის ბრალდებით კი არა, იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს. რაც მთავარია, სამართალდამცველები თავადვე უარყოფდნენ დარბევებში მონაწილეობისთვის ბრალის წაყენების შესაძლებლობას. ისეთი სურათი დაიხატა, თითქოს უდანაშაულო "ბავშვები" პოლიციამ მარტო იმიტომ დაიჭირა, რომ ისინი ასლან აბაშიძის მომხრეები იყვნენ. იარაღის უკანონო ტარების ფაქტი, ბუნებრივია, სერიოზულად არავის მიუღია: პისტოლეტის და ნარკოტიკების ჩაგდება ისეთი გავრცელებული მეთოდია ჩვენს სამძებრო პრაქტიკაში, რომ თუნდაც სიმართლე იყოს, მაინც არავინ დაიჯერებს, მით უმეტეს, როცა საქმე ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ პიროვნებებს ეხება.

გაგრძელება A8 გვერდზე

# ქუთაისელი "კანონიერი ქურდები" სოფლის მეურნეობის დარგებსაც აკონტროლებენ

## ავტორიტეტული კრიმინალების მიერ მემწვანილეობის ბიზნესიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავალი ათობით მილიონ ლარს აჭარბებს

ბექა სისაური
*ქუთაისი*

*რევოლუციამდელ საქართველოში "კანონიერი ქურდების" მხრიდან ბიზნესმენებისა და მეწარმეების "შეწუხება" ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. იმერეთის მაგალითზე აღმოჩნდა, რომ "კანონიერ ქურდებს" იმერეთის რეგიონში არსებული, თითქმის ყველა შემოსავლიანი ბიზნეს-სფერო მთლიანად მონოპოლიზირებული აქვთ. ამასთანავე ირკვევა, რომ მსხვილი ბიზნესის გასაკონტროლებლად ქურდების მიერ ჩამოყალიბებულია მაფიოზური კლანები, რომლებიც მეწარმეების საქმიანობას როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც აკონტროლებენ.*

"შავი სამყაროს" ლიდერები ურჩ მეწარმეებს სასტიკად უსწორდებოდნენ - ქონების დაწვით, ცემით და დაყაჩაღებითაც კი. კონკრეტული ფაქტები, რომელთა შესახებაც ქვემოთ გიამბობთ, დღესაც აქტუალურია.

გაგრძელება A7 გვერდზე



*მწვანილის ბიზნესი.*

# ოპოზიციონერთა პესიმიზმი, შესაძლოა, გამართლდეს

*შვიდპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტების თემა კვლავ აქტუალური ხდება. არ არის გამორიცხული, 1999-2003 წლის მოწვევის პარლამენტს კვლავ მოუწიოს შეკრება და ამ საკითხების განხილვა. თუ, რა თქმა უნდა, ამას საქართველოს პრეზიდენტი მოისურვებს.*

თამარ ასათიანი

სხვათა შორის, ამ ბოლო დღეებში არაერთგზის გაისმა მოსაზრება, რომლის თანახმად, საქართველოში რეალურად არსებობს იმის საფრთხე, რომ მომავალი მოწვევის პარლამენტი ერთპარტიული იყოს. ამ საფრთხის თაობაზე არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით საუბრობენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჟან ბერტრან არისტიდმა ჰაიტი დატოვა

ჰაიტის პრეზიდენტმა, ჟან ბერტრან არისტიდმა ქვეყანა დატოვა, - გუშინ განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ჰაიტის პრეზიდენტი დომინიკის რესპუბლიკაში გაფრინდა და პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნას მაროკოს, პანამის ან ტაივანის ხელისუფლებისათვის აპირებს.

მას შემდეგ, რაც თეთრ სახლში მას ჰაიტიზე სისხლისღვრის პროვოცირებაში დასდეს ბრალი და მოუწოდეს, გადამდგარიყო, არისტიდი გამგზავრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს. "უკანასკნელ დღეებში პრეზიდენტ არისტიდის მიერ მართული შეიარაღებული ბანდები პორტ-ო-პრენსში მოსახლეობასა და შენობებს ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ. ეს თავდასხმები უდანაშაულო ხალხის, ჰუმანიტარული პროგრამებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგ იყო მიმართული.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ჰაიტელები არისტიდის გადადგომას ზეიმობენ.*

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს
## საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას
## მის უდიდებულესობას ქართულ საზოგადოებას

როდესაც თანამედროვე ქართველ მწერალთა სახელით რაიმე ინიციატივას დააყენებს ხელისუფლების ან საზოგადოების წინაშე დღევანდელი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მწერალთა კავშირის ყრილობას

ესწრებოდნენ:

**ხოზე ადეიშვილი, ზაალ ბოტკოველი, რეზო ართილაყვა, ნანა კანდელაკი, ნინო თოფჩიშვილი, ზურაბ თორია, გივი სიხარულიძე, სილოვან ნარიმანიძე, ლილი ბრეგვაძე, მზია ხეთაგური, ლადო მრელაშვილი, ლალი ჯავარაშვილი, ავთანდილ ადეიშვილი, რეზო მიშველაძე, ვაჟა ოთარაშვილი, თემურ შავლაძე, ნინო ქუთათელაძე, ირმა მებურიშვილი, ევგენი აქუბარდია, გენო კალანდია, ბეჟან ნამიჭეიშვილი, ზაურ კალანდია, კობა არაბული, ბაღათერ არაბული, მაყვალა გონაშვილი, ვახტანგ ღლონტი, ბათუ დანელია, ვახტანგ ხარჩილავა, შადიმან შამანაძე, შოთა ხოდაშნელი, ზურაბ კიკნაძე, ვასილ გვეტაძე, ჯემალ ინჯია, ავთო ჩხიკვიშვილი, შოთა ზოიძე, იზა ჯაჭვაძე, შარლოტა კვანტალიანი, ლამარა კიკილაშვილი, გივი კიკილაშვილი, გელა კიკოლაშვილი** და სხვა "ცნობილი" მწერლები, რომელთაც, ხმათა უპირატესობით, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს **მაყვალა გონაშვილი**.

არ ესწრებოდნენ:

**ანა კალანდაძე, ოთარ ჩხეიძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, თამაზ ჭილაძე, ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული, გურამ გეგეშიძე, გურამ დოჩანაშვილი, გივი ალხაზიშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ნაირა გელაშვილი, დათო წერედიანი, რეზი თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, გურამ გვერდწითელი, მაკა ჯოხაძე, ზაალ სამადაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ვაჟა გიგაშვილი, გიგი სულაკაური, აკა მორჩილაძე, დათო მაღრაძე, ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი, ნუგზარ შატაიძე, როსტომ ჩხეიძე, დავით მჭედლური, თემურ დოიაშვილი, ლევან ბრეგაძე, მიხეილ ქვლივიძე, ბაჩანა ბრეგაძე, ირაკლი სამსონაძე, თამაზ ნატროშვილი, იზა ორჯონიკიძე, ნოდარ წულეისკირი, მამუკა წიკლაური** და სხვა "უცნობი" მწერლები.

*საქართველოს მწერალთა ფედერაცია*

# ახალი ხელისუფლება ქართულ ბიზნესს მკაცრი წესებით ეთამაშება

*საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ბიზნესმენებთან ურთიერთობის გარკვევას იწყებს. ერთი-ორი ბიზნესმენი დაჭერილია, ერთი-ორი საწარმო - დაყადაღებული, თითქმის ყველა - შეშინებული, ასე რომ, ურთიერთობის ძველი ტრადიცია, თითქმის, მორღვეულია და ამ ნგრევის შემდეგ, დროა ახალი წესები დამკვიდრდეს. ერთის თქმა ამთავითვე შეიძლება - ახალი წესები საკმაოდ მკაცრი იქნება.*

თამარ ხორბალაძე

ახალ წესებზე პირველი მინიშნება აშშ-ში გამგზავრების წინ გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ბიზნესმენებს მოუწოდა, 1 აპრილამდე წარმოადგინონ "თეთრი" დეკლარაციები, ანუ მათში წლების მანძილზე დაფარული გადასახადები გაითვალისწინონ. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ბიზნესმენებს მათ წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაზე უარის თქმას შეჰპირდა.

მედიის უდიდესმა ნაწილმა ამ ინიციატივას ფინანსური ამნისტიაც შეარქვა, თუმცა თავისი შინაარსით, ამნისტია დანაშაულის პატიებას ნიშნავს, ახალი პრეზიდენტის ინიციატივა კი დანაშაულის "გამოსყიდვას" გულისხმობს, ოღონდ, არა ციხეში აღმოჩენის, არამედ - დამალული გადასახადების გადახდის გზით.

მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას, პრაქტიკულად, არაფერი აქვს საერთო თავისდროინდელ "საგადასახადო ამნისტიასთან", რომლის ავტორიც მიხეილ ჭკუასელი გახლდათ და რომლის დედააზრიც ძველი დავალიანებების პატიება იყო მომავალში "გამოსწორების" პირობით. თავისთავად, ეს ინიციატივა გულუბრყვილოც გახლდათ და არასწორიც, რისმა შედეგებმაც არ დააყოვნა - "პატიების" იმედით, ბიზნესმენებმა გადასახადების გადახდა საერთოდ შეწყვიტეს და 1998 წლის ბიუჯეტიც მაშინ პირველად გაირღვა ყველაზე დიდი ციფრით.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "ხადორჰესი" - პრობლემა თუ პანაცეა კახეთისთვის

*პანკისის ხეობაში ჩინური ინვესტიციით აშენებულმა "ხადორჰესმა" 25-დან 28 თებერვლამდე სემეკ-იდან წარმოების ლიცენზიის მისაღებად საცდელი ტესტირება გაიარა. ტესტირების შედეგებმა დაადასტურა, რომ ჰესს გამართულად მუშაობა შეუძლია. ათ მარტს სემეკ-მა "ხადორჰესის" ტარიფის საკითხი უნდა განიხილოს. ახლა მთავარი ისაა, რომ საქმეს ჩინელ ინვესტორებსა და სემეკ-ს შორის ტარიფთან დაკავშირებულმა აზრთა სხვადასხვაობამ არ შეუშალოს ხელი.*

მაია ურუშაძე

არადა, ასეთი აზრთა სხვადასხვაობა უკვე დიდი ხანია, არსებობს. საქმე ისაა, რომ ჩინელი ინვესტორები "ხადორჰესის" ტარიფის 6,7 ცენტით განსაზღვრას მოითხოვენ. იმ ფონზე, როცა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ელექტროსადგურებზე გამომუშავებული დენის ტარიფი 1,7-დან 2,2 თეთრამდე მერყეობს, ჩინელების მოთხოვნა, უბრალოდ, არარეალურია. მით უმეტეს, რომ ამუშავების შემდეგ, "ხადორჰესის" მიერ გამომუშავებული დენის რაოდენობა, საუკეთესო შემთხვევაში, ქვეყნის მთელი მოხმარების, მაქსიმუმ, ერთნახევარ პროცენტს თუ შეადგენს, ამ ელექტროენერგიის საფასურის გასასტუმრებლად კი ენერგოდისტრიბუტორების მიერ რეალურად ამოღებული თანხების 25 პროცენტი წავა.

ასეთი მძიმე ფონი ჩინელების წისქვილს წყალს ნამდვილად არ ასხამს. მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩინურმა "ენერგომანქანათმშენებლობის კორპორაციამ" პანკისის ხეობაში "ხადორჰესის" მშენებლობა ჯერ კიდევ

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 საზოგადოება
B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 - B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

# რატომ არ არის სოფელ ვახტანგისში მეჩეთი

## სოფლის ქართველი გამგებელი აცხადებს, რომ თანასოფლელი აზერბაიჯანელებისაგან დევნასა და შეურაცხყოფას განიცდის

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე სოფელი ვახტანგისი ოდესღაც ქართველებით იყო დასახლებული. ახლა იქ 49 ქართული ოჯახი და 600-ზე მეტი აზერბაიჯანული ოჯახი ცხოვრობს.

ბოლო პერიოდში აქაური აზერბაიჯანელების ერთი ნაწილი სოფლის ქართველ გამგებელს მარინა ირემაშვილს დაუპირისპირდა. მათი საჩივრის საფუძველზე იანვარში გამგებლის წინააღმდეგ პროკურატურამ საქმე აღძრა, თუმცა მომჩივანები ამით არ კმაყოფილდებიან და ირემაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვენ. დღემდე სამი "იკარუსით" შეიარაღებულმა ვახტანგისელებმა არაერთი მსვლელობა და აურზაური მოაწყეს რაიონის გამგეობასა თუ სამხარეო ადმინისტრაციაში.

ვახტანგისის გამგებელი მარინა ირემაშვილი თავად გამოეხმაურა მასმედიას. ის აცხადებს, რომ სოფელში სიტუაცია დაძაბულია, რომ მისი ოჯახი, ფაქტობრივად ყოველდღიურად, დევნასა და შეურაცხყოფას განიცდის. 46 წლის ქალს, რომელიც 14 წელია ამ სოფლის გამგებელია, 2 წლის ბავშვი ჰყავს და მუდმივ შიშში ცხოვრობს.

რა ხდება ვახტანგისში? ამ კითხვაზე პასუხს სოფლის გამგებელი შორიდან იწყებს:

"ვახტანგისი ერთადერთი აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელია, სადაც მეჩეთი არ არის. აქ არც ქართული ეკლესიაა. მისი მშენებლობა ჯერ კიდევ 1992 წელს დავიწყეთ, მაგრამ კედლების ბოლომდე ამოყვანაც ვერ მოვახერხეთ. ზედ საზღვარზე ვცხოვრობთ, ამიტომ მინდოდა, რომ გუმბათოვანი ეკლესია აგვეშენებინა, რათა საზღვარზე გადმოსული ადამიანი მიმხვდარიყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება.

2001 წლის სექტემბერში ნაზარლოელი ტყუპები (ნათელმხილველებლად ცნობილი ძმები) ცდილობდნენ სოფელში მეჩეთის საძირკველი გაეჭრათ. უკვე ნაყიდი ჰქონდათ ცემენტი, დაფინანსებას რაღაც კუვეიტური ორგანიზაციიდან იღებდნენ. ამ პერიოდში მეზობელ სოფლებში, ქესალოსა და ნაზარლოში უკვე მთავრდებოდა მეჩეთების მშენებლობა. მე მათ მშენებლობის უფლება არ მივეცი და ვუთხარი: ახლა თუ წახვალთ და საძირკვლის ამოღებას დაიწყებთ, სამხედროები მოვლენ და რამე თუ მოხდა, პასუხისმგებელი თქვენ იქნებით-მეთქი. შეშინდნენ და დაიშალნენ.

გასული წლის საარჩევნო მარათონი რომ დაიწყო, გარდაბნის რაიონში მიწების თემა ამ ტყუპებმა ააგორეს, დემოკრატების სახელით გამოდიოდნენ და დაიწყეს მიწების თვითნებურად გადანაწილება თავიანთ სოფელში, ნაზარლოში.

ჩემს სოფელში მათი დასაყრდენი მუზარის მეხრალიევი გახდა. ისინი ვახტანგისელებს ჰპირდებოდნენ, რომ ყველას თანაბრად გადაუნაწილებდნენ მიწას.

დარწმუნებული ვარ, მიწა უბრალოდ საბაბია, სინამდვილეში მეხრალიევს ჩემი თანამდებობის დაკავება სურს. ის და მისი ჯგუფი შეკრებებს აწყობენ და ხალხს ამხედრებენ. ჩემი ინფორმაციით, ჯამალ მურადხანოვი ხელმძღვანელობს ამას. ერთ-ერთ ასეთ შეკრებას ესწრებოდა ორი კაცი აზერბაიჯანიდან გადმოსული, გამგებლის მოადგილე ბაბაევი, რამინ ბაირამოვი - არასამთავრობო. ისინი ხალხს ეუბნებიან: სოფლის მოსახლეობის 95 პროცენტი აზერბაიჯანელები ვართ და გამგებელი ქართველი რატომ უნდა იყოს, ეს სოფელი თქვენია და გამგებელიც თქვენიდან უნდა იყოსო," - ამბობს მარინა ირემაშვილი, რომელიც არ უარყოფს, რომ იჯარით გაცემულ მიწებთან დაკავშირებით დარღვევები არსებობს:

"ერთი პიროვნებაა სოფელში, 170 ჰა აქვს და ისიც აზერბაიჯანელია. იმან ქართველებისაგან, ფირმა "გეო-აგრო"-სგან, ფაქტობრივად, იყიდა ეს მიწა. მე ამას ვეწინააღმდეგებოდი მაშინაც და ახლაც."

ირემაშვილის ინფორმაციით, საიჯარო მიწები ვახტანგისში 12 სუბიექტზეა გაცემული და აქედან მხოლოდ ორია ქართველი. აზერბაიჯანელების საჩივარში კი მხოლოდ გამგებლის მიერ იჯარით აღებული მიწაა ნახსენები.

"რატომ ერთი სიტყვით არ ახსენეს, რომ ყოფილი მეურნეობის დირექტორს სადიკოვს 302 ჰა გაუფორმებელი მიწა თვითნებურად აქვს აღებული, ხოლო 170 ჰა - აზერბაიჯანელ ახპერ ომაროვს. მე 21-კაციან საინიციატივო ჯგუფთან ერთად 50 ჰა იჯარით 1996 წელს ავიღე, ეს ის პერიოდი იყო, როცა მიწისკენ არავინ იყურებოდა და ყველა ვაჭრობაზე იყო გადასული," - ამბობს ვახტანგისის გამგებელი.

ის თვლის, რომ მის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას პოლიტიკური სახე აქვს. იმასაც არ მალავს, რომ პრობლემები სოფელში ყოველთვის იყო, თუმცა 14 წლის მანძილზე ვერც ერთ აზერბაიჯანელი ვერ ბედავდა გამგებლის წინააღმდეგ გამოსვლას და მისი ქართველობის დაწუნებას.

"ამ წლების მანძილზე ჩვენ ვცდილობდით, რომ სასაზღვრო სოფელში მიწა არ დაგვენაწევრებინა და ქართული სული არ დაგვეკარგა.

ქართული სკოლა 1989 წელს აღვადგინე და სამ ბავშვზე პირველი კლასი გავახსნევინე. ამჟამად ვახტანგისის ქართულ სკოლაში 52 ბავშვი სწავლობს და აქედან 25 აზერბაიჯანელია.

ჯერ კიდევ 1997 წელს, როცა სხვაგან მიწებს ყიდდნენ, ჩვენ 300 ოჯახზე იჯარით გავეცით. 1995-98 წლებში სამოსახლო ნაკვეთები დარიგდა და ვახტანგისში 182-მა ქართველმა, ყოფილმა მოსახლემ, მიიღო ნაკვეთი. ეს შეგნებულად გავაკეთეთ, რათა წასული ქართველებისათვის უკან დაბრუნების სტიმული მიგვეცა. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, რამდენიმე წელში საზღვრისპირა სოფლებში ქართული მოსახლეობა აღარც დარჩეს. ისინი იქ ისედაც უმცირესობაში არიან," - ასე აფასებს მიმდინარე მოვლენებს ვახტანგისის გამგებელი, რომელმაც ჟურნალისტებისთვის გულის გადაშლა მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა, როცა მიხვდა, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია მხოლოდ მას არ ეხებოდა.

ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე ქვემო ქართლში მთავარ ლოზუნგად იქცა - დავუბრუნოთ მიწა გლეხებს. მხარის მასშტაბით ათეულობით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა უსამართლოდ გადანაწილებულ საიჯარო მიწებზე. ეს ამ საქმის ერთი, დადებითი მხარეა. სამწუხაროდ, ამ პროცესს აქვს ჩრდილოვანი მხარეც და სოფელ ვახტანგისის გამგებელის ამბავიც სწორედ ამაზეა.

*მაია მოსიაშვილი*

# მთავრობის სხდომა

მთავრობამ გაფართოებულ სხდომაზე ქვეყნის განვითარების კონცეფცია განიხილა, რომელსაც დღეს მსოფლიოს 37 ქვეყნისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებს გააცნობს. საქართველოს ხელისუფლება დონორების დასახვედრად ემზადება.

სახელმწიფო მინისტრის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, დღევანდელ შეხვედრაზე ძირითადი ყურადღება ქვეყანაში მიმდინარე ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე, ეკონომიკური განვითარების პოლიტიკასა და სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე გამახვილდება.

მისივე თქმით, მსგავსი ფორმატის შეხვედრა დონორებთან მაისის ბოლოსთვისაც იგეგმება და მასზე უკვე კონკრეტულად გამოიკვეთება ის პრიორიტეტები, რომელთათვისაც დონორი ქვეყნები სამომავლოდ თანხებს გამოყოფენ.

*ინტერ-პრესი*

# საღამო ამერიკელი ბიზნესმენებისთვის



ინტერ-პრესი

*ამერიკელი ბიზნესმენების საღამო მარიოტში.*

საქართველოში აშშ-ს გავლენიან ბიზნესმენთა 13-წევრიანი ჯგუფი ჩამოვიდა. გუშინ სასტუმრო "მარიოტში" მათთვის სპეციალური საღამო მოეწყო, რომელსაც ქართველ ბიზნესმენებთან ერთად, ხელისუფლების პირველი პირებიც ესწრებოდნენ.

კერძოდ, შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში აშშ-ს ელჩის მოადგილემ პატრიცია მოლერმა განაცხადა, ამერიკელ ბიზნესმენთა ჯგუფი საქართველოში იმისთვის ჩამოვიდა, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს გაეცნოს და სასარგებლო შეხვედრები ჩაატაროს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, კომპიუტერული კორპორაცია "ამერიკა ონლაინის" დამფუძნებლის ჯიმ კიმზის განცხადებით, ბიზნესმენები დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა სფეროებით, მათ შორის - სამხედრო და პოლიტიკურით. "ჩვენ ძირითადად სიტუაციას ვსწავლობთ, რათა შემდეგ გამოვიყენოთ საკუთარი ბიზნეს-გამოცდილება," - აღნიშნა მან.

საქართველოს უშიშროების მინისტრის ზურაბ ადეიშვილის შეფასებით, დღეს საქართველოში "მართლაც სერიოზული მისია" იმყოფება. "შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საქართველო მართლაც გახდება სტაბილური ქვეყანა, რომელსაც ექნება ყველაზე ხელსაყრელი ეკონომიკური სივრცე, ამისათვის კი მნიშვნელოვანია, ქვეყანას კარგი პარტნიორები ჰყავდეს," - აღნიშნა მან.

ხვალ ამერიკელი ბიზნესმენები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდებიან და იაღლუჯას სამხედრო პოლიგონს მოინახულებენ.

*ინტერ-პრესი*

# რატი ალექსიძის ავტომანქანის დაყადაღების მიზეზი გაურკვეველია

ფეხბურთელ რატი ალექსიძის ავტომანქანა, რომელიც გუშინწინ მფლობელმა თბილისში, "მშრალ ხიდთან" ნახა (მას უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას მძღოლი მართავდა), გენერალური პროკურატურის გამომძიებლის, მამუკა გვარამიას განმარტებით, უკანონო განბაჟების გამო არ არის ამოღებული. "რატი ალექსიძეს ავტომანქანა სულ სხვა საქმის გამო ჩამოართვეს," - აცხადებს გამომძიებელი, თუმცა ამ მიზეზს არ ასახელებს.

შეგახსენებთ, "ბმვ X-5" მარკის ავტომანქანა რატი ალექსიძეს თვენახევრის წინათ ჩამოართვეს, დალუქეს და უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოში (ვაჟა-ფშაველას გამზირი) დააყენეს. ამის შემდეგ ავტომანქანა გენერალური პროკურატურის საჯარიმო ავტოსადგომზე გადაიყვანეს. ამ პერიოდში ავტომანქანის მფლობელი საქართველოში არ იმყოფებოდა. ავტომანქანა შეცვლილი ნომრებით გუშინწინ რატი ალექსიძემ და მისმა მეგობრებმა იპოვეს, მძღოლი ავტომანქანიდან გადასვეს და პროკურატურის მიერ დაყადაღებული მანქანა საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს.

უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა აცხადებს, რომ ავტომანქანა ოპერატიული ნომრებით მოძრაობდა უშიშროების სამინისტროდან გენერალური პროკურატურისაკენ. უგულავას თქმითვე, ავტომანქანა 27 თებერვლის საღამოს უშიშროების სამინისტროში გაიგზავნა "ოპერატიული ნომრებით". "ეს ავტომანქანა უკანონოდ განბაჟებულია და იგი ესპანეთშია მოპარული," - აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე. გუშინწინ, გენერალურ პროკურატურაში რატი ალექსიძე უკვე დაკითხეს. "რადგან უგულავას განცხადების შემდეგ, რეალურად იდგა ალექსიძის დაკავების საშიშროება, მან დაკითხვაზე ადვოკატი წაიყვანა. ალექსიძის ახლობლები გუშინვე ჩვენს ორგანიზაციას დაუკავშირდნენ და დახმარება გვთხოვეს," - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" წევრი გელა ნიკოლეიშვილი. მისი თქმით, თვითმხილველებმა, ალექსიძის მეგობრებმა ავტომანქანა მშრალ ხიდთან ნახეს. მასში უგულავას მძღოლის გარდა, მანდილოსნებიც იყვნენ, რომლებიც მშრალ ხიდთან ნივთებს ყიდულობდნენ. ამის შემდეგ, ავტომანქანის მფლობელმა და მისმა მეგობრებმა ავტომანქანა საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს, შემდეგ კი გენერალური პროკურატურის საჯარიმო სადგომზე დააყენეს.

*პრაიმ-ნიუსი*

# "ჩვენი აჭარა" აჭარელი სამართალდამცველების წინააღმდეგ

გუშინ ბათუმში სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ნაცემ აქტივისტს ბადრი ჭელიძეს. ბოლო დღეების განმავლობაში მოძრაობის წევრთა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ აქტებში "ჩვენი აჭარა" ადგილობრივ სამართალდამცველებს ადანაშაულებს.

"ჩვენი აჭარის" კოორდინატორის თამაზ დიასამიძის განცხადებით, ბადრი ჭელიძეს, რომელიც 26 თებერვალს ხულოში პოლიციელებმა სცემეს, გულმკერდისა და თავის არეში სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები აქვს მიყენებული. მისივე მონაცემებით, 24 თებერვალს დაბა ჩაქვში პოლიციის თანამშრომლები "ჩვენი აჭარის" წევრის, ნათელა ლეკაშვილის პოლიციის განყოფილებაში ძალით გადაყვანას შეეცადნენ, 25 თებერვალს კი ისინი მოძრაობის ხელვაჩაურელ აქტივისტს ედუარდ გოგუაძეს პოლიტიკური მრწამსის გამო დაემუქრნენ.

რაც შეეხება ოპოზიციური ორგანიზაციების ოფისების დარბევას, დიასამიძის მონაცემებით, ბოლო დღეებში მსგავსი ფაქტები აღარ დაფიქსირებულა. ღამით "ჩვენი აჭარის" ოფისებს ორ-ორი პოლიციელი იცავს. "ის ხალხი, ვინც ჩვენს ოფისებს იცავს, ბიუჯეტიდან ისედაც ფინანსდება და გაუგებარია, ჩვენც რატომ უნდა ვუხადოთ," – აცხადებს დიასამიძე.

*ინტერ-პრესი*

# "ქორთიარდ მარიოტი" პირველ სტუმარს უმასპინძლებს

"GMT" ჯგუფის მიერ თავისუფლების მოედანზე აშენებული სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტი" ხვალ პირველ სტუმარს, ამერიკელ ჟერარ ფრიდმანს უმასპინძლებს. რეგისტრაციის შემდეგ ფრიდმანი სასტუმროს გენერალური მენეჯერისგან სიმბოლურ გასაღებს მიიღებს. "ქორთიარდ მარიოტი" "მარიოტ ინტერნეშნლის" მეორე სასტუმროა საქართველოში. იგი საშუალო ფასის სასტუმროების კატეგორიას მიეკუთვნება და როგორც ბიზნესმენთათვის, ასევე დამსვენებლებისთვის არის განკუთვნილი. თბილისურ "ქორთიარდში" 118 ოთახია, 6 სხვადასხვა ზომის საკონფერენციო დარბაზი, რესტორანი, საცურაო აუზი, საუნა და ჯაკუზი. მსოფლიოში არსებული "ქორთიარდის" სასტუმროები, თავისი არქიტექტურითა და დაგეგმარებით, თანამედროვე სტილისაა. ამ სასტუმროებში, ძირითადად, 80-დან 150-მდე სასტუმრო ოთახია. პირველი სტუმრის მიღებასთან დაკავშირებით "ქორთიარდ მარიოტი" ხვალ დახვედრის ცერემონიალს მოაწყობს, სასტუმროს გახსნის ოფიციალური ღონისძიება კი აპრილისთვის იგეგმება.

*ინტერ-პრესი*

# ნოღაიდელმა საბაჟო დეპარტამენტში თანამშრომელთა შესარჩევად გამოცხადებული კონკურსისთვის დამატებითი მოთხოვნები დაამტკიცა



*ზურაბ ნოღაიდელი.*

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საბაჟო დეპარტამენტში თანამშრომელთა შესარჩევად გამოცხადებული კონკურსისთვის დამატებითი მოთხოვნები დაამტკიცა.

მინისტრის ბრძანების შესაბამისად, რეგიონული საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსსა და მის მოადგილეს, რომლებიც ამ თანამდებობებზე დაინიშნებიან, უნდა გააჩნდეთ ეკონომიკური ან იურიდიული პროფილით მუშაობის, სულ მცირე, ოთხი წლის ან საბაჟო ორგანოებში მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება. ამასთან, მათ სრულყოფილად უნდა იცოდნენ საბაჟო კანონმდებლობა და უცხო ენები.

საბაჟო გამშვები პუნქტის მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე კონკურსის შემდეგ მხოლოდ ის პირები დაინიშნებიან, რომლებსაც იურიდიული ან ეკონომიკური სპეციალობით მუშაობის, სულ მცირე, სამი წლის ან საბაჟო ორგანოებში მუშაობის ორი წლის გამოცდილება მაინც გააჩნიათ. გარდა ამისა, ისინი სრულყოფილად უნდა ფლობდნენ საბაჟო კანონმდებლობას, უცხო ენას და მომხმარებლის დონეზე კომპიუტერთან მუშაობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

უფროს ინსპექტორებად დაინიშნებიან ის პირები, რომლებმაც საბაჟო კონტროლისა და გაფორმების წესები და პროცედურები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პროცესუალური კანონმდებლობა, საქონლის წარმოშობისა და საბაჟო ღირებულების დადგენის წესები, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენება და საბაჟო დეკლარაციების შევსებისა და გაფორმების წესები იციან.

აღმოსავლეთის რეგიონული საბაჟოს სამ გამშვებ პუნქტზე - წითელ ხიდზე, ლაგოდეხზე და მტკვარზე მუშაობის მსურველები საკვალიფიკაციო გამოცდებს მარტში ჩააბარებენ.

*ინტერ-პრესი*

# გია ჯოხთაბერიძე შს სამინისტროს სარდაფშია მოთავსებული

"მაგთიკომის" ერთ-ერთი დამფუძნებლის, პრეზიდენტ შევარდნაძის სიძის, გია ჯოხთაბერიძის საქმეში უცხოელი ადვოკატები ჩაერთვებიან. როგორც ჯოხთაბერიძის მეუღლე მანანა შევარდნაძე აცხადებს, თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ უსამართლო, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მას სხვა იმედი აღარ დარჩა. 19 თებერვალს დაკავებული გია ჯოხთაბერიძის პატიმრობიდან გათავისუფლებაში დაცვის მხარე გირაოს სახით 2 მილიონ ლარს იხდიდა, თუმცა პროკურორმა და მოსამართლემ ეს შეთავაზება არ მიიღეს. როგორც გია ჯოხთაბერიძის ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფისათვის წაყენებული "აბსურდული ბრალდება" ეხება ჯოხთაბერიძის მიერ 2002 წელს შპს "ჯიკომისგან" 600 ათას ლარად ნაყიდ "მაგთიკომის" 18-პროცენტიან წილს. როგორც გამოძიება ჯოხთაბერიძის დაკავებისას ამტკიცებდა, ბრალდებულს ეს თანხა გადახდილი არ ჰქონდა. მოგვიანებით, გადარიცხვის დოკუმენტაციის ნახვის შემდეგ, გამოძიება ამტკიცებს, რომ "ჯიკომის" დამფუძნებლებმა ჯოხთაბერიძეს 600 ათასი ლარი უკან დაუბრუნეს, თუმცა ამის დასამტკიცებლად არც მოწმე და არც დოკუმენტაცია არ არსებობს. გამოძიება ჯოხთაბერიძეს სწორედ ამ 600 ათასი ლარიდან მიღებული შემოსავლის გადაუხდელობას ედავება. გია ჯოხთაბერიძე სამართალდამცველებმა საშიშ დამნაშავედ მიიჩნიეს და იმ იზოლატორში ჩასვეს, რომელიც ერთი თვის წინათ შს სამინისტროდან უშიშროების სამინისტროს გადაეცა და შს სამინისტროს სარდაფშია მოთავსებული.

*მედია-ნიუსი*

# კოდორის ხეობაში პატრულირება განახლდება



კოდორის ქვემო ხეობაში რუს სამშვიდობოთა პატრულირება შაბათს განახლდა.

როგორც პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი აცხადებს, კოდორის ზემო ნაწილში, აფხაზეთის ერთადერთ რეგიონში, რომელზეც ოფიციალური თბილისის იურისდიქცია ვრცელდება, რუს სამშვიდობოთა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა ერთობლივი პატრულირების განახლება უახლოეს მომავალში იგეგმება.

კოდორის ხეობის პატრულირება გასული წლის 5 ივნისს შეწყდა. ამ დროს გაერო-ს 3 დამკვირვებელი და ერთი თარჯიმანი გაიტაცეს, რომლებიც მოგვიანებით გამოიხსნეს. შემდეგ კი ხეობის პატრულირების განახლება წყალდიდობის გამო ვერ ხერხდებოდა.

*პრაიმ-ნიუსი*

# გენდერი და არჩევნები - სემინარი ჟურნალისტებისთვის

*"ქალი - საზოგადოებას, მამაკაცი – ოჯახს"- ასეთი გენდერული ბალანსით ცხოვრობს შვედური საზოგადოება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, – ითქვა სამდღიან სემინარზე "გენდერი და არჩევნები", რომელიც ჩატარდა თბილისში, გაერო-ს განვითარების პროგრამის პროექტის "დახმარება არჩევნებისთვის" ფარგლებში. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა ორმოცი თბილისელი და რეგიონებიდან ჩამოსული ჟურნალისტი, ხოლო ძირითად ექსპერტად მოწვეული იყო ერთ-ერთი ცნობილი, ყოველდღიური შვედური გაზეთის ჟურნალისტი ანნე იალაკასი.*

შვედი ექსპერტის თქმით, ამჟამად შვედეთში, გენდერული თანასწორობის მხრივ, დიდი მიღწევებია, თუმცა ჯერ კიდევ არაა მიღწეული თანაფარდობა 50-50-ზე. "ამჟამად შვედეთში აღარავის უკვირს, რომ დეკრეტულ შვებულებას იღებს მამაკაცი და აქტიურად მონაწილეობს ბავშვების აღზრდაში. ვფიქრობ, ეს ქართველმა მამაკაცებმაც უნდა გაითვალისწინონ," - მიაჩნია შვედ ქალბატონს.

შვედი ექსპერტისგან განსხვავებით, სემინარის მონაწილე ქართველ ექსპერტებს, გენდერული თვალსაზრისით, უფრო ყოფითი პრობლემები აქვთ მოსაგვარებელი.

პარლამენტარ ქალთა კლუბის დამფუძნებლის, ქართველი ექსპერტის, ნანი ჭანიშვილის თქმით, "ისტორიულად საქართველოში ქალი დაჩაგრული არ ყოფილა. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეებში, ინკვიზიციის დროს ათასობით ქალი დაწვეს კოცონზე. ასეთი რამ საქართველოში არასდროს მომხდარა. საბჭოთა კავშირის დროს კი ქალებს არა თუ ხმის უფლება, 30 პროცენტიანი კვოტაც კი ჰქონდათ. სამწუხარო ფაქტია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში არაა გათვალისწინებული ამომრჩეველთა 54 პროცენტის ინტერესები, რადგან, აგერ უკვე რამდენი წელია, პარლამენტში ქალთა რაოდენობა 6 პროცენტიან ზღვარს ძლივს ლახავს. ზვიად გამსახურდიას დროს უზენაეს საბჭოში ქალი დეპუტატების რიცხვი 6,1 პროცენტი იყო, 1992 წელს, სამხედრო საბჭოს დროს – 6,2 პროცენტი, 1995 და 1999 წლების პარლამენტში ამ მაჩვენებელმა 6,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2003 წლის ნოემბრის ათწუთიან პარლამენტში კვლავ 6 პროცენტიან ზღვარს დაუბრუნდა".

ქართველი ექსპერტის აზრით, "მხოლოდ მამაკაცებით დაკომპლექტებული პარლამენტის გადაწყვეტილებები და კანონები რეალურ ცხოვრებას ნაკლებად ესადაგება." მისივე თქმით, 1995 წლის მოწვევის პარლამენტმა საბავშვო ბაგა-ბაღებს, ბავშვთა დაწესებულებებს შეუწყვიტა დაფინანსება, მანვე გააუქმა მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისთვის დახმარებები. "ჩვენ - ქალები ძალიან ცოტანი ვიყავით პარლამენტში და ვერაფერი შევცვალეთ. ქალებს რომ გვქონოდა ძალა პარლამენტში, ამ წინააღმდეგობას გადავლახავდით,"- სინანულით აღნიშნა ყოფილმა პარლამენტარმა.

სემინარის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ დროებითი სპეციალური ღონისძიებით – კვოტირებით, რაც გულისხმობს იმას, რომ პარტიულ სიებში ყოველი მეორე იყოს ქალი. საინიციატივო ჯგუფის ამ მოთხოვნას ევროსაბჭოც უჭერს მხარს.

შვედი ექსპერტი ფიქრობს, რომ საქართველოში არ უნდა გაჭირდეს გენდერული ბალანსის მიღწევა - მით უმეტეს, როცა ინიციატივა ქვეყნის პირველი პირისგან მოდის. ეს აზრი მის სიტყვებშიც გაცხადდა: "გვჭირდება მეტი ქალი და პროფესიონალი." ამის დასტურია ოთხი მინისტრი ქალის დანიშვნაც.

*ლელა მარგიანი*

# გუბერნატორი პროკურორების თანამდებობებიდან მოხსნას მოითხოვს

პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში იოსებ მაზმიშვილმა, რეგიონის საოლქო პროკურატურაში გამართულ თათბირზე რუსთავისა და ბოლნისის პროკურორების თანამდებობებიდან გათავისუფლება მოითხოვა.

როგორც მაზმიშვილი აცხადებს, ის დაუკავშირდება გენერალურ პროკურორს ირაკლი ოქრუაშვილს და როგორც რუსთავის პროკურორის თამაზ კოლუას, ასევე ბოლნისის პროკურორის ჯიმი ერაძის თანამდებობებიდან გადაყენებას მოსთხოვს.

მაზმიშვილის განმარტებით, ბოლნისსა და რუსთავში წლების მანძილზე უამრავი ეკონომიკური და კორუფციული ხასიათის დანაშაული ხდებოდა, რაზეც პროკურორებს რეაგირება არ მოუხდენიათ და სისხლის სამართლის ერთი საქმეც კი არ აღუძრავთ. როგორც რწმუნებული აცხადებს, იგი სულ ცოტა ხნის წინ დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე და ელოდა, რომ ამ პროკურორების მიერ რაიმე ინიციატივა ამჯერად მაინც წამოვიდოდა.

*პრაიმ-ნიუსი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოსტა

## ნუ მერიდებით, ნურც მეფერებით!

თუ ნამდვილ მოქალაქედ გრძნობ თავს, არ შეიძლება დღეს ჩუმად იყო და რაღაც ფორმით მაინც არ გამოხატო შენი დამოკიდებულება დღევანდელი ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, საერთოდ დღეს აჭარაში მიმდინარე პროცესების მიმართ. პასიურობამ ლამის გული უნდა გახეთქოს.

არა ვარ არანაირი პოლიტიკური პარტიის წევრი, ვარ უბრალო მოქალაქე, პედაგოგი, რომელიც ვეღარ ვუყურებ მშვიდად აჭარაში მიმდინარე პროცესებს. ვეღარ ვკითხულობ მშვიდად პრესას. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე ყველაზე მშვიდობიანი ფორმით მივაწოდო ხმა ჩემი კუთხის წარმომადგენლებს.

ლამის ჭკუიდან გადამიყვანა ცოტნე ბაკურიას კიდევ ერთხელ ცინიკურმა გამოსვლამ: "მშვენიერი ამინდია, როგორც ჩანს, ხალხს ქუჩაში გამოსვლა უნდა"-ო. ეს ეხება მოძრაობა "ჩემი აჭარის" მიერ მოწყობილ მშვიდობიან აქციას. არა ვარ "კმარას" წევრი, ამისათვის არც ასაკი მიწყობს ხელს, მაგრამ ხმამაღლა გეუბნებით, ბატონო ცოტნე, თქვენ და თქვენს მფარველებს: კმარა! დიახ, კმარა! კმარა, აჭარის სახეს წარმოადგენდეთ დღევანდელი "ხელისუფალნი", კმარა, ჩემს სახეს წარმოადგენდეთ, ჩემს სათქმელს ამბობდეთ. კმარა, თქვენი სახით ალიქვას აჭარა დანარჩენმა საქართველომ. ჩვენ გაცილებით უკეთესები ვართ.

მე მრცხვენია დღეს, როგორც აჭარელ ქალს, მრცხვენია იმ თქვენი მიტინგის გამო, დედაქალაქში რომ გამართეთ ჩინოვნიკებმა და ჩემი გულუბრყვილო ხალხი აიფარეთ წინ. მრცხვენია ჩვენი, ე.წ. პოლიტიკოსები, რომ მოუწოდებენ პრესით: თუ აჭარის მიმართ ფრთხილად არ მოვიქცევით, თუ არ მოვეფერებით, აფხაზეთიზაცია დაიწყებაო. არა, ბატონებო, იქნებ ეს ვინმეს აწყობს ასე, და თუ რომელიმე ხელისუფალის დროს აჭარის საქართველოდან გასვლა-არგასვლის საკითხმა თუნდაც ერთი წამით გაიჟღერა, ეს უკვე დიდი ღალატია, გამოუსწორებელი შეცდომა, ისტორიული ცოდვაა. რატომ უნდა მომეფეროთ და მომერიდოთ, მორიდება სჭირდება არასრულფასოვან, ავადმყოფ, დეფექტურ არსებას. მე არც ერთი ვარ, არც მეორე და არც მესამე. მე შუახევში გაზრდილი სრულფასოვანი ქართველი ქალი ვარ, რომელიც მზადა ვარ მიხაროდეს ის, რაც სრულიად საქართველოს უხარია, მტკიოდეს ის, რაც სრულიად საქართველოს სტკივა.

მავანთათვის აჭარა მხოლოდ რუსთაველის ქუჩა და გირლანდებით გაჩირაღდნებული ცენტრალური ქუჩებია, მავანთათვის პორტის და საბაჟოს ინტერესები. ჩემთვის აჭარა შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულიდან იწყება, და არა მარტო აჭარა, ჩემთვის სრულიად საქართველო აქედან იწყება. ამიტომ მაქვს პრეტენზია, ვიღაცაზე მეტად ვიცოდე აჭარა, და რადგანაც ვიცი, მეტადაც მტკივა.

ჩემთვის აჭარა დედაჩემის შეწირული ახალგაზრდობაა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ზემო აჭარელ სამამამთილოებსა და საქმროებს ხელიდან სტაცებდა ახალგაზრდა გოგონებს და თავისი ხელით ჩამოჰყავდა მაშინდელ პედაგოგიურ ინსტიტუტში განათლების მისაღებად. ჩემთვის აჭარა ბავშვივით იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩემ თვალწინ, და როცა დედამ ჭაღარა თმაზე ხელი სიამაყით გადაისვა - ჩემი მისია შევასრულეო, სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი ხალხით ვიღაცამ ვაჭრობა, ვიღაცამ გაბედა მის ჩინოვნიკურ ამბიციებს შესწიროს ალალი, დამჯერი და გულუბრყვილო ხალხის ინტერესები.

კმარა - შიში აფხაზეთიზაციისა, კმარა ამდენი ეჭვები ჩემს მიმართ. როდემდე შეიძლება ვუმტკიცოთ სრულიად საქართველოს ერთგულება. როდემდე უნდა დასჭირდეს ის ჩემს შვილებს. კმარა გამოგონილი საზღვარი ჩოლოქზე.

იქნებ ვინმეს ღიმილი მოჰგვაროს ჩემმა ემოციურმა წერილმა, ან იქნებ ერთი გულუბრყვილო ქალის გულის ამოძახილად მიიღოს. არა, ბატონებო, არც ისეთი გულუბრყვილო ვარ. აბსოლუტურად მესმის დღევანდელ დღეს შექმნილი სიტუაციის სერიოზულობა. აჭარაში იქნებ მართლა მოხდეს რაიმე დაპირისპირება. ცხადია, რომ ჯერ კიდევ დაჰქრის ქალაქის ქუჩებში ლურჯდროშიანი მანქანები, რომელთათვისაც არ არსებობს გამოცხადებული "საგანგებო მდგომარეობა". ბუნებრივია, ამდენ გაზულუქებულ ბობოლებს ჰყავთ მათი მხარდამჭერებიც. მინდა მივმართო თითოეულ უბრალო მოქალაქე, რომელსაც ეშინია თუნდაც რაღაც პრიმიტიული სამუშაო ადგილის დაკარგვისა. ჩვენ ნებისმიერი ხელისუფლების დროს უნდა ვიცხოვროთ ერთმანეთის გვერდით, ვიმუშაოთ ერთად, გვიყვარდეს ერთმანეთი, ჩვენ როგორმე უნდა ჩამოვირეცხოთ ორი მიტინგის სირცხვილი.

ყველა უშველის თავის თავს, ყველა ჩინოვნიკი დააბინავებს თავის ქონებას საგულდაგულოდ. მე მხოლოდ იმის მეშინია, ხალხი არ აღმოვჩნდეთ გაბრიყვებული, ჩვენ არ შეგვრცხვეს, არც ერთ მხარეს, ერთმანეთის გვერდით ცხოვრების გაგრძელება.

მინდა ვიკივლო და სრულიად საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, მსოფლიოს მინდა გავაგონო, ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ მოხდა დაპირისპირება, ეს არ იქნება აჭარელი ხალხი. ეს იქნება ორი უდიდესი ქვეყნის ინტერესის დაპირისპირება, ანდა ეს იქნება იმ ხალხის ინტერესი, ვისაც "ვარდების რევოლუციამ" იმედები გაუცრუა.

ხვალ სრულიად საქართველოს პრეზიდენტს ბათუმში ღირსეულად შევხვდებით, რომელიც ძალზე ღირსეულად მიიღებს სამხედრო აღლუმს. დიახაც, სრულიად საქართველოს ერთი მთავარსარდალი სჭირდება.

**P.S.** წერილი 24 იანვარს საღამოს დავწერე, დილით კი მზად ვიყავი, ოჯახთან ერთად ბატონი პრეზიდენტის ჩამობრძანებას დავსწრებოდი. ალბათ გაითვალისწინა ბატონმა მიხეილმა, რომ მთელი ქალაქი გამოვიდოდა მასთან შესახვედრად, ვიღაცას და რაღაცას მოერიდა და გაცილებით ადრე მიიღო აღლუმი, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული. ყოველ შემთხვევისათვის, გამიჩნდა სიამაყის გრძნობა, როგორც ქართველს. ვიმედოვნებ, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება.

*თამარ ქათამაძე*
*პედაგოგი*

# ოპოზიციონერთა პესიმიზმი, შესაძლოა, გამართლდეს

პირველი გვერდიდან

ასეთი მოსაზრებები უკვე ღიად გამოითქმება სოლიდური საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და უცხოელი დიპლომატების მხრიდანაც.

ამის მიუხედავად, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ ამ ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, ხელისუფლებას ამის სურვილი რომ ჰქონოდა, ჯერ კიდევ იმ დროს გააკეთებდა, როცა პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს იხილავდა. მისი თქმით, ბარიერის დაწევა აშკარად გააუმჯობესებდა ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ფონს. თუმცა, როგორც ქუცნაშვილი ამბობს, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამის გაკეთებას არ მოინდომებს.

**"პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს ან დეპუტატთა ერთ მეოთხედს. ჩვენ პარლამენტში არ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ რიგგარეშე შეკრება მოვითხოვოთ. თუ მაინც შეიკრიბა პარლამენტი, ხელისუფლებას დარჩება უამრავი ბერკეტი, რათა ცვლილებები არ მიიღოს. თუნდაც, კვორუმის არარსებობის გამო. რაც შეეხება პარიტეტული წესით დაკომპლექტებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ამის განხორციელება უფრო შესაძლებელია. მით უფრო, რომ დღეს არსებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არანაირ პარიტეტზე არ არის საუბარი. თანაც, ცესკო-ს მიღმა რჩება სოციალისტური პარტია, რომელმაც უკანასკნელ ადგილობრივ არჩევნებში, მთელს საქართველოში მეოთხე შედეგი აჩვენა, მაშინ, როცა "დემოკრატებმა" და "ნაციონალურმა მოძრაობამ" – მხოლოდ მეათე და მეთერთმეტე. ამის მიუხედავად, დღეს ცესკო-ში შეჰყავთ "ერთობა", რომლის ოპოზიციურ განწყობებში მე ეჭვი მეპარება და სოციალისტურ პარტიას წევრის ყოლის უფლებას არ აძლევენ. ნამდვილად მინდა, რომ ეს საკითხი მაინც გახდეს მსჯელობის საგანი,"** – განუცხადა "24 საათს" ზაქარია ქუცნაშვილმა.

ცესკო-ს დაკომპლექტების წესის შეცვლის ალბათობას ეჭვის თვალით უყურებენ "ახალი მემარჯვენეებიც". პარტიის გენერალური მდივნის დავით საგანელიძის თქმით, "ახლები" პარიტეტულ წესზე ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდნენ, როცა დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციაში იყო, თუმცა უშედეგოდ. **"ახლა კი მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი კვოტიდან ჩვენთვის ორი ადგილის გადმოგდება დააპირა. ეს უფრო სალაპარაკოდ და ერთმანეთის საჯიჯგნად შემოგდებულ თემას წააგავს. თანაც, ცესკო-ს დაკომპლექტების წესის შეცვლა კანონით უნდა იყოს გამაგრებული და არა პრეზიდენტის სურვილით. ასე რომ, ვეჭვობ, ამ მხრივ რამე შეიცვალოს. რაც შეეხება შვიდპროცენტიანი ბარიერის დაწევას. აშკარაა, რომ ხელისუფლებას ამის გაკეთება არ სურს. თუმცა, მეორე მხრივ, იმდენად დიდია გავლენა საერთაშორისო ორგანიზაციებისა დღევანდელ ხელისუფლებაზე, რომ შესაძლებელია, მას ამის გაკეთება მაინც მოუწიოს. მით უფრო, რომ მთავრობა ჯერ კიდევ მთლიანად არის დამოკიდებული იმ ფინანსურ დახმარებებზე, რომელსაც ეს ორგანიზაციები გვიწევენ,"** – ასეთია დავით საგანელიძის მოსაზრება.

თუმცა, სულ სხვაგვარად ფიქრობს "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი, რომლისთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია შვიდპროცენტიანი ბარიერის ხუთ პროცენტამდე დაწევა, რადგან ამით პარლამენტისკენ "გზა გაეხსნებათ ფინანსურ და რეგიონულ კლანებს". მეტიც – მიხეილ მაჭავარიანის თქმით, ხელისუფლებამ არაფერი იცოდა იმ რეკომენდაციების თაობაზე, რომელიც ევროსაბჭომ და ეუთო-მ გასცეს ამასთან დაკავშირებით. მიხეილ მაჭავარიანი ამბობს, რომ **"აუცილებლად გამოსაძიებელია, ვინ აწარმოებდა მოლაპარაკებებს ამ ორგანიზაციებთან და ვინ მისცა მათ პირობა საარჩევნო ბარიერის დაწევის თაობაზე."**











გიორგი ასანიძვილის სვეტი

# რევოლუციური ბრწყინვალების უკან

რევოლუციას ყოველთვის ახლავს რომანტიზმის ხიბლი - ხალხი იოლად იჯერებს, რომ ის, რაც ცუდი და უარსაყოფი იყო, სამუდამოდ ჩაბარდება წარსულს და მომავალი გაცისკროვნებული იქნება. მაგრამ პოსტრევოლუციურ ეპოქაში სასურველი თანდათან შორდება რეალურს და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილება ისადგურებს. "ამისთვის ვიბრძოდით?" - ეკითხებიან ერთმანეთს ახალი ხელისუფლების პირველი ნაბიჯებით გაწბილებული "იდეალისტები" და პირობას დებენ, რომ მომავალში "ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებენ" - პოლიტიკაში აღარ "ჩაერევიან".

იმედგაცრუებას ვერც ვარდების რევოლუციის თაყვანისმცემლები გადაურჩნენ. ბევრი, ვინც გუშინ ხმამაღლა უკრავდა ტაშს რევოლუციას, დღეს უფრო ფრთხილი და თავშეკავებულია. ხშირად მათ უკმაყოფილებას განაპირობებს ის, რომ ახალი ხელისუფლება ისეთივე ნაბიჯებს დგამს, რისთვისაც ის თავის წინამორბედებს საყვედურობდა.

ეს, პირველ რიგში, ალბათ, იმაში გამოიხატება, რომ ძალაში რჩება ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა - რაც დაუშვებელია ერთისთვის, ზოგჯერ დასაშვებია მეორისთვის. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საჯაროდ გამოხატა უკმაყოფილება, რომ "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ცქიტიშვილის ვაჟი ავიაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილედ დაინიშნა. ასევე ნათესაური კავშირის გამო თქვა უარი თბილისის პროკურორის თანამდებობაზე ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარის, მიხეილ მაჭავარიანის სიმამრმა. მაგრამ სულ რამდენიმე კვირის შემდეგ, ეს ბარიერი მოიხსნა: დედაქალაქის პროკურორად ინიშნება "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერის, ნოდარ გრიგალაშვილის ძმა, პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ხდება.

ამ შემთხვევებში საქმე ზემოთდასახელებული პიროვნებების ავკარგიანობას ან პროფესიონალიზმს კი არა, "თანასწორუფლებიანობის" პრინციპის დაცვას ეხება - ის, რაც აკრძალულია ერთისთვის, მეორისთვის ნებადართული არ უნდა იყოს.

გაუგებრობას იწვევს, აგრეთვე, ხელისუფლების ზოგიერთი საკადრო არჩევანი. ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს პარლამენტში რომ პარტიული ფუნქციონერები ჩაენაცვლებიან, ეს შეიძლება, სულაც არ არის ცუდი. ცუდი ის არის, რომ მომავალ საკანონმდებლო ორგანოში კვლავ თითზე ჩამოსათვლელი იქნება ის ხალხი, ვისაც კანონშემოქმედება ხელეწიფება - პროფესიონალი იურისტები და ეკონომისტები. ისე, სასხვათაშორისოდ - ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა 90 პროცენტს სწორედ ზემოთ დასახელებული პროფესიის მქონე ადამიანები შეადგენენ.

პროფესიონალებს ვინ ჩივის, მმართველი ბანაკის საარჩევნო სიაში ზოგჯერ პარტიული ერთგულების პრინციპიც უგულებელყოფილია. ძნელი ასახსნელია, როგორ მოხვდა ამ სიაში, მაგალითად, ვან ბაიბურთი - ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების უცვლელი კადრი. თუ ვინმე იტყვის, რომ მან შეხედულებები შეიცვალა და ახალ ხელისუფლებას მიემხრო, ეს სულაც არ არის არგუმენტი - ვან ბაიბურთის მსგავსად, მმართველი გუნდის სამსახურში ჩადგომაზე უარს არც ვიტალი ხაზარაძე, გურამ შარაძე და მისთანანი იტყოდნენ.

საზოგადოება ახალი ხელისუფლებისგან მეტი პრინციპულობის გამოჩენას ელოდა აჭარის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობებში. ამ შემთხვევაშიც, საქმე სულაც არ ეხება იმას, ასლან აბაშიძე ვის მოსწონს და ვის არა. აქ საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ აჭარის ლიდერის მიერ ავტონომიურ რესპუბლიკაში დამკვიდრებული მართვის სტილი ძალიან შორს დგას დემოკრატიული სტანდარტებისგან. სამწუხაროდ, არც იმის ნიშნები შეიმჩნევა, რომ აჭარის ხელმძღვანელი დროის მოთხოვნებს ფეხს აუწყობს და თავის რეჟიმს ოდნავ მაინც "გააკეთილშობილებს". ამიტომ, არ შეიძლება ისე მოქმედება, როგორც წინა ხელისუფლება იქცეოდა - როდესაც ადამიანის ელემენტარული უფლებები ფეხქვეშ ითელება, წაყრუება დაუშვებელია. მართალია, ცენტრისგან არავინ ითხოვს, რომ ასლან აბაშიძეს ტანკებით შეუვარდნენ და ძალის გამოყენებით გადააყენონ, მაგრამ მის მკვეთრ განცხადებებზე თუნდაც პასუხის გაცემა და რეაგირება აუცილებელია. რადგან ეს არ კეთდება (მოტივი, თითქოს, ცენტრი რეგიონთან ურთიერთობის გამწვავებას გაურბის, ძალზე არადამაჯერებელია), ცენტრალური ხელისუფლება ზოგჯერ სასაცილო მდგომარეობაშიც კი ვარდება. მაგალითად, ძალზე "გულისამაჯუჩებელია", როდესაც უსმენ, თუ როგორ ასწავლის აბაშიძე ოფიციალურ თბილისს, რომ, ადამიანების უფლებების შელახვა არ შეიძლება და დაკავებულების გაცვლა დაუშვებელია...

თუ ცენტრალურ ხელისუფლებას ჰგონია, რომ 28 მარტის არჩევნები ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს და მანამდე თავშეკავების გამოჩენა სჯობია, ალბათ, შეცდომას უშვებს - როგორი დაბალი პროცენტიც არ უნდა მიიღოს საპარლამენტო არჩევნებში "აღორძინებამ", ეს ვერ გახდება აჭარის დესლანიზაციის იურიდიული საფუძველი. აჭარის ლიდერს კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში ექნება "ტახტზე ჯდომის" უფლება. ასე რომ, თუ ხელისუფლებას ავტონომიურ რესპუბლიკაში მმართველი ძალის შეცვლა უნდა, ამისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა (პირველ რიგში, ასლან აბაშიძის რეჟიმისთვის თავისი სახელის დარქმევა) საჭირო და არა იმისი მოლოდინი, რომ თავისით რაღაც შეიცვლება.

სხვათა შორის, ახალი ხელისუფლება იმ თამაშშიც კარგავს ქულებს, რომელშიც, წესით, მას თვითონ უნდა იწერდეს. კორუფციასთან ბრძოლას საზოგადოების უდიდესი ნაწილი მიესალმება, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონის მოთხოვნების ბოლომდე არდაცვის გამო, ზოგჯერ ხდება, რომ დამნაშავე ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენებისგან მავანნი წამებულის, უსამართლოდ დაჩაგრულისა და პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლის იმიჯს ქმნიან. ამის თავიდან ასაცილებლად კი მხოლოდ კანონის ცოტა უკეთ ცოდნა და ოდნავ მეტი წინდახედულების გამოჩენაა საჭირო.

როდესაც ხელისუფლების დაკარგულ ქულებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ერთი მომენტიც არ ვახსენოთ: დაუშვებელია ისეთი ტყუილის თქმა, რომელსაც არავინ დაიჯერებს. ეს უფრო თავის მოტყუებაა, რაც, უპირველესად, თავად ხელისუფლებას აზარალებს. მაგალითად, როდესაც პედაგოგი ისმენს, რომ ხელისუფლება ხელფასებს "თვეს თვეში ასწორებს", პირადად მას კი მარტის დასაწყისში ჯერ იანვრის ჯამაგირიც არ მიუღია, ასეთი "აგიტაცია" სულაც არ უწყობს ხელს ხელისუფლებისადმი რწმენის განმტკიცებას.

ყოველივე ზემოთნათქვამი ვინმეს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს და გვიპასუხოს, რომ ცალკეული შემთხვევების საფუძველზე საერთო პროცესის განზოგადება მიუღებელია. ამის გაკეთებას და, მით უმეტეს, ხელისუფლებისგან რაღაც ურჩხულის წარმოჩენას ნამდვილად არ ვაპირებთ - ძველის ნგრევა და ახლის შენება შეცდომებისა და გადაცდომების გარეშე წარმოუდგენელია. უბრალოდ, სასურველია, რომ ეს შეცდომები რაც შეიძლება ცოტა და იოლად საპატიებელი იყოს.

# ახალი ხელისუფლება ქართულ ბიზნესს მკაცრი წესებით ეთამაშება

პირველი გვერდიდან

დღეს საქართველოს ხელისუფლება ამნისტიის გამოცხადებას რომ არ აპირებს, ამას, პირველ რიგში, სწორედ ბიზნესმენები მიხვდნენ და ამიტომ, სააკაშვილის განცხადებას 1998 წლის "გამოცდილების" რადიკალურად საპირისპირო შედეგი მოჰყვა: საგადასახადო ინსპექციის მონაცემებით, ბიზნესმენთა ნაწილმა უარი თქვა აქტივებზე (ანუ, თითქოსდა ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ს უკან დაბრუნებაზე), რითიც პრაქტიკულად დაადასტურა, რომ მისი აქტივები არარეალური იყო და დღემდე მსგავსი დანაშაულისთვის უკვე დაჭერილი თუ ძებნილი ჩინოვნიკებისგან განსხვავებით, "თავი დაიზღვია".

თუმცა, საკითხი მაინც არ არის იმდენად მარტივი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს და ეს მშვენივრად მოეხსენებათ მთავრობაში, სადაც საქართველოს პრეზიდენტის შეპირებისთვის საკანონმდებლო აქტის ფორმის მიცემა საკმაოდ გაუჭირდათ. "24 საათი" უკვე იუწყებოდა იმის თაობაზე, რომ ამ მიზნით სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელმაც შედეგი, დაახლოებით, ერთ კვირაში სამთავრობო მაგიდაზე უნდა დადოს.

"24 საათის" ინფორმაციით, ამ დღეს ქართველი ბიზნესმენები განსაკუთრებული ინტერესით მოელიან.

ამ ინტერესს განსაკუთრებით კვებავს რამდენიმე მომენტი:

პირველ რიგში, პრობლემა გახლავთ ის, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოში ბიზნესი, როგორც წესი, ჩრდილში მუშაობდა და, სურვილის შემთხვევაშიც კი, ბიზნესმენებს არა მხოლოდ საკმარისი თავისუფალი ფინანსური სახსრები არ აქვთ, არამედ - "არათავისუფალიც", გადაუხდელი გადასახადების ერთბაშად გასასტუმრებლად. ამიტომ, დღეს მათთვის გადაუხდელი გადასახადების ერთბაშად დაკისრება ქართული ბიზნესის ჩაკვლის ტოლფასი შეიძლება გახდეს.

ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველ ბიზნესმენებს უკანასკნელი წლების განმავლობაში, ბიზნესის შესანარჩუნებლად, საკმაოდ დიდი რაოდენობის ქრთამის გაღება უხდებოდათ, რაც ასევე ფინანსური დანახარჯი გახლდათ და რაც სახელმწიფოს და მისი ჩინოვნიკების პასუხისმგებლობაა და არა ბიზნესმენების, რომელთაც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო სხვა არჩევანს არ უტოვებდა. ამის გაუთვალისწინებლობა, სავარაუდოდ, სახელმწიფოს მხრიდან მორალური არ იქნებოდა.

"24 საათის" ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებაში დღეს ამას აცნობიერებენ. პარასკევს უშიშროების საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ე.წ. ფინანსური ამნისტია, რომელიც 1 აპრილამდე ბიზნესმენების მიერ შესაბამისი დეკლარაციის შევსებას და ბიუჯეტთან არსებული დავალიანებების საჯაროობას ითვალისწინებს, გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება გადავადდეს კიდეც. მერაბიშვილი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ კომპანიას საკმაოდ დიდი დავალიანება ექნება და ის 1 აპრილამდე ამ დავალიანების გასტუმრებას ვერ მოახერხებს, არ არის გამორიცხული, ამ კომპანიას ბიუჯეტთან ანგარიშსწორება გარკვეული დროით გადაუვადდეს.

თუმცა, ცხადია ისიც, რომ სადაც საუბარია "გამონაკლისზე", იქ ყოველთვის არსებობს არასამართლიანი მიდგომის საფრთხეც. ამიტომ, "24 საათის" ინფორმაციით, მთავრობაში დღეს მუშაობენ საერთო წესზე, რომელიც მეწარმეთა მიერ გადასახდელ თანხებს დროში გაწერს.

თუმცა, ერთია გადასახდელი თანხების გადახდის წესები, მეორე კი - როგორ უნდა მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებამ იმის გადამოწმება, რამდენად გულახდილი იყო ესა თუ ის ბიზნესმენი დეკლარაციის წარმოდგენის დროს.

სხვათა შორის - სწორედ ამ კითხვის ნიშნებმა მისცა საფუძველი "პროკურატურის დაბალ ფენებს" (როგორც საქართველოს ხელისუფლებაში უყვართ აღნიშვნა), რომ ბიზნესმენებზე ზეწოლა გაეძლიერებინათ. ამ ზეწოლის საპასუხოდ, გასულ კვირას საქართველოს მთავრობაში საკმაოდ ხმამაღალი განცხადებები გაკეთდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ბიზნესმენებთან შესამოწმებლად პროკურატურის თანამშრომლები მხოლოდ გენერალური, თბილისის ან სამხარეო პროკურორების წერილის საფუძველზე შევიდნენ. თუმცა, ეს ვერაფერი შეღავათია შედარებით მსხვილ ბიზნესმენთა იმ ნაწილისთვის, რომელიც, თუ ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ დარეგულირდა, პირდაპირ იქნებიან დამოკიდებული სწორედ ზემოთ მოხსენიებულ პროკურორებზე, რომელთა პირადი გადაწყვეტილება, დეკლარაციების სისწორის შესწავლის აუცილებლობით გამყარებული, შესაძლოა მათი, მინიმუმ, ექვსწლიანი მოღვაწეობის ფინანსური შემოწმების საფუძვლად იქცეს. იგივე მოტივით, შესაძლოა, საგადასახადო სამსახურმაც იხელმძღვანელოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფო სამსახურებმა ცდომილებები ამა თუ იმ ბიზნესმენის მოღვაწეობაში ვერ აღმოაჩინეს, დროში გაწელილი შემოწმებები (როგორც აგვიხსნეს, დღევანდელი კანონმდებლობით გადამოწმებას ექვსი წლის საქმიანობა ექვემდებარება) ქართული ბიზნესის მოღვაწეობას უდავოდ შეაფერხებს.

ამიტომ, ხელისუფლებას ამ პრობლემის გათვალისწინებაც მოუხდება, თუ, რა თქმა უნდა, მისი განწყობა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებაა და არა - დღეს არსებულის მოხრჩობა.

სხვათა შორის, ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობის გარკვევის თვალსაზრისით, გასულ კვირას იყო კიდევ ორიოდე საინტერესო მომენტი: გასულ კვირას აირჩიეს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ახალი თავმჯდომარე და ამ დღეს ითქვა ისიც, რომ სავაჭრო-სამრეწველო პალატა ამიერიდან ბიზნესის და ხელისუფლების ურთიერთობაში ხიდის როლს შეასრულებს.

გარდა ამისა, გასულ კვირასვე ცნობილი გახდა, რომ უახლოეს დღეებში პრემიერ-მინისტრი აპირებს, ბიზნესმენებს შეხვდეს და ურთიერთობის ახალ წესებზე საკმაოდ ღიად ესაუბროს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სახელმწიფო ბიუჯეტის თებერვლის თვის შემოსავლების გეგმა 26 თებერვლისთვის 87 პროცენტით არის შესრულებული. შემოსავალი, 86,55 მილიონი ლარის ნაცვლად, 74,94 მილიონ ლარს შეადგენს. საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 72 პროცენტით, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით – 156 პროცენტითაა შესრულებული. სოცდაზღვევის ერთიანი ფონდის შემოსავლების გეგმა შესრულებულია 90 პროცენტით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** "რაო ეეს როსიიმ" აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყო. აჭარის ავტონომიის მეთაურის, ასლან აბაშიძის მოსკოვში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, 27 თებერვლიდან აჭარის ენერგოკომპანია რუსეთიდან დღე-ღამეში 100 მეგავატ ელექტროენერგიას იღებს. დენის საფასურს აჭარის ადგილობრივი ბიუჯეტი აანაზღაურებს. აღსანიშნავია, რომ 100 მეგავატი ელექტროენერგია ბევრად აღემატება აჭარის რეგიონის დღე-ღამურ მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე, ამიტომ დარჩენილი ელექტროენერგია, სავარაუდოდ, სხვა რეგიონებს მიეწოდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა 27 თებერვალს ცენტრალური ბიუჯეტიდან 3,777 მილიონი ლარის ხარჯი გასწია. ეს თანხა საბიუჯეტო ორგანიზაციების თებერვლის თვის შრომის ანაზღაურებას მოხმარდა. აქედან თავდაცვის სამინისტრომ თებერვლის თვის ხელფასების გასაცემად 1,478 მილიონი ლარი მიიღო, ხოლო შს სამინისტრომ — 2,131 მილიონი ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან ბუნებრივი აირის მომხმარებელი თბილისელები თებერვლის თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს ბანკებში გადაიხდიან. "თბილგაზის" აღმრიცხველების მიერ საცხოვრებელ სახლში მიტანილი ქვითრების საფუძველზე ანგარიშსწორებისათვის აბონენტებს "საქართველოს ბანკის", "სახალხო ბანკის", "გაერთიანებული ქართული ბანკის" და ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალები მოემსახურებიან. "თბილგაზი" დავალიანების დაფარვას 10 მარტამდე ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბონენტს ბუნებრივი აირის მიწოდება შეეწყდება და გაზმომარაგების აღდგენისათვის დამატებითი თანხის გადახდა მოუწევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სამხრეთ კორეის ქალაქ ულსანის პორტიდან ევროპაში პირველი კომერციული რეისის შესასრულებლად გავიდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აშენებული პირველი ქართული ტანკერი "ჟიული შარტავა". გემის კაპიტანია თეიმურაზ კონცელიძე. მან ამ ტიპის გემების სამართავად, "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" დაფინანსებით, სპეციალური მომზადება გაიარა. პირველი ქართული ტანკერი "ჟიული შარტავა" "ბი-პი"-სა და "შევრონთან" თანამშრომლობის საშუალებით გადაზიდვების დიდ პროექტებში მიიღებს მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

# განხეთქილების ახალი ვაშლი რუსეთისა და თურქეთისათვის

ნიკა მარიამიძე

რუსეთის მთავრობაში ჩინოვნიკთა მოვალეობის ახლადდანიშნული შემსრულებლები საკუთარი პოლიტიკური პრიორიტეტების დამალვას არ ცდილობენ და ღიად ადანაშაულებენ თურქეთს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მიმართულების ლობირებაში. "თურქეთი რუსული ნავთობის ბოსფორის სრუტის გავლით ექსპორტს უშლის ხელს. ამით ის აიძულებს ყოფილ საბჭოთა ნავთობს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მიმართულებით იდინოს," – აცხადებს ვიქტორ კალიუჟნი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მიმართ რუსული პოლიტიკური წრეების ყურადღების გააქტიურება ყაზახური "ყაზმუნაიგაზის" მიერ ამ ერთი კვირის წინ გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია, როცა ყაზახურმა კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, ეს მილსადენი საკუთარ ნავთობის



ვიქტორ კალიუჟნი თურქეთის "შორს მიმავალ გეგმებს" ამხელს.

ტრანსპორტირებისთვის გამოიყენოს.

"ჩვენ შეგვიძლია, ყაზახური ნავთობის 100 პროცენტის ტრანსპორტირება უზრუნველვყოთ," – აცხადებს კალიუჟნი და ყაზახეთს ფრთხილად "შეახსენებს", რომ თურქეთის გავლით ის თავისი ნავთობის მხოლოდ ნახევარს თუ გაატარებს – "მეტს თურქეთის მიმართულების სატრანზიტო სიმძლავრე ვერ გაქაჩავს."

ბოსფორი-დარდანელი – ეს უმთავრესი მარშრუტია, საიდანაც რუსეთი და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები ნავთობის ექსპორტს აწარმოებენ. ჯერ კიდევ 1998 წელს თურქეთმა სრუტეში ტანკერების მოძრაობა ახალი კანონებით დაარეგულირა და მათ, სტამბოლის ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზეზით, ღამით მოძრაობა აუკრძალა.

თუმცა, რუსები საკითხს სხვაგვარად უყურებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ეკოლოგია აქ არაფერ შუაშია და "ეს მხოლოდ რუსული ნავთობის ექსპორტის შესაფერხებლადაა გამიზნული."

# "ხადორჰესი" - პრობლემა თუ პანაცეა კახეთისთვის

პირველი გვერდიდან

2001 წელს, საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარების პირობებში დაიწყო. კორპორაცია ჰესის პირველი 12-მეგავატიანი აგრეგატის ჩართვას გასული წლის ბოლოსთვის გეგმავდა, საიდანაც ათი თვის შემდეგ მეორე აგრეგატიც უნდა ამუშავებულიყო და ჰესის საერთო სიმძლავრეს 24 მეგავატი უნდა შეედგინა. მაგრამ, ჰესის ენერგოსისტემასთან მიერთება შეყოვნდა, რის მიზეზადაც ფინანსური გაუგებრობა იქცა: "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან" დასაკავშირებელი ხაზის აშენების ვალდებულება ქართულ მხარეს ეკისრებოდა, დათქმული დროისთვის კი "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" საამისო თანხები დროულად ვერ გამოძებნა.

საბოლოოდ, პრობლემა მოგვარდა. ჰესი ენერგოსისტემას დაუკავშირდა და ტესტირებაც წარმატებით გაიარა. ახლა ერთადერთ პრობლემად ტარიფის შეთანხმებაღა რჩება.

საქართველოში ჰიდროელექტროსადგურებისთვის სემეკის მიერ დაწესებული მინიმალური სატარიფო ზღვარი 1,7-დან 2,2 თეთრამდე მერყეობს. ის ელექტროსადგურები, რომელთა საფუძველზეც ეს ზღვარია დადგენილი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდშია აგებული და, ამდენად, მათ საკუთარი მშენებლობის დასაფარი ხარჯების გაწევა აღარ უწევთ. სამაგიეროდ, ისინი უკვე ამორტიზებულია და მათი შენახვა საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასე რომ, მხოლოდ ის არგუმენტი, რომ "ხადორჰესმა" ინვესტიცია უნდა ამოიღოს, საკმარისი არ არის. მით უმეტეს, რომ ეს ჩინური კომპანია ამ ინვესტიციის ძირითადი ნაწილის ამოღებას 8 წელიწადში გეგმავს – მას ხომ "ექსიმბანკის" კრედიტი აქვს გასასტუმრებელი (დანარჩენი თანხის ამოღებას ჩინელები 25 წელიწადში აპირებენ, რაც, თავის მხრივ, ელექტროენერგეტიკული სექტორისთვის საკმაოდ მოკლე ვადაა).

სწორედ იმიტომ, რომ ინვესტიციის ამოღება ჩინელებს მოკლე ვადაში აქვთ დაგეგმილი, "ხადორჰესის" სავარაუდო ტარიფი გაცილებით უფრო მაღალი გამოდის, ვიდრე ენგურჰესის, ჟინვალჰესის, შაორჰესის ან სხვა დიდი ელექტროსადგურის ტარიფია. გამოსავალი სემეკმა დროებით ტარიფში იპოვა: საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ჩინელებს დროებითი ტარიფის დამტკიცებას სთავაზობს, რომელიც ჰესის სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ გადაისინჯება.

მაგრამ, ენერგეტიკის დარგის სპეციალისტებს საკმაოდ აშფოთებთ ამ დროებითი ტარიფის მოცულობაც – ჩინელებისთვის შეთავაზებული 4,5-ცენტიანი ტარიფი მაინც იმდენად მაღალი გამოდის, რომ ამ ელექტროსადგურიდან დენის შესყიდვა ორჯერ უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე რუსეთიდან იმპორტი.

საბოლოოდ, გამოდის, რომ ჩინელებმა ჯერ ჰესი ააშენეს და მშენებლობის ეკონომიკურ დასაბუთებას მხოლოდ ამის შემდეგ მიჰყვეს ხელი. არადა, დენის ტარიფი კი არ უნდა ითვლებოდეს იმის მიხედვით, თუ რამდენი დრო სჭირდება ინვესტიციის ამოღებას, არამედ პირიქით: ჯერ ეკონომიკური გაანგარიშება უნდა კეთდებოდეს და მშენებლობაც მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდეს. სხვა თუ არაფერი, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ინვესტორი ჯერ ქვეყნის საგადასახადო ფონს სწავლობს და მხოლოდ მერე გეგმავს ამა თუ იმ ბიზნესს.

არაა გამორიცხული, შეცდომა იყოს ჰესის დაგეგმილი სიმძლავრეც: როგორც დღეს ექსპერტები ეჭვობენ, მდინარეების – ხადორისა და ალაზნის წყალი არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ამ ელექტროსადგურმა დაგეგმილი 24-მეგავატიანი სიმძლავრე გამოიმუშაოს. არადა, 24 მეგავატი სიმძლავრე მთელ კახეთს ეყოფოდა...

როგორც "24 საათს" სათბობ-ენერგეტიკული სტრუქტურის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა აცნობა, **"ეს არის ურთულეს რელიეფსა და რეგიონში აშენებული სადგური. მაშინ, როცა ჩინელები შემოვიდნენ, იყო სხვა პროექტები, რომ სადგური გაცილებით იოლ და მომგებიან ადგილებში აშენებულიყო, მაგრამ მაშინ პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომლის მიღმაც, სავარაუდოდ, პირადი ინტერესებიც დგას: ჩინურ პროექტს თავის დროზე შპს "ფერი"-ს პრეზიდენტი სოსო მჭედლიშვილი ლობირებდა, რომელიც სათბობ-ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრის, აწ დაპატიმრებული დავით მირცხულავას მეგობარია."** ამავე წყაროს ცნობით, "ხადორჰესის" აქციების ხუთი პროცენტი სწორედ სოსო მჭედლიშვილს ეკუთვნის, ჩინელები კი დანარჩენ 95 პროცენტს ფლობენ.

იმისდა მიუხედავად, რა გარიგების საფუძველზე შემოვიდა ინვესტორი, მას აქ უკვე 33 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული და პირველია მათ შორის, ვინც საქართველოს ელექტროენერგეტიკაში ინვესტიცია ჩადო...

**"ნებისმიერი ახლადაშენებული ჰესის მიერ გამომუშავებული დენი, როგორი ხელსაყრელი ინვესტიციაც არ უნდა იყოს განხორციელებული, ჩვენი საგადასახადო რეჟიმის პირობებში 3-დან 7 ცენტამდე ეღირება. ამიტომაც, ჩინელები განსაკუთრებულს არაფერს ითხოვენ. ჩვენ გვინდა, საინვესტიციო ტარიფი ისე გადანაწილდეს, რომ პირველი ორი წელი მაინც შედარებით დაბალ პარამეტრზე დაფიქსირდეს. ეს ჩვენთვის დიდი შეღავათი იქნებოდა,"** – აცხადებს სემეკის წევრი პაატა ცინცაძე.

ვითარება რთულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2000 წელს, როცა ჩინელები საქართველოს ენერგოსექტორით დაინტერესდნენ, მთავრობამ მათ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება აღუთქვა. ამასთან, ჰესის მშენებლობის დასრულებისთვის, ელექტროენერგეტიკული სექტორის ყველა მმართველი რგოლის მენეჯმენტი უკვე უცხოელების ხელში უნდა ყოფილიყო, დენის საფასურის ამოღებას კი 75-პროცენტიანი ნიშნული უნდა გადაელახა. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, "ხადორჰესის" მაღალი ტარიფი ენერგეტიკას მძიმე ტვირთად არ დააწვებოდა. თუმცა, ეს იმედები გაცრუვდა, ჩინელები კი გაურკვეველ ვითარებაში დარჩნენ და ახლა ჰესის გაჩერებით იმუქრებიან: **"თუ ტარიფი მისაღები არ იქნება, ჰესი მუშაობას არ გააგრძელებს,"** – აცხადებენ ისინი.

# რუსეთი ტემპს ანელებს, ამერიკას კი 2,75 ტრილიონიანი დეფიციტი ემუქრება

დიანა ჩაჩუა

*რუსეთი ტემპს ანელებს. 2004 წელს მისი ეკონომიკური ზრდა 5,7 პროცენტამდე შემცირდება, - ნათქვამია გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის მორიგ მოხსენებაში. ევროპის ეკონომიკური კომისიის მონაცემებით, 2003 წელს რუსეთის შიდა პროდუქტმა 7,3 პროცენტი შეადგინა. შენელებული ზრდის მთავარი მიზეზი ნავთობსექტორში მიმდინარე ანალოგიური პროცესებია. გარკვეული პრობლემები ელის აშშ-ს ეკონომიკასაც - მიუხედავად იმისა, რომ აშშ კვლავ რჩება მსოფლიო ეკონომიკის ლოკომოტივად, აშშ-ს კონგრესის საბიუჯეტო კომიტეტის განცხადების თანახმად, ცნობილი ხდება, რომ ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტი უახლოეს წელიწადში შეიძლება 2,75 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდოს.*

მთლიანობაში მსოფლიო ეკონომიკის აღმავლობა მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. გაერო-ს ექსპერტების პროგნოზის თანახმად, ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური დონე 2004 წელს 2,1 პროცენტს მიაღწევს, ხოლო ევროს ზონის ქვეყნების ერთობლივი შიდა პროდუქტი წინა წელთან შედარებით 1,9 პროცენტით გაიზრდება. მათივე განცხადებით, თანამეგობრობის ქვეყნების ერთობლივი შიდა პროდუქტი 5,7 პროცენტით გაიზრდება, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური დონე კი 4,5 პროცენტით.

მაგრამ, მიუხედავად ამ მონაცემებისა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით კი, ევროს ზონის ქვეყნების მდგომარეობა გაერო-ს ექსპერტების შეშფოთებას მაინც იწვევს.

გაერო-ს მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ დოლარის სამომავლო შესუსტებამ შეიძლება სერიოზული ნეგატიური შედეგები გამოიღოს. მათი განცხადებით, ევროკავშირის ეკონომიკურ ზრდას დაბალი სამომხმარებლო დონეც უშლის ხელს.

2004 წელს ამერიკის შიდა პროდუქტის დონე 4,6 პროცენტს მიაღწევს, მაშინ, როცა გასულ წელს ანალოგიური მაჩვენებელი 3,1 შეადგენდა. მაგრამ, ამავე დროს, მოკლევადიან პერსპექტივებში აშშ ისევ რჩება რისკის მთავარ ფაქტორად, აღნიშნულია ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ მომზადებულ მოხსენებაში "ევროპის ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა".

აშშ-ს კონგრესის საბიუჯეტო კომიტეტის განცხადების თანახმად კი, ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტი უახლოეს წელიწადში შეიძლება 2,75 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდოს. ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი პროგნოზირებადზე 737 მილიარდი დოლარით მეტი იქნება. ყოველივე ამან შეიძლება დოლარის კურსის სამომავლო შესუსტებამდე მიგვიყვანოს, - ვარაუდობენ ექსპერტები.

აშშ-ს კონგრესის საბიუჯეტო კომიტეტის განცხადებით, ქვეყნის მთავრობამ არ გამოხატა დაინტერესება ხუთ წელიწადზე მეტ პერსპექტივაში განეხილა მოსალოდნელი საბიუჯეტო დეფიციტი. ამასთან დაკავშირებით, დემოკრატიულმა პარტიამ უკვე დაადანაშაულა აშშ-ს პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ქვეყნის რეალური საბიუჯეტო დეფიციტის საზოგადოებისგან დამალვის მცდელობაში.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის უფროსმა ალან გრინსპენმა არც თუ ისე დიდი ხნის წინ ქვეყნის საბიუჯეტო დეფიციტის გაზრდის შესახებ განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა. ნერვიულობის საბაბს მას ე.წ. "ბეიბი ბუმის" თაობის წარმომადგენლების პენსიაზე მასობრივი გასვლა აძლევს. შეგახსენებთ, რომ ეს ის თაობაა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პირველ წლებში დაიბადა.

# ჯონ კერი ტერორიზმის წინააღმდეგ

*აშშ-ში წინასაარჩევნო კამპანია ნელ-ნელა მწვავე ფაზაში შედის. თეთრი სახლისათვის ბრძოლა ახალ-ახალი ბრალდებებით და დაპირებებით გრძელდება. ძირითადი შერკინება კვლავ დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს შორის მიმდინარეობს, რომელთაგან ყველაზე იღბლიანს და წარმატებულს შემოდგომაზე პარტიის კონგრესი ჯორჯ ბუშის მეტოქედ დაასახელებს. თუმცა, მასაჩუსეტელ სენატორს ჯონ კერის, ნოემბრის არჩევნებში ჯორჯ ბუშთან დაპირისპირებას უკვე ბევრი ექსპერტი უწინასწარმეტყველებს. ამით გამხნევებული ფავორიტი, თავის ერთადერთ მეტოქედ აშშ-ს პრეზიდენტს აქედანვე მიიჩნევს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს.*

ლევან ღირსიაშვილი

**"ჩვენ ომის მხოლოდ სამხედრო ძალით მოგება არ შეგვიძლია,"** - აცხადებს ჯონ კერი და ჯორჯ ბუშს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ომში მეთოდებს უწუნებს. თუმცა, თავის დროზე მასაჩუსეტელი სენატორი ერაყში ომის დაწყებას ამართლებდა. ამას არც ახლა უარყოფს. ის ამომრჩეველს გამარჯვების შემთხვევაში უსაფრთხოების განმტკიცებას ჰპირდება. **"როგორც პრეზიდენტი, მე გამოვიყენებ სამხედრო ძალას ჩვენი უსაფრთხოების, ჩვენი ხალხის და სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად,"** - აცხადებს ჯონ კერი. მისი თქმით, ამ მიზნების მისაღწევად აშშ-მ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან და ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიღებას თავი დაანებოს. კერი გამარჯვების შემთხვევაში, სამხედრო ძალასთან ერთად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს როლის და ფუნქციების გაზრდას აპირებს, რათა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი უფრო ეფექტურად მოხდეს.

ჯონ კერის გეგმით, უფრო ქმედითი და აგრესიული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ტერორისტების საფინანსო ანგარიშების გამოსავლენად და პირდაპირ უნდა დასახელდეს ის ბანკები და ქვეყნები, რომლებმაც აშშ-სთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. დემოკრატების ფავორიტი ამ მიზნით აპირებს, შექმნას ოფისი, სადაც მაღალი დონის ოფიციალური პირები იმუშავებენ და მათ მხოლოდ ერთადერთი დავალება ექნებათ მიცემული - ტერორისტთა ჯგუფებში მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღკვეთა.

ჯონ კერი აცხადებს, რომ ჯორჯ ბუშის პოლიტიკამ ჩრდილოეთ კორეის და ირანის საკითხებში ფიასკო განიცადა, რადგან თეთრმა სახლმა ფხენიანის და თეირანის ბირთვული ამბიციების განეიტრალება ვერ შეძლო.

რესპუბლიკელები კი აშკარად გრძნობენ ჯონ კერის მზარდ პოპულარობას და მეტოქის განეიტრალებას ცდილობენ. სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ, ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე პაკისტანის და აშშ-ს სპეცდანაყოფების ერთობლივი სპეცოპერაცია მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ოსამა ბინ ლადენის დაპატიმრების ან ლიკვიდაციის მიზნით. ჯორჯ ბუშს ჰაერივით სჭირდება რეიტინგის ამაღლება, რაც პირდაპირ კავშირშია "ალ-ქაიდას" ლიდერის ნეიტრალიზაციასთან.


ჯონ კერი: ჩვენ ომის მხოლოდ სამხედრო ძალით მოგება არ შეგვიძლია.

ჯერ კიდევ გასულ კვირას, "სანდი ექსპრესი", აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში არსებულ ანონიმ წყაროზე დაყრდნობით, იუწყებოდა, რომ ოსამა ბინ ლადენის ზუსტი ადგილსამყოფელი უკვე დადგენილია. **"ბინ ლადენი მახეში ვირთხასავით არის გაბმული,"** - ასეთი სათაურით იწყებდა სტატიას "სანდი ექსპრესი." გაზეთის ცნობით, მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტთან ერთად 50-მდე მისი ერთგული ფანატიკოსი იმყოფება. ისინი პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე, მთიან რაიონებში 16 კვადრატული კილომეტრის ზონაში არიან მოქცეულები. გაზეთი იუწყება, რომ ავღანური მოძრაობა "თალიბანის" ლიდერი მოლა ომარიც ბინ ლადენთან ერთად არის, ხოლო "ალ-ქაიდას" ლიდერის ადგილსამყოფელი ჯაშუში-თანამგზავრის მიერ მუდმივად კონტროლდება. ამჟამად ამერიკელი და ბრიტანული სპეცსამსახურები მოქმედების დასაწყებად შესაბამის ბრძანებას უცდიან.

შაბათს კი, ირანულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა ბინ ლადენის შეპყრობის თაობაზე, რაც ვაშინგტონმა კატეგორიულად უარყო. ბევრი ექსპერტი გამოთქვამს ეჭვს, რომ ბინ ლადენის დაკავება, რესპუბლიკელთათვის იმ ასპროცენტიან კოზირს წარმოადგენს, რომელსაც ჯორჯ ბუში საარჩევნოდ გაათამაშებს და ამით "ოვალური კაბინეტის" შენარჩუნებას გაინაღდებს.

როგორც ჩანს, ამას მშვენივრად აცნობიერებს დემოკრატთა ფავორიტი ჯონ კერი და თადარიგს აქედანვე იჭერს. კერი აქტიურად ცდილობს, გამოიყენოს პრინციპი - "საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა" და აცხადებს, რომ ჯორჯ ბუშს ჯერ კიდევ ორი წლის წინ შეეძლო "ალ-ქაიდას" ხელმძღვანელის განეიტრალება, მაგრამ პრეზიდენტმა ეს არ გააკეთა. **"ის ჩვენ თითქმის ხელში გვყავდა, როდესაც ორი წლის წინ, თორა-ბორას მთებში ოპერაცია მიმდინარეობდა. მაგრამ ჯორჯ ბუშმა შეაჩერა ამერიკული ნაწილების მსვლელობა და მთლიანად ავღანელ საველე მეთაურებს დაეყრდნო, რომლებიც ჩვენი ინტერესების თანახმად არ მოქმედებდნენ და საქმე ბოლომდე არ მიიყვანეს,"** - აცხადებს ჯონ კერი.

ამრიგად, აშშ-ს მიმდინარე საარჩევნო კამპანია, უკვე კარგა ხანია, ამერიკის ფარგლებს გასცდა და მეტოქეები საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ურთიერთბრალდებებისთვის იყენებენ. ეს სწორედ ის თემაა, რაც ამერიკელი ხალხის უპირველეს დაინტერესებას იწვევს. შესაბამისად, არჩევნებშიც სწორედ ის კანდიდატი გაიმარჯვებს, ვინც ამერიკელებს ტერორიზმის დამარცხებაში უკეთ დაარწმუნებს.

# ერაყელებს კონსტიტუციის მიღება უჭირთ

ერაყის მმართველმა საბჭომ დადგენილ ვადებში ქვეყნის დროებითი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება ვერ შეძლო. საინფორმაციო სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, მთავარ უთანხმოებას ძალაუფლების განაწილების საკითხი, ქურთისტანის მომავალ სტატუსზე შეთანხმების არარსებობა და ისლამისტებსა და სამოქალაქო სახელმწიფოს მომხრეებს შორის დაპირისპირება წარმოშობს. აშშ-ს მიერ დანიშნულ 25-კაციან საბჭოში სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები შედიან. ბუნებრივია, მათ შორის შეთანხმება ძნელი იქნება.

გუშინ შუადღისას გამართულ საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. მანამდე საბჭოს ლიდერებს დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პოლ ბრემერიც შეხვდა. სწორედ ბრემერის კომპეტენციაში შედის კონსტიტუციის პროექტის საბოლოო დამტკიცება. ბრემერმა გააფრთხილა ერაყელები, რომ ნებისმიერი აშკარად ისლამისტური ხასიათის დოკუმენტს ვეტოს დაადებს. მმართველთა საბჭოს წარმომადგენელთა ცნობით პროექტის შემუშავების პროცესი, სულ მცირე, ათი დღით გადაიდება.

ერაყის აღმშენებლობის პროცესში დროებითი კონსტიტუციის მიღება მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და არა ერთადერთი. მთავარი მაინც პროექტების განსახორციელებლად საჭირო ფინანსების მოძიება იქნება. წინასწარი გათვლებით, ერაყში ეკონომიკის აღსადგენად 33 მლრდ. აშშ დოლარი იქნება საჭირო. გუშინ არაბთა გაერთიანებული ემირატების დედაქალაქში საერთაშორისო დონორებმა 1 მლრდ. დოლარის გაღებაზე მზადყოფნა განაცხადეს. თანხები ჩაირიცხება ორ სატრასტო ფონდში, რომელთაც გაერო და მსოფლიო ბანკი განაგებს. რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის - გერმანია და საფრანგეთი, რომლებიც ერაყში სამხედრო კამპანიის წინააღმდეგნი იყვნენ, უარს ამბობენ, ფინანსურად დაეხმარონ ბაღდადს, თუ თანხების ხარჯვას აშშ და დიდი ბრიტანეთი გააკონტროლებენ. ისინი აცხდებენ, რომ მათ ურჩევნიათ, პირდაპირ დაეხმარონ ერაყს, ან ფული დამოუკიდებელ სატრასტო ფონდებს გადასცენ.

## ორი სიტყვით

**ტაჯიკეთი.** ტაჯიკეთში სამგზავრო ავტობუსი დაიწვა, რის შედეგადაც 10 ადამიანი დაიღუპა. ავტობუსი ტაჯიკეთის ერთ-ერთი რაიონიდან დუშანბეში მიდიოდა. გადარჩა მხოლოდ სამი მგზავრი და მძღოლი. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მძღოლი სამართალდამცველებს ახლა ჩვენებას აძლევს. თვითმხილველთა ცნობით, ავტობუსს ცეცხლი დუშანბეში შესვლისას გაუჩნდა და სალონს მოედო. ცეცხლის გაჩენა, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვამ გამოიწვია. ავტობუსი თხევად აირზე მუშაობდა.

■ ■ ■

**ესპანეთი.** ესპანეთის მთავრობა ევროპაში ყველაზე ძლიერი – სუპერკომპიუტერის შექმნას აპირებს. ოფიციალური მადრიდის განცხადებით, ახალი სისტემა მედიცინის და კლიმატის გამოკვლევებს მოემსახურება. ახალი კომპიუტერის ღირებულება, დაახლოებით, 87 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, ხოლო მის შესაქმნელად ოთხი წელია საჭირო. სუპერკომპიუტერის მეხსიერება ცხრა ტერაბაიტი იქნება, რაც 18 ათასი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის სიძლიერის ტოლფასია. მომავლის კომპიუტერის უპირველესი დანიშნულება ალცჰაიმერის დაავადების მიზეზების დადგენა და მსოფლიოში კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლა იქნება.

■ ■ ■

**ჩრდილოეთ კორეა.** ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა. ფხენიანის თქმით, პეკინში გამართული ექვსმხრივი მოლაპარაკებები ვერ შეძლებს იმ კრიზისის გადაწყვეტას, რაც მის ბირთვულ პროგრამებთან არის დაკავშირებული. პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება აშშ-ს მხრიდან მტრული პოლიტიკის შეცვლას მიიჩნევს. ფხენიანის აღნიშნული განცხადება გუშინ პეკინში ექვსმხრივი შეხვედრის დასრულებას დაემთხვა. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ აშშ-ს, რუსეთის, ჩინეთის, იაპონიის და ორივე კორეის წარმომადგენლები. ექსპერტთა შეფასებით, მოლაპარაკებას, ჯერჯერობით, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

■ ■ ■

**ისრაელი.** ისრაელის სამხედროებმა ღაზას სექტორში განხორციელებული რეიდის დროს სამი პალესტინელი მოკლეს, მათ შორის, ერთი ტერორისტული დაჯგუფება "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტია. სამივე პალესტინელი ქალაქ ღაზადან ლტოლვილთა ბანაკ ჯებალიაში ავტომანქანით მიემგზავრებოდა. ებრაელმა სამხედროებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც სამივე ადგილზე განადგურდა. ისრაელის არმიის წარმომადგენლების განცხადებით, სპეცოპერაცია "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტთა წინააღმდეგ განხორციელდა, რომლებიც ახლო მომავალში ისრაელის ტერიტორიაზე მსხვილმასშტაბიან ტერაქტს გეგმავდნენ.

# გერმანიაში არჩევნების წელი დაიწყო

გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გუშინ ადგილობრივი არჩევნები გაიმართა. ეს არჩევნები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ძალების განლაგების ერთგვარი ბარომეტრის როლს ასრულებს. ჰამბურგი გერმანიის ფედერაციაში მხარის სტატუსით სარგებლობს და 2001 წლამდე მას სოციალ-დემოკრატების ფორპოსტად მიიჩნევდნენ. ისინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალაქს თითქმის უცვლელად მართავდნენ. 2001 წლის არჩევნებში გამარჯვებას ოპოზიციამ მიაღწია. მართალია, პირველ ადგილზე მაშინაც სოციალ-დემოკრატები გავიდნენ, მაგრამ სამმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება შეძლო. სოციალ-დემოკრატების დამარცხებაში ტრადიციულ პარტიებს, ქრისტიან-დემოკრატებსა და ლიბერალებს (თავისუფალი დემოკრატიული პარტია) არჩევნების წინ სახელდახელოდ შექმნილი რეგიონული მნიშვნელობის პარტია დაეხმარა, რომელსაც ჰამბურგელი პოპულისტი, მოსამართლეობიდან პროცედურული ნორმების დარღვევის გამო დათხოვნილი რონალდ შილი ხელმძღვანელობდა. ჰამბურგში, სადაც ძალიან დიდია დამნაშავეობის მაჩვენებელი, კრიმინალის წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის იდეა პოპულარული იყო. ამას შილი, რომელმაც კოალიციაში შინაგან საქმეთა სენატორის (ანუ მინისტრის) პოსტი მიიღო, „კრიმინალზე სამართლებრივი სახელმწიფოს გალაშქრებას" უწოდებდა. სინამდვილეში, ამგვარი გალაშქრება ხშირად უცხოელების წინააღმდეგ უხერხული მოწოდებებისა და შევიწროების სახეს იძენდა. ამით, ბევრის აზრით, ჰამბურგის, როგორც ლიბერალური ქალაქის, იმიჯი ძალიან დაზარალდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შილი რადიკალური განცხადებებით გერმანიის ბუნდესრატში გამოვიდა და ამის თაობაზე კოალიციის სხვა წევრებს არაფერი უთხრა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქრისტიან-დემოკრატებისა და ლიბერალების მეგობრობა პოპულისტებთან დიდხანს ვერ გაგრძელდა და გასულ წელს კრახით დასრულდა. რონალდ შილი, რომელიც მხარე-ქალაქის პოპულარული მერის, ოლე ფონ ბოისტის დაშანტაჟებას ცდილობდა, თანამდებობიდან დაითხოვეს. ხელისუფლების შესანარჩუნებლად, ყოფილი ლიდერი საკუთარმა პარტიამაც კი გასწირა, თუმცა კოალიციის შენარჩუნება მაინც ვერ მოხერხდა და ვადამდელი არჩევნები აუცილებელი გახდა. ახლანდელ არჩევნებში გამარჯვებულის გამოვლენა გაჭირდება. ფონ ბოისტის წყალობით, ქრისტიან-დემოკრატები, ალბათ, პირველ ადგილზე გავლენ. თუმცა, გამოკითხვების მიხედვით, ასეთივე მაჩვენებელს მიაღწევენ სოციალისტები და მწვანეები ერთად. ყველაფერი, ალბათ, ლიბერალების წარმატებაზე იქნება დამოკიდებული. თუ ისინი 5-პროცენტიან ბარიერს გადალახავენ, მაშინ ქრისტიან-დემოკრატებთან კოალიციას შეკრავენ და ქალაქის მართვას, ამჯერად შილის ყოფილი პარტიის გარეშე გააგრძელებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალაქის მართვის სადავეები წითელ-მწვანე კოალიციამ შეიძლება დაიბრუნოს. თუმცა, ქრისტიან-დემოკრატებს იმედი აქვთ, რომ ქალაქის საკრებულოში აბსოლუტურ უმრავლესობას მოიპოვებენ.

თითოეული მხარის არჩევნებს გერმანიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბერლინში არ მალავენ, რომ ჰამბურგის შედეგები წელს დაგეგმილი არჩევნების მთელი სერიისათვის ერთგვარი გეზის მიმცემი იქნება. 2004 წელს გერმანიაში 14 სამხარეო და კომუნალური, ასევე ევროპარლამენტის არჩევნები უნდა გაიმართოს.

წელსვე, 23 მაისს ქვეყანამ სახელმწიფოს ახალი მეთაური უნდა აირჩიოს. პრეზიდენტს საგანგებოდ ამ მიზნით შეკრებილი ფედერალური კრება (ბუნდესფერზამლუნგი) ირჩევს, სადაც, ბუნდესტაგის წევრებთან ერთად, ამდენივე რაოდენობის მხარეების წარმომადგენლებიც შედიან. ამდენად, მნიშვნელოვანია, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ჰამბურგის ხმები. 23 მაისს ჰამბურგი ფედერალურ კრებაზე 12 დელეგატს გააგზავნის.

ამჟამად პრეზიდენტის პოსტი სოციალ-დემოკრატ იოჰანეს რაუს უკავია. ოპოზიციური პარტიები კი პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატის გაყვანას აპირებენ. ქრისტიან-დემოკრატები, სავარაუდოდ, ბუნდესტაგში მათი ფრაქციის თავმჯდომარის, ვოლფგანგ შოიბლეს კანდიდატურას წამოაყენებენ. შოიბლე ადრე ჰელმუტ კოლის მემკვიდრედ მიიჩნეოდა, მაგრამ პარტიული ფინანსების ირგვლივ ატეხილი სკანდალის გამო, მისი კარიერული აღმასვლა შეფერხდა. საფინანსო შემოწირულობების საკითხში შოიბლეს გვარმა ბოლო დროს ისევ გაიჟღერა. ეს მას მერე მოხდა, რაც ქრისტინ-დემოკრატების ყოფილმა საფინანსო მმართველმა, ბრიგიტე ბაუმაისტერმა თავის წიგნში შოიბლეს ბრალი დასდო, რომ კოლისა და მისი გუნდის მაქინაციების შესახებ მანაც კარგად იცოდა. მიუხედავად ამისა, ქრისტიან-დემოკრატები შოიბლეს კანდიდატურაზე უარის თქმას არ აპირებენ. შესაძლოა, მას ლიბერალებმაც დაუჭირონ მხარი. თუმცა, ამის ოფიციალურ დადასტურებას ისინი ჯერ არ ჩქარობენ. როგორც ჩანს, ლიბერალები ჯერ ქრისტიან-დემოკრატების საბოლოო გადაწყვეტილებას ელიან. ამასთან, მათ თითქმის გადაეწურათ იმედი, რომ მმართველ წითელ-მწვანე კოალიციას საკუთარი კანდიდატურის მხარდასაჭერად განაწყობდნენ. ლიბერალთა წრეებში ერთხანს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრისა და მათი პარტიის პატრიარქის, ჰანს-დიტრიხ გენშერის კანდიდატურაც ფიგურირებდა, მაგრამ, 77 წლის გენშერს დრო, ალბათ, მემუარების საწერად უფრო გამოადგება. თუმცა, პრეზიდენტის ფუნქციები მას ამაში ხელს მაინც არ შეუშლიდა. გერმანია საპარლამენტო რესპუბლიკაა და პრეზიდენტის მოვალეობები მხოლოდ წარმომადგენლობითია, თუ პოლიტიკური კრიზისების გადაწყვეტას არ ჩავთვლით. რეალური ძალაუფლება კანცლერის ხელშია თავმოყრილი. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის პოსტზე ოპოზიციის წარმომადგენლის მოსვლა ქვეყანაში მიმდინარე პროცესის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება.

# ჟან ბერტრან არისტიდმა ჰაიტი დატოვა

პირველი გვერდიდან

არისტიდმა თავისი მომხრეები უნდა აიძულოს, ამ ძალადობას წერტილი დაუსვან," - ნათქვამია თეთრი სახლის მიერ შაბათს გაკეთებულ განცხადებაში. ამ განცხადებით არისტიდისათვის ცხადი გახდა, რომ ვაშინგტონის დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონოდა.

ჯერ კიდევ შაბათს არისტიდი ამტკიცებდა, რომ საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ანუ 2006 წლამდე, პოსტს არ დატოვებდა. ამბოხებულები კი მხოლოდ მის დაუყოვნებელ გადადგომას მოითხოვდნენ. უკანასკნელ მომენტამდე აშშ კონფლიქტში არ ჩარეულა და კრიზისის დასარეგულირებლად მკვეთრი ნაბიჯები არ გადაუდგამს. ყველაზე აქტიურად ჰაიტის პრობლემის მოგვარებაში კარიბის ზღვის კუნძულის ყოფილი მეტროპოლია - საფრანგეთი იყო ჩართული. საფრანგეთი ჰაიტიზე, წესრიგის დამყარების მიზნით, საერთაშორისო ძალების გაგზავნასაც კი ითხოვდა. კონფლიქტის მხარეების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები პარიზში გაიმართა, სადაც მათ სამშვიდობო გეგმა შესთავაზეს. ამ გეგმის თანახმად, არისტიდი ძალაუფლებას პოლიტიკურ ოპოზიციას გადაუნაწილებდა. თუმცა, სამშვიდობო გეგმა კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარემ დაიწუნა.

ადრე შეთავაზებული სამშვიდობო გეგმის განხორციელება დღეს უკვე შეუძლებელი იქნება. თუმცა, არისტიდის ქვეყნიდან გამგზავრება არ ნიშნავს, რომ ჰაიტიზე მშვიდობა აღდგება. ქვეყანაში არისტიდის კიდევ ბევრი მხარდამჭერი რჩება, რომლებიც დანებებას არ აპირებენ. ამდენად,


ჟან ბერტრან არისტიდი.

არისტიდის გამგზავრების შემდეგ, სამშვიდობო დარეგულირების სქემაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესატანი.

არსიტიდის გადადგომის შემდეგ, მის მოვალეობას ახალ არჩევნებამდე ჰაიტის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბონიფაცი ალექსანდერი შეასრულებს. გუშინ მან უკვე დადო ფიცი პრემიერ-მინისტრის ივონ ნეპტუნის რეზიდენციაში.

არისტიდის ეპოქა ჰაიტიზე თავიდან იმედებით დაიწყო. იგი 1953 წელს დაიბადა და განათლება კათოლიკურ სკოლასა და სემინარიაში მიიღო. 1982 წელს არისტიდი მღვდელი გახდა და ლიბერალურ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, რომლის მიზანიც სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად ეკლესიის გააქტიურება იყო. უბადლო ორატორული თვისებების მქონე მღვდელი მალე ღარიბთა რჩეული გახდა. იგი დემოკრატიისათვის იბრძოდა და ჟან-კლოდ დუვალიეს დიქტატორულ რეჟიმს მძაფრად აკრიტიკებდა. არისტიდს დემოკრატიისაკენ მისმა მოწოდებებმა მაშინდელ ხელისუფლებაში ბევრი მტერი გაუჩინა. 1980-იან წლებში მასზე ცხრა თავდასხმა განხორციელდა. არისტიდის მოღვაწეობით კათოლიკური ეკლესიის კონსერვატიული ფრთაც უკმაყოფილო იყო. 1988 წელს იგი სასულიერო ორდენიდან გარიცხეს.

1990 წელს არისტიდი ჰაიტის პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი გახდა. თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ იგი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს. არსიტიდმა აშშ-ს შეაფარა თავი და სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ აქტიურ კამპანიას იქ აგრძელებდა. აშშ-ს დახმარებით, 1994 წელს სამხედრო დიქტატურა დამარცხდა და არსიტიდი კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნდა. მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში 1996 წელს არისტიდს მონაწილეობა არ მიუღია და იგი რენე პრევალმა შეცვალა. არისტიდის ხელმეორედ არჩევა პრეზიდენტად 2000 წელს მოხდა. თუმცა, მასში ოპოზიციას მონაწილეობა არ მიუღია. არჩევნების შედეგებს საერთაშორისო დამკვირვებლებიც ეჭვით უყურებდნენ. არისტიდის მეორე საპრეზიდენტო ვადა გამძაფრებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით ხასიათდებოდა. ოპოზიციამ უარი თქვა, 2000 წლის არჩევნების შედეგები ეღიარებინა. ამით დაიწყო მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, რომელიც გუშინ არისტიდის ეპოქის დასრულებით დამთავრდა.

# უსახური უკვდავება

*საბჭოთა კორპუსები და მათში მცხოვრები რიგითი მოქალაქეები პოსტსაბჭოთა სივრცის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ და, რა გასაკვირია, რომ ჟურნალისტი ამ ორი სამუზეუმო ექსპონატის ბედ-იღბლით დაინტერესებულიყო და ერთი სევდიანი წერილიც გამოექვეყნებინა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ეს ჩვენი კორპუსია, რომელიც, "მოსკოვის პროექტის" მქუხარე სახელის მიუხედავად, ისეთივე ნაცრისფერია, როგორც მისი ამშენებელი "პრარაბის" მიერ მოწეული "ბელომორის" ფერფლი. ცხრასართულიანის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე შექმნილ ვითარებას კი ჭკუიდან გადაჰყავს ძველი ინტელიგენტი ჯუმბერ გუნცაძე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მთელ სადარბაზოს გასახლებით დაემუქრა, - თქვენ გადამკიდეს სტუმარი ვერ მომიყვანია სახლშიო. მთავარი კი ფოტოზე არ ჩანს – იმის მიუხედავად, რომ მუნიციპალიტეტის "სერვის-ცენტრები" ბუნკერებს ყოველთვიურად პატიოსნად ასუფთავებენ, კორპუსის მოსაზღვრე ტერიტორია მაინც სავსეა ფანჯრიდან გადმოყრილი ნაგვით, რომლის წიაღში ცენტრალური ადგილი უკავია ნახმარი უნიტაზის "მაშველ რგოლს".

სხვათა შორის, უმნიშვნელო არც ისაა, რასაც ფოტოზეც კარგად ვხედავთ - ნაგავსაყრელად გამოყენებულია მთელი ხევისპირა ტერიტორია. აქ კი ისეთი მასშტაბებია, რომლის დაძლევა ბატონი ჯუმბერის შესაძლებლობებს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად აღემატება, თორემ გავიგებდით მის ღრიალს (გაგასახლებთ ყველააას!!!) მიტოვებული გაჩერებიდან და ღირსებიც ვიქნებოდით.

ასეთი დრამატული ისტორია კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მთავარ სათქმელამდე მივსულიყავით. როგორც სპეციალისტები გვამშვიდებენ, ჩვენ, საქართველოს დედაქალაქის რიგით მოქალაქეებს, ასეთ მჟავე ყოფაში ცხოვრება მოგვიწევს კიდევ 30-40 წლის განმავლობაში, ან, სულაც, მთელი ცხოვრების მანძილზე. როგორც ირკვევა, უსახური საბჭოთა კორპუსები გათვლილია 60-80 წელზე და, რაც ყველაზე სავალალოა, თურმე, გაცილებით უფრო მეტ ხანსაც გაძლებს.

**ლევან მახვილაძე,** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი: **"ძველი კორპუსების ამორტიზაციის ვადა 60-80 წელიწადია, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამის შემდეგ ეს კორპუსები დაინგრევა - არა, კიდევ გაძლებს, რაც მიწისძვრების დროსაც დადასტურდა. ბევრი დაზიანდა, გადაიხარ-გადმოიხარა, მაგრამ არც ერთი არ დანგრეულა. აქ ლაპარაკია მორალურ ცვეთაზე."**

როგორც ბატონი ლევანის ნაამბობიდან ჩანს, მორალურად დაბადებიდანვე გაუცვეთიათ თავად ტერმინი – "საბჭოთა მშენებლობა" და ეს ისტორიული მისია საბჭოთა ინდუსტრიული მშენებლობის ფუძემდებელს ნიკიტა ხრუშჩოვს უკისრია.

**"ხარისხზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ ინდუსტრიულ მშენებლობას, რომელსაც შეეძლო პრობლემების მასშტაბურად გადაწყვეტა, უდიდესი ნაკლი ჰქონდა. მასალის ეკონომიის გამო, გაფუჭდა ფართობისა და კომფორტის საკითხები. ცემენტის ეკონომიის მიზნით, ხისტი ბეტონების გამოყენება დაიწყეს. ასეთ შემთხვევაში მაცხოვრებლებს კომფორტი მაინც უნდა შეუქმნა, მაგრამ არც ეს გაკეთდა, რითიც მოხდა ინდუსტრიული მეთოდის დისკრედიტაცია. ეს მეთოდი ნიკიტა ხრუშოვმა ჩამოიტანა სკანდინავიური ქვეყნებიდან. იქ მას დადებითად იყენებდნენ, მაგრამ ათასჯერ გადააკეთ-გადმოაკეთეს, დაამახინჯეს და დაიწყეს უსახური ბინათმშენებლობა. აქცენტი გაკეთდა მხოლოდ რაოდენობაზე - არავითარი კომფორტი. ამიტომაა, რომ ზოგიერთი სადარბაზოდან მიცვალებული ვერ გამოუტანიათ."**

სწორედ "რაოდენობამ და არავითარმა კომფორტმა" დაგვღუპა ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები, რომელთა ერთადერთი იმედი – თანამედროვე მუნიციპალური მშენებლობა, თურმე, ისეთივე უპერსპექტივო ყოფილა, როგორც იმპერიალიზმის კრახი. როგორც დედაქალაქის მუნიციპალიტეტში გვითხრეს, სახელმწიფოს ხარჯზე საცხოვრებელი კორპუსი აღარასოდეს აშენდება. ასევე, გაურკვეველი მომავალი ჰქონია ისეთ მუნიციპალურ მშენებლობას, რომლის მისაბაძი მაგალითი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მისცა მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა.


ეს ჩვენი კორპუსებია.
ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

## მოსკოვის მაგალითი

ლევან მახვილაძე: **"ლუჟკოვმა გამოაცხადა ორი კონკურსი და მიიღო ბინების არაჩვეულებრივი გეგმარება და მრავალფეროვანი ფასადების დიზაინი. დაიწყო ლამაზი სახლების მასიური მუნიციპალური მშენებლობა მოძრავი კედლებით. ბინები ისეა გაკეთებული, რომ მაცხოვრებელს თავისი გემოვნების მიხედვით შეუძლია კედლების გაწევ-გამოწევა და ბინის მოწყობა. კორპუსები ააგეს პრესტიჟულ ადგილებზე და საბაზრო ფასზე ორჯერ უფრო ძვირად გაყიდეს. ამით მოსკოვის მერიამ იმდენი მოგება ნახა, რომ უმწეო და მიუსაფარ ხალხს ბინებს უსასყიდლოდ ურიგებს".**

ამრიგად, ლუჟკოვმა ერთდროულად რამდენიმე კურდღელი დაიჭირა, მაგრამ ასეთი ბედნიერება თბილისის მერებს, თურმე, კარგა ხანს არ ეღირსებათ.

## თბილისური ვაგლახი

თბილისში შეიძლება მხოლოდ ერთი რამ მოხდეს და ესეც დიდი საქმე იქნებაო, -გვითხრეს მერიაში. საუბარი ყოფილა სახელმწიფოს მიერ 15-20 წლის წინათ აღებულ ვალდებულებაზე, რომლის მცირედი ნაწილი, ალბათ, წელს შესრულდება. ესაა დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის დასრულება, რომელშიც თანხა ხალხმა გადაიხადა.

ამასთან დაკავშირებით, განმარტება მოგვცეს მერიის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს სპეციალისტებმა:

**"კომუნისტების დროს ჩვენი წლიური ბიუჯეტი 200 მილიონ დოლარს აღემატებოდა. წელს, შეიძლება, სულ 5 მილიონი დოლარი გამოგვიყონ. ამით 3-4 კოოპერატიული კორპუსის დამთავრება თუ შევძელით, ესეც კარგი საქმე იქნება."**

ერთი სიტყვით, "კოოპერატივშიკებს" რაღაც შანსი ეძლევათ. მაგრამ, სრულიად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის საბჭოთა მოქალაქეები, რომლებსაც სახელმწიფო ბინა, თითქმის, ჯიბეში ჰქონდათ.

## "პერესტროიკის" მსხვერპლნი

ღვაწლმოსილი პედაგოგის გოგუცა პავლიაშვილის ოჯახი, რომელსაც სათავეში უდგას მისი არანაკლებ სახელოვანი ქმარი, ინჟინერი ბიჭიკო მოსიავა დღემდე ერთოთახიან "ხრუშჩოვკაში" ცხოვრობს და საბჭოთა მთავრობის მიერ გაცემული გადაწყვეტილების აღსრულებას ელოდება. მართალია, მოსიყვარულე ცოლქმარს დრო ტყუილად არ დაუკარგავს და ამ ლოდინში სამი საამაყო ვაჟკაციც გაიზარდა, მაგრამ 19 წლის წინანდელი პირობის შეუსრულებლობა მათ მიმართ მაინც მეტისმეტი უსამართლობაა.

საქმეს უკიდურესად ამწვავებს ქვედა სართულზე, ასევე, ერთოთახიანში მცხოვრები მარტოხელა რუსი მეზობლის სიყვარული ყველა სახეობის მაწანწალა ცხოველებისადმი, რომლებიც ქუჩის ჭუჭყიან ცხოვრებას იმ დაბზარულ 18 კვადრატულ მეტრზეც აგრძელებენ და მშობლიურ სადარბაზოს შესაბამისი მყრალი სუნითაც უზრუნველყოფენ.

გორბაჩოვს რომ "პერესტროიკა" არ დაეწყო, ამგვარი აუტანელი მდგომარეობა დიდხანს ნამდვილად არ გაგრძელდებოდა და ყველაფერი ეროვნული მოძრაობის დაწყებამდე მოგვარდებოდა. საქმე ისაა, რომ კორპუსის მშენებლობა, რომელშიც ჩვენი პატივცემული ოჯახი უნდა შესახლებულიყო, 1989 წელს, დაუფინანსებლობის გამო, შეაჩერეს. ამ საქმიდან დღემდე მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტი შემორჩა, რომელზეც საბჭოთა მთავრობის ბეჭდით გამაგრებული გადაწყვეტილება უიმედოდ არის გახუნებული. უიმედობას კი ის გარემოება აღვივებს, რომ 15 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა, თითქმის, ბოლომდე მიყვანილი ხუთსართულიანი კორპუსების დამთავრება. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ ერთი სართულის ამოყვანა და გადახურვაღა აკლდა. ალბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამდენ თოვლ-წვიმაში აშენებულიც ინგრევა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ამ საქმეში შემამსუბუქებელი გარემოებებიც არსებობს. პირველი - აღნიშნული კორპუსები კოოპერატიული არ არის და ხალხს სიმშვიდესთან ერთად ფულიც არ დაუკარგავს; და მეორე - უპრეტენზიო დევნილები ხეირობენ, ცალკეულ ოთახებს იკავებენ და ცხოვრობენ - მართალია უკანონოდ, მაგრამ ქვეყანას გარკვეული პრობლემა მაინც ეხსნება.

ამ ამბიდან რამდენიმე დასკვნის გაკეთებაც შეიძლება – "ხრუშჩოვკები" უნდა აშენებულიყო იმ ქვეყანაში, სადაც მაწანწალა ცხოველების პრობლემა მოგვარებულია; "პერესტროიკა" უნდა მოჰყოლოდა ეროვნულ მოძრაობას. და ბოლოს, აუცილებელია დევნილების აფხაზეთში დაბრუნება.

# გიგი წერეთლის პირველი წარმატება

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გიგი წერეთელმა, თანამდებობრივი თავგანწირვის შედეგად, გადაარჩინა ის 12-მილიონიანი გრანტი, რომელიც გაერო-ს გლობალურმა ფონდმა საქართველოს შიდსის პრევენციისათვის და მკურნალობისათვის გამოუყო.

"გლობალურ ფონდში" საქართველოსათვის გრანტის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილება შარშან ივნისში მიიღეს. ამ ფაქტმა დიდად გაახარა მთელი ქვეყანა და განსაკუთრებით შიდსით დაავადებულები, რომელთა მკურნალობა განვითარებადი ქვეყნისთვის შეუძლებელია. საამაყო იყო ისიც, რომ საქართველომ წარდგენილი სრულყოფილი პროექტით აჯობა მრისხანე კონკურენტებს (მაგალითისთვის, რუსეთიც კმარა) და, შიდსის გავრცელების მხრივ, არაკეთილსაიმედო ზონაში მყოფმა სტაბილურობის გარანტიაც მოიპოვა, მაგრამ, როგორც ითქვა, საქმე კინაღამ ჩავარდა.

ივნისის შემდეგ საქართველოში განვითარებულ ნეგატიურ მოვლენებს გაერო-ს გლობალური ფონდის ხელმძღვანელობაზე შესაბამისი გავლენაც მოუხდენია და გრანტის განხორციელების საქმეში კითხვის ნიშნებიც გაჩენილა.

თურმე, დღემდე გაურკვეველი ყოფილა, შეასრულებდა თუ არა საქართველო გრანტის პირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. პირველი - ქვეყნის ბიუჯეტში, იგივე მიზნით, უნდა ჩადებულიყო გარკვეული თანხა და მეორე - შიდსთან ბრძოლაში ოფიციალური დავალებითა და მკვეთრად განსაზღვრული საქმიანობით უნდა ჩაბმულიყო უკლებლივ ყველა სამთავრობო უწყება.


პირველი პრესკონფერენცია.
ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ამის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდეს ირლანდიაში გამართული საერთაშორისო კონფერენციიდან დაბრუნებულმა საქართველოს დელეგაციის წევრებმა. დუბლინში უმაღლესი დონის კონფერენციას – "თანამშრომლობა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპასა და ცენტრალურ აზიაში" ესწრებოდა თავად გიგი წერეთელი და ინფექციური პათოლოგიების ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ ცერცვაძე.

როგორც მან აღნიშნა, გიგი წერეთელმა, მთავრობის სახელით, ვალდებულება აიღო, რომ საქართველო გრანტით გათვალისწინებულ პირობებს აუცილებლად შეასრულებდა.

ეს სულაც არ არის ადვილი, უკრაინამ ვერ შეძლო და მას გრანტი შეუჩერესო, - აღნიშნა თენგიზ ცერცვაძემ.

ბიუჯეტში თანხის გამოყოფა ადვილი, მართლაც, არ არის, მაგრამ უფრო ძნელია შიდსთან ბრძოლის უწყებათაშორისი პროგრამის განხორციელება. ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად გამოკვეთილი ფუნქციებით საქმეში უნდა ჩაებან სხვა უწყებებიც (შსს, უშიშროება, განათლება, კულტურა, სპორტი, ტურიზმი, თავდაცვა და ა.შ.). გიგი წერეთელმა კი ამის ვალდებულებაც იკისრა და, მისივე განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე მუშაობას მთავრობაში უახლოეს მომავალში შეუდგება.

დელეგაციის წევრების რწმუნებით, მას დაუჯერეს და კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვეს. თენგიზ ცერცვაძემ მინისტრის მიმართ, კოლეგების სახელით, განსაკუთრებული ნდობაც გამოხატა.

*24 საათი*

ფოსტა

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

ჩვენ მოგვმართეს დიღმის მასივის მცხოვრებლებმა იქ არსებული ტყე-პარკისა და მდ. მტკვრის ჭალის ტყის განადგურებას გადარჩენილი ნაწილის შენარჩუნება-აღდგენის თაობაზე. ჩვენთვის ცნობილია, რომ 2003 წელს თქვენი აქტიური და პრინციპული ჩარევის შედეგად, მართლაც, შეჩერებულ იქნა მათი გაჩანაგება-განადგურება, რისთვისაც მოსახლეობასთან ერთად მეცნიერებიც დიდ მადლიერებას და პატივისცემას გამოხატავენ.

ჩვენს მიერ ადგილზე დეტალურად იქნა შესწავლილი ტყისა და ტყეპარკის მდგომარეობა. ტყისა და ტყეპარკის შექმნა ქალაქის გამწვანების მუშაკთა და მოქალაქეთა მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და ფართო მასშტაბით გაიშალა. ინტენსიურად მიმდინარეობდა ბუნებრივი ტყის მოვლა-დაცვის სამუშაოებიც. შედეგად, ამ რაიონში შეიქმნა მწვანე საფარის დიდი ოაზისი, რომელმაც უდავოდ შეუწყო ხელი არა მარტო დიღმის მიკრორაიონს, არამედ მთლიანად დედაქალაქის საჰაერო აუზის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას. გაანგარიშებულია, რომ ერთი ჰექტარი ტყე და მწვანე ნარგავები ყოველწლიურად გამოყოფს 13-15 ტონა ჟანგბადს, შთანთქავს 15-17 ტონა ნახშიროჟანგს და, ასევე, ყოველწლიურად ფილტრავს გაბინძურებული მტვრისგან 40-50 ტონა ჰაერს.

ადრე აქვე განთავსებული იყო ქალაქის გამწვანების შესანიშნავი საბაზისო სანერგე მეურნეობა, სადაც ყოველწლიურად გამოჰყავდათ სხვადასხვა სახეობის ხე, ბუჩქი და ყვავილები, რომლებიც თბილისის გამწვანება-კეთილმოწყობას ხმარდებოდა.

ამდენად, ეს ტყე წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის, გაკაჟების, დასვენების მძლავრ და შეუცვლელ კერას. ასეთ ვითარებაში, ჩვენდა გასაკვირად და სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში მოხდა წარმოუდგენელი, აღმაშფოთებელი ფაქტი. მდ. მტკვრის ტერასებზე არსებული უნიკალური ბუნებრივი ჭალის ტყისა და ტყე-პარკის უმეტესი ნაწილი, ვილაცის მითითებითა და ძალისხმევით, გადაცემულ იქნა კერძო პირებსა თუ ორგანიზაციებზე, საცხოვრებელი სახლებისა და სხვადასხვა ობიექტების ასაშენებლად.

ინტენსიურად დაიწყო მშენებლობა, რასაც, სამწუხაროდ, მოჰყვა ქალაქისათვის უძვირფასესი ტყისა და ტყე-პარკის მნიშვნელოვანი ნაწილის გაჩანაგება-განადგურება, აღნიშნული ყოვლად სამარცხვინოა სახელმწიფო მოხელეთათვის, რომლებმაც დაუშვეს და არ აღკვეთეს უკანონობა, რომელიც ზიანს აყენებს ქალაქს და მის მოქალაქეებს, რომელთა მხრიდან არაერთხელ გამოთქმულა საფუძვლიანი შეშფოთება ამ უმსგავსობის გამო.

ბატონო მიხეილ, რომ არა თქვენი ოპერატიული და პრინციპული ჩარევა, ალბათ, კიდევ გაგრძელდებოდა ტყეპარკისა და ჭალის ტყის გაჩეხვა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში კატასტროფულად მცირდება ერთ სულ მოსახლეზე ნორმატივებით გათვალისწინებული მწვანე ნარგავთა ოდენობა (20-25 კვ.მ) და ამჟამად იგი 6-7 კვ.მ-ს არ აღემატება, რაც შემაშფოთებელ გარემოებას უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობასა და ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ბატონო მიხეილ, თქვენი ძალისხმევით შენარჩუნდა უნიკალური ტყის მასივი, რომელიც, მრავალრიცხოვანი მოსახლეობის საზიანოდ, არ შეეწირა მავანთა პირად ინტერესებს. მიგვაჩნია, რომ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თქვენი დავალებების საფუძველზე, უნდა განხორციელდეს ის საჭირო და გადაუდებელი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ამ დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთას და ტყისა და ტყე-პარკის გადარჩენილი უბნების მოვლა-დაცვასა და თავისუფალი ტერიტორიების გამწვანება-კეთილმოწყობას.

თითოეული ჩვენგანი იმედს გამოთქვამს, რომ მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ფინანსური სიტუაციისა, თქვენ კვლავინდებურად და უკვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან კიდევ უფრო მეტად მიაქცევთ ყურადღებას ამ მეტად საჭირო საკითხის დროულად გადაწყვეტას.

პატივისცემით:

**გიორგი გიგაური** - ვ.გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

**ოთარ კვესიტაძე** - ს.დურმიშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

**ირაკლი ელიავა** - ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**გიორგი ნახუცრიშვილი** - ნ.კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**თენგიზ ურუშაძე** - აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**რევაზ ჩაგელიშვილი** -სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ირაკლი შავლიაშვილი** - ალ.ყანჩაველის სახ. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**თენგიზ ჯაფარიძე** - აგრარული უნივერსიტეტის ზოგადი მეტყევეობისა და ბუნების დაცვის კათედრის გამგე, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი.

**შალვა აფციაური** - აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი

**ნოდარ ტარასაშვილი** - სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**მერაბ სვანიძე** - სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

**გერონტი ხარაიშვილი** - სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

**ჯუმბერ ლომიძე** - სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, მეცნიერებათა დოქტორი

**რევაზ გოცირიძე** - სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, მეცნიერებათა დოქტორი

**საერთაშორისო ფონდი კურაციო პროექტის "ჯანმრთელობის დაცვის სათემო დაზღვევის სქემები (ჯდსდს)" ფარგლებში (იაპონიის სოციალური განვითარების ფონდის დაფინანსებითა და მსოფლიო ბანკის ადმინისტრირებით) აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე: P**

- პროექტის მენეჯერი
- პროექტის მენეჯერის ასისტენტი
- პროექტის ადმინისტრატორი
- მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტი
- ჯდსდს ექსპერტი

კონსკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საერთაშორისო ფონდ კურაციოს შემდეგ მისამართზე:

**ი. ჭავჭავაძის გამზ. N37დ ან**
**იხილეთ ინტერნეტგვერდი: www.jobs.ge.**

# ქუთაისელი "კანონიერი ქურდები" სოფლის მეურნეობის დარგებსაც აკონტროლებენ

### ავტორიტეტული კრიმინალების მიერ მემწვანილეობის ბიზნესიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავალი ათეულ მილიონობით ლარია

პირველი გვერდიდან

წყალტუბოს რაიონის დაბლობის ზონის სოფლების - გეგუთის, პატრიგეთის, ტყაჩირის, ფარცხანაყანების და სხვა სოფლების მოსახლეობა, კარგა ხანია, მწვანილის ბიზნესს ეწევა. პროდუქციას ისინი რუსეთში ასაღებდნენ. მწვანილის ბიზნესი, საბჭოთა კავშირის პერიოდშიც მეტად შემოსავლიან დარგად ითვლებოდა. რუსეთთან სავაჭრო კავშირების შესუსტების შემდეგ, მწვანილის ბიზნესი ცოტა ხნით შეფერხდა და, დაახლოებით, 5-6 წლის წინ ისევ დაიწყო განვითარება. "კანონიერი ქურდებიც" ამავე პერიოდიდან იწყებენ მემწვანილეებისათვის "ფულის შეწერას". ბოლო ორი წლის განმავლობაში კი, ქურდებმა აღნიშნული ბიზნესი მთლიანად ჩაიგდეს ხელში. სპეციალისტების განმარტებით, წყალტუბოს ზონის სოფლების მწვანილის ბიზნესს 140 მილიონი ლარის საქონელბრუნვა გააჩნია. აღნიშნული თანხიდან ოცი პროცენტი, ანუ 28 მილიონი ლარი, უშუალოდ ქურდების ჯიბეში მიდიოდა და ასე გრძელდება დღემდე. მემწვანილე გლეხები თუ მეწარმეები "კანონიერი ქურდებისგან" დაშინებულნი არიან და მათ მიერ დაწესებულ გადასახადს ამჟამადაც მორჩილად იხდიან. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც აღნიშნულის წინააღმდეგ ხმის ამოღება გაბედა, "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციაა. **"სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტირება რუსეთში ხორციელდება. ამ საქმიანობით იმერეთში მიწის ათასობით მესაკუთრეა დაკავებული და მწვანილის ექსპორტში ათასობით ადამიანია დასაქმებული. ისინი მონაწილეობენ აღნიშნული საქონლის დახარისხება-შეფუთვასა და ტრანსპორტირებაში. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკაშიც. რა თქმა უნდა, ეს პერსპექტივა არ გამოპარვიათ კრიმინალებს. მათ ამ სფეროს მთლიანად მონოპოლიზება მოინდომეს და მოახერხეს კიდეც. სოფლის მოსახლეობას გარკვეულ არაოფიციალურ გადასახადებს ახდევინებენ, ქურდების მიერ არის მონოპოლიზირებული მწვანილის რუსეთში ტრანსპორტირებაც. არსებული სიტუაცია ქმნის საფრთხეს, რომ ბიზნესის ეს სახეობა ან სრულიად ჩაიხშოს ან მახინჯი ფორმით განვითარდეს. არ არის გამორიცხული, რომ საქართველომ დაკარგოს ის ნიშა, რომელიც რუსეთის ბაზარზე ამ მომენტისთვის უჭირავს, რადგანაც მას აქტიურ კონკურენციას შუა აზიის ქვეყნები უწევს. არადა, მოგება, რომელიც ამ ბიზნესის შედეგად მიიღება, წელიწადში 140 მილიონი ლარია. აქედან კრიმინალების ჯიბეში, მინიმუმ, ოცი პროცენტი მიდის. ჩვენ გვინდა, რომ მთავრობამ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მაინც მოახერხოს და ბიზნესის ეს სფერო კრიმინალებისგან გაათავისუფლოს,"** – აცხადებს "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის" ასოციაციის თავმჯდომარე ჯაბა ებანოიძე. ასოციაცია აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სატელეფონო ცხელი ხაზის გახსნას და მობილური ჯგუფების შექმნას აპირებს. ისინი რეკეტის კონკრეტული ფაქტების გამოვლენას და სამართალდამცველებისთვის გადაცემას აპირებენ. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, ასეთი ფაქტები მრავლადაა. "24 საათი" მწვანილის ბიზნესით დაკავებულ ერთ-ერთ პირს ესაუბრა. მან გარკვეული მოსაზრების გამო ვინაობის გამხელისაგან თავი შეიკავა. **"მწვანილის ბიზნესს, დაახლოებით, შვიდი წელია, ვეწევი. სოფლებში კანონიერი ქურდები არ ჩანან, მაგრამ მათ აქ თავისი ხალხი ჰყავთ, რომლებიც გვეუბნებიან, რომ ეს ფული "შავი სამყაროსთვისაა" საჭირო. დაწესებულია კონკრეტული გადასახადებიც. "კანონიერ ქურდებს" ერთ კილოგრამ მწვანილში 70 თეთრს ვუხდით,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მეწარმემ. მისივე განმარტებით, ადრე მწვანილის რუსეთში ტრანსპორტირებას ბიზნესმენები თავადვე ახდენდნენ, ბოლო პერიოდში კი ქურდებმა სატრანსპორტო ფირმები თავადვე ჩამოაყალიბეს და მეწარმეებს აიძულებენ, რომ მწვანილი რუსეთში მათი სატვირთო ავტომობილებით გადაზიდონ. ამით ქურდებმა საქართველოდან რუსეთში მიმავალი თითოეული კილოგრამი მწვანილის აღრიცხვა მოახერხეს. მემწვანილეებს კი ტრანსპორტირებაში გაცილებით ძვირს ახდევინებენ, ვიდრე თავად უჯდებოდათ. **"მწვანილი აუცილებლად ქურდების მანქანით უნდა გადავიტანოთ, ჩვენ პროდუქციის რუსეთში გატანის უფლება არა გვაქვს. თუ ადრე კილოგრამი მწვანილის ტრანსპორტირება 20 რუსული რუბლი გვიჯდებოდა, ქურდები 25 რუბლს გვახდევინებენ, როგორც მოგახსენეთ, კილოგრამზე 10 რუბლი უშუალოდ ქურდებისაა. ამავე დროს, 3 რუბლს მოსკოვის რეკეტისთვის გვახდევინებენ. საბოლოო ჯამში, ტონაზე მარტო ქურდების წილი 300-350 დოლარს აღწევს. ამას ტრანსპორტირების და მოსკოვის რეკეტის თანხებიც ემატება. ერთ სეზონზე, რუსეთში, დაახლოებით, 100-120 ტონა მწვანილს ერთი ადამიანი აგზავნის. წარმოიდგინეთ, რა თანხებზეა საუბარი. სოფლებში ახლაც დგას "კანონიერი ქურდების" მანქანები და მწვანილით იტვირთება. ყველამ იცის, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგით კრიმინალები მდიდრდებიან და არც ერთი პოლიციელი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი არანაირ რეაგირებას არ აკეთებს... ჩვენ რა უნდა ვქნათ? ვინც ქურდების წესებს არ დაემორჩილება, მოსკოვში ჩასულ მანქანებს მწვანილიანად უწვავენ, ცემენ და ძარცვავენ..."** – განაცხადა ჩვენმა რესპონდენტმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა სწორედ კრიმინალების შიშით არჩია. "მემწვანილეების" განმარტებით, რუსეთში მწვანილი თვითმფრინავითაც იგზავნება. ქურდების წარმომადგენლები საქონელს აეროპორტის საბაჟოზე ხვდებიან და მეწარმეებს თანხას იქვე ახდევინებენ. **"პოლიციელები, რა თქმა უნდა, ქურდებთან შეკრულები არიან. მწვანილით დატვირთული მათი კუთვნილი მანქანები დღემდე არავის დაუკავებია,"** - აცხადებენ მემწვანილეები.

მათივე განმარტებით, მწვანილის ბიზნესით ათამდე კანონიერი ქურდია დაკავებული. სახელდება "კანონიერი ქურდების" კვიჟინაძის, ტარიელ ფოცხვერიას, ზაზა კარკალიას, სოფრომაძის - "სოპოტიას" სახელები. აღნიშნული ბიზნესის "რეკეტი" თავდაპირველად კარკალიას დაუწყია. სხვებს მწვანილის ბიზნესში ჩარევა თავდაპირველად შეურაცხყოფად მიუღიათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ ეს ძალზე სარფიანი საქმე იყო, დაინტერესებაც გაუჩნდათ. **"რომ გაიგეს მწვანილში რამხელა ფული ტრიალებდა, უკვე სხვებიც დაინტერესდნენ. "კანონიერ ქურდებს" ფუნქციებიც დანაწილებული აქვთ, კვიჟინაძე და ფოცხვერია მწვანილის ტრანსპორტირებას კურირებენ; სოფრომაძე ("სოპოტია") კი მწვანილის საჰაერო გზით გატანას ზედამხედველობს; ხოლო დანარჩენები კი ტვირთს მოსკოვში ხვდებიან,"** – აცხადებენ საქმეში ჩახედულნი. აღნიშნული ფაქტების შესახებ "მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციამ" საქმის კურსში რწმუნებული დათო მუმლაძეც ჩააყანა. იგი მეწარმეებს კონკრეტულ დახმარებებს დაჰპირდა. **"ჩვენი მიზანია, ამ საქმით დაკავებულმა სუბიექტებმა ჩამოაყალიბონ ასოციაცია. მას შუამდგომლობას გავუწევთ საფინანსო ორგანიზაციებთან, რომლებსაც გააჩნიათ თანხები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ტრასპორტირების პრობლემების გადაწყვეტაშიც მივეხმარებით,"** – აცხადებენ "მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციის" წარმომადგენლები.

თუმცა, ჯერჯერობით, სიტუაცია უცვლელია - მემწვანილეთა უმეტესობა კრიმინალებისგან კვლავ დაშინებულია და მათთვის ფულის გადახდას მანამდე აპირებენ, სანამ სახელმწიფოსგან ქურდების დასაკავებლად გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს არ დაინახავენ. ამჟამად "მემწვანილე" ქურდების უმეტესობა რუსეთშია გახიზნული. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული ბიზნესიდან სახელმწიფოს, გადასახადების სახით, არც ერთი თეთრი არ მიუღია. "მემწვანილეები" აცხადებენ, რომ ქურდების მოცილების შემთხვევაში, ისინი ბიუჯეტში გადასახადებს პატიოსნად გადაიხდიან.

# თბილისში ბოლო ორ დღეში მომხდარი მკვლელობის საქმეები გაუხსნელია

გუშინწინ, დღისით-მზისით, კოსტავას ქუჩაზე მდებარე სამედიცინო ცენტრის "ექიმი გილის" მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობა ჯერ არ გახსნილა. მოკლულის ვინაობა ორი დღის განმავლობაში დაუდგენელი იყო. გუშინ საღამოს კი სამართალდამცველებმა გარდაცვლილის სახელი და გვარი დაასახელეს. კახა სიხარულიძე, წმინდა სამების ტაძრის მშენებლობის ფონდის თანამშრომელი – ასეთი გახლავთ ორი დღის განმავლობაში მოკლულის შესახებ სამართალდამცველთა მიერ მოპოვებული მონაცემები.

როგორ და რა ვითარებაში მოხდა მკვლელობა, ჯერ კიდევ უცნობია. სავარაუდოდ, კახა სიხარულიძე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. მას სასიკვდილო ჭრილობა გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული.

გუშინწინ, კოსტავას ქუჩაზე დღის საათებში მომხდარი მკვლელობის საქმის სირთულე ის გახლავთ, რომ მიუხედავად იმისა, მომხდარს არაერთი მოწმე შეესწრო, თვითმხილველები გამოძიებას თავს არიდებენ და ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებენ.

გუშინ კიდევ ერთი მკვლელობის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, თუმცა, ისიც ისევე საიდუმლოებითაა მოცული, როგორც კახა სიხარულიძის მკვლელობა. გუშინ დილით, დაახლოებით ათ საათზე, ყაზბეგის ქუჩაზე ერთ-ერთ სადარბაზოში ცხედარი იპოვეს. მას ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მძიმე ჭრილობა აღმოაჩნდა. გარდაცვლილის ვინაობა მისი პოვნიდან რამდენიმე წუთში უკვე დადგენილი იყო. მოკლული თამაზ კეშელავაა, რომელსაც, სავარაუდოდ, გუშინწინ, გვიან ღამით ესროლეს.

**"ამ ორი მკვლელობის შესახებ ვერანაირ ინფორმაციას ვერ მოგცემთ. მიმდინარეობს გამოძიება, რომლის თითოეული დეტალიც მნიშვნელოვანია და გასაიდუმლოებას ითხოვს. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ორივე მკვლელობის შესახებ გარკვეული ოპერატიული ინფორმაციები გაგვაჩნია. ყველაფერი კეთდება საქმის ოპერატიულად გახსნისა და მკვლელების სასწრაფოდ დაკავებისთვის,"** - ასეთ მოკლე კომენტარებს აკეთებდნენ "24 საათთან" საუბრისას გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის სამართალდამცველები.

*24 საათი*



ინტერპრესი

*ორი დღის განმავლობაში სამართალდამცველებმა მხოლოდ მოკლულის ვინაობის დადგენა შეძლეს.*

# ყაჩაღურ თავდასხმას ოჯახის დიასახლისის სიცოცხლე შეეწირა

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინწინ, ღამის საათებში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათში მცხოვრებ ზურაბ ფაჟავას ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმა მკვლელობით დასრულდა.

ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა ხუთმა ნიღბიანმა თავდამსხმელმა მოტყუებით შეაღწია ფაჟავების ოჯახში. თავდაპირველად, ორმა მათგანმა ფაჟავების საცხოვრებელ სახლში, პირველი სართულის ფანჯრიდან შეაღწია. მათ, იმავე ფანჯრიდან, მუქარით გადმოიყვანეს ზურაბ ფაჟავას 16 წლის ვაჟი, აიძულეს, ყაჩაღებს წინ გაძღოლოდა და მამისთვის კარის გაღება ეთხოვა.

ოჯახის უფროსმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რასაც ყაჩაღების მხრიდან ცეცხლის გახსნა მოჰყვა. რამდენიმეწუთიანი შეუჩერებელი სროლის შედეგად, სასიკვდილოდ დაიჭრა ოჯახის დიასახლისი ელისო ქირია. ის ადგილზევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა, სროლითვე, უკან დაიხიეს და მიიმალნენ.

თვითმხილველთა განცხადებით, ბოროტმოქმედები ყუმბარმტყორცნითაც იყვნენ შეიარაღებულნი. პოლიციის ვარაუდით, ყაჩაღები ფაჟავების ოჯახს თხილის მარაგის წასაღებად დაესხნენ თავს. თავად დაზარალებული, სიკვდილს გადარჩენილი ზურაბ ფაჟავა აცხადებს, რომ სახლში 500 კილოგრამამდე თხილს ინახავდა.

პოლიცია, ცხელ კვალზე, ყაჩაღებს მთელი ღამის განმავლობაში ეძებდა, თუმცა მათი დაკავება მაინც ვერ მოხერხდა. როგორც ჩვენთან საუბრისას ზუგდიდის რაიონის პოლიციის უფროსმა კახა რაფავამ განაცხადა, ხუთივე თავდამსხმელმა აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შეაფარა თავი.

ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცველებს უკვე დადგენილი აქვთ ფაჟავების ოჯახზე მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმაში მონაწილეთა ვინაობა. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი სახელ-გვარები, ჯერჯერობით, მკაცრად გასაიდუმლოებულია, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არის ეჭვი, რომ ხუთივე ნილბიანი ყაჩაღი რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეული მსჯავრდებულები არიან, რომლებიც ენგურს იქით იმალებიან და აფხაზ კრიმინალებთან არიან შეკრული.

**"მათ დასაკავებლად ყველაფერი ვიღონეთ, თუმცა ღამის დევნა უშედეგო აღმოჩნდა. მათმა კვალმა მდინარე ენგურამდე მიგვიყვანა. სანამ აფხაზური მილიცია სერიოზულ ზომებს არ მიიღებს და ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, აქ სიტუაცია არ გამოსწორდება, ყველა ძებნილი და კრიმინალი აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა თავმოყრილი, როცა მოუნდებათ, გადმოვლენ, დააყაჩაღებენ ხალხს, მოკლავენ და ისევ იქ გადადიან"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზუგდიდის რაიონის პოლიციის უფროსმა კახა რაფავამ. ის ხუთშაბათის მორიგი, ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრისთვის სერიოზულად ემზადება და აფხაზური მხარისთვის ულტიმატუმების წაყენებას აპირებს.

ჩვენი ინფორმაციით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ზუგდიდის რაიონში ყაჩაღობის სამი და ქურდობის ორი ფაქტია გახსნილი, გუშინწინ, ღამით კი პოლიციამ შეიარაღებული ყაჩაღური დაჯგუფების ორი წევრი - ვანო კორძაძე და ირაკლი ახალაია დააკავა, რომელთაგან ნაყაჩაღარი ნივთები უკვე ამოღებულია. ბანდის დანარჩენ წევრთა ადგილსამყოფელის დასადგენად სამუშაოები მიმდინარეობს.

# საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მაიორს შინაპატიმრობა მიუსაჯეს

*მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ რამდენიმე დღის წინათ დაკავებული სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი, დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი, მაიორი ირაკლი პაპავა, ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ სახლში გაუშვა და შინაპატიმრობა მიუსაჯა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

საქმე ისაა, რომ ირაკლი პაპავასთვის აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება თავად მთავარი სამხედრო პროკურატურის გამომძიებლებმა არ ჩათვალეს მიზანშეწონილად.

შეგახსენებთ, მთავარ სამხედრო პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარებული ირაკლი პაპავა შვიდსაათიანი დაკითხვის შემდეგ წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება წაუყენეს. საქმე ეხება რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილი ბორის ბერეზოვსკის საქართველოში გასაიდუმლოებულ ვიზიტს. მაშინ ბერეზოვსკიმ საზღვარი პლატონ ელენინის სახელით გადმოკვეთა. გამოძიება პაპავას სასაზღვრო სამსახურის წესის დარღვევაში ედავება. გამოძიების მტკიცებით, ამ დარღვევამ სახელმწიფო ინტერესებს არსებითი ზიანი მიაყენა და სახელმწიფო უშიშროების ინტერესის ხელყოფა გამოიწვია. გამოძიების მტკიცებითვე, ირაკლი პაპავამ საქართველოში ბერეზოვსკის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე აეროპორტის სასაზღვრო გამტარი პუნქტის კომპიუტერულ ბაზაში არსებული ძებნილების სიიდან ბორის ბერეზოვსკი მოხსნა, რის გამოც იგი ადგილობრივმა მესაზღვრეებმა საზღვარზე უპრობლემოდ გამოატარეს.

ირაკლკი პაპავას დაკავების დღესვე მთავარ სამხედრო პროკურატურაში ირწმუნებოდნენ, რომ გამოძიება უახლოეს დღეებში დაადგენდა იმ ეჭვმიტანილთა წრეს, რომელიც საერთაშორისო ძებნილის - ბორის ბერეზოვსკის საქართველოში გასაიდუმლოებული ვიზიტის ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას. საუბარი იყო ინციდენტში "ინტერპოლის" თბილისის ბიუროს მონაწილეობაზეც. თუმცა, მთავარ სამხედრო პროკურატურას ამ საქმეში სხვა ეჭვმიტანილი, ჯერჯერობით, არ ჰყავს.

**"სასამართლოს მივმართეთ შუამდგომლობით, აღმკვეთ ღონისძიებად პაპავასთვის შინაპატიმრობა შეეფარდებინა. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ პაპავა გამოძიებას ხელს არ შეუშლის და არ დაიმალება. გამოვიჩინეთ ჰუმანურობა, გავითვალისწინეთ მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობა. სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა, რადგან მოსამართლემაც არ ჩათვალა საჭიროდ ირაკლი პაპავას წინასწარ სამთვიან პატიმრობაში ყოფნა",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას მთავარმა სამხედრო პროკურორმა პაატა ჯახუტაშვილმა. მისივე თქმით, გამოძიება გრძელდება და თუკი საჭირო გახდება, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და ანალიზის სამმართველოს უფროსს, მაიორ ირაკლი პაპავას კვლავ გამოიძახებენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 საპყრობილეში, რომელიც შს სამინისტროს სარდაფშია განთავსებული, გაცილებით უარესი პირობებია, ვიდრე თბილისის N5 საპყრობილეში, - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე. მისივე თქმით, ეს იზოლატორი რამდენიმე წლის წინათ წამების საერთაშორისო კომიტეტმა, როგორც საპყრობილე, ხელისუფლებას დაახურინა, თუმცა დღეს ის ისევ აღადგინეს.

N7 საპყრობილის საკნებში სინესტე და სიბნელეა, არ არის საპირფარეშო და წყალი. გარდა ამისა, საპყრობილეში შესვლის უფლება, სხვა საპატიმროებისაგან განსხვავებით, არ აქვთ იუსტიციის სამინისტროს პენიტენციალური სისტემის დამოუკიდებელი საბჭოს წევრებს. "ამ იზოლატორს წინა ხელისუფლება პოლიტპატიმრების - "ზვიადისტებისა" და "მხედრიონელების" იზოლაციისათვის იყენებდა. დღეს იქ, ძირითადად, უპატრონო პატიმრები არიან. ჩვენ ვაპირებთ, ამ იზოლატორთან დაკავშირებული საკითხი იუსტიციის მინისტრის წინაშე დავსვათ", - აცხადებს ნანა კაკაბაძე.

შეგახსენებთ, რომ ამ საპყრობილეშია მოთავსებული პრეზიდენტ შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე, რომელსაც წინასწარი სამთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ წითელი ხიდის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე საბაჟო დეპარტამენტის ორი თანამშრომელი, კახა თხელიძე და გია მდივნიშვილი დააკავა.

საოლქო პროკურორის მამუკა ცაავას ინფორმაციით, მათ საზღვარზე განუბაჟებლად გაატარეს რამდენიმე ათეული "იკარუსის" მარკის ავტობუსი, რომლებიც აზერბაიჯანიდან შემოჰყავდათ.

სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით არის აღძრული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს ძებნის სამმართველოსა და გენპროკურატურის თანამშრომლებმა გორში, ისრაელის სამართალდამცავების მიერ ძებნილი, 32 წლის ზაზა შოშიაშვილი დააკავეს.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ისრაელის მოქალაქე შოშიაშვილი მამათმავლობისა და გაუპატიურებისათვის იძებნებოდა. დაკავებული უკვე გადაყვანილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეხუთე საპყრობილეში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების თავის არიდების ფაქტზე ინდივიდუალური მეწარმე თბილისელი 57 წლის გაგიკ გრიგორიანი ამხილეს. როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, გრიგორიანს ვაჟა-ფშაველას გამზირზე იჯარით აღებულ ფართზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სასინჯი ზედამხედველობის ლიცენზიის გარეშე მოწყობილი ჰქონდა სალომბარდო პუნქტი, სადაც ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ვაჭრობას ეწეოდა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ჩატარებული შემოწმების აქტის შედეგად, გრიგორიანი საწარმოს დაარსების დღიდან - 2002 წლის პირველი მარტიდან დღემდე, არ აწარმოებდა საბუღალტრო აღრიცხვიანობას და, შესაბამისად, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას არ ახდენდა. გრიგორიანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა სოციალური, საშემოსავლო, ეკონომიკური და საგზაო ფონდის გადასახადი 45 837 ლარის ოდენობით, რომლიდანაც ძირითადი თანხა 23 479 ლარს შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი, ორჯერ ნასამართლევი, 23 წლის გიორგი მესხორაძე დააკავეს. მესხორაძემ ყაჩაღობის ექვსი ფაქტი აღიარა, აქედან ერთი ქუთაისში, ხოლო ხუთი ტყიბულში ჩაიდინა. მესხორაძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია ავტომატის 2 მჭიდი, 58 ვაზნა, 2 ხელყუმბარა, ნაქსოვი ნიღაბი და ნაყაჩაღარი ნივთები. პოლიციამ დაადგინა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილის თანამზრახველები, რომლებსაც უახლოეს დღეებში დაკითხავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ვანის რაიონში გუშინ ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა. ინციდენტი დილით მოხდა. ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღით შეიარაღებული სამი პირი სოფელ მუქუდში მცხოვრებ ოლეგ ჭუმპურიძის ოჯახს დაესხა თავს. ყაჩაღური ჯგუფის წევრებს სამხედრო ფორმები ეცვათ და ძაღლი ჰყავდათ თან. თავდამსხმელებმა იარაღის მუქარით ოჯახის წევრებს ოქროს ბეჭდები, 260 ლარი და სხვა ნივთები წაართვეს. მომხდართან დაკავშირებით, ვანის პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლით აღძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის პოლიცია უშედეგოდ იკვლევს მამაკაცის ვინაობას, რომლის გვამი ერთი კვირაა, სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს პროზექტურაში ასვენია. უცნობი 22 თებერვალს ქუთაისში, კაფე-ბარ "ჭადრების" წინ უგონო მდგომარეობაში იპოვეს, ის ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც ქუთაისის პოლიციის უფროსი თენგიზ მორჩაძე აცხადებს, მომხდარის შესახებ ინფორმაცია პოლიციამ მამაკაცის დაღუპვისთანავე სხვადასხვა წყაროებით გაავრცელა, თუმცა დღემდე მას არავინ შეხმიანებია. პოლიცია მიიღებს გადაწყვეტილებას გარდაცვლილის დაკრძალვის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შემთხვევა ქუთაისში ორი თვის წინ დაფიქსირდა და მაშინ მიცვალებულს პატრონი დაკრძალვის შემდეგ გამოუჩნდა. **ინტერ-პრესი**

# სანდრა რულოვსი:
# "ჰოლანდიაში ცხოვრება გამიჭირდება"

ინტერვიუ ჩაწერილია ბერლინში, საქართველოს პრეზიდენტის გერმანიაში ვიზიტის დროს

ნოდარ დუგლაძე

**- ქალბატონო სანდრა, უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ, ჩვენთან სასაუბროდ დრო რომ გამონახეთ და გთხოვთ, გააცნოთ თქვენი თავი უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს.**

- ჩემი ბიოგრაფია უკვე საკმაოდ ცნობილია, მაგრამ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით გიამბობთ. მე დავიბადე ჰოლანდიაში. შემდეგ ვსწავლობდი ბელგიაში, გერმანულ და ფრანგულ ენებს. ამასთანავე, ვმუშაობდი თარჯიმნად, მაგრამ ამ სფეროში მოღვაწეობა აღარ მსურდა და გადავწყვიტე, ჩემთვის სასურველი საქმის კეთება დამეწყო - საქველმოქმედო საქმიანობით დავკავებულიყავი. გარდა ამისა, ბავშვობიდანვე დიდი ინტერესი მქონდა უცხოური კულტურების მიმართ, რაც ჩემი ოჯახის დამსახურებაა.

თავდაპირველად მუშაობა დავიწყე წითელ ჯვარში, საიდანაც სომალიში მიმავლინეს ექსპერტად. შემდეგ ამ სფეროში მოღვაწეობის გაგრძელება გადავწყვიტე და ამის გამო 1993 წელს სწავლა გავაგრძელე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტში.

მოგვიანებით ვესტუმრე საქართველოს, სადაც მანამდე ერთი წლით ადრე უკვე ნამყოფი ვიყავი. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა საქართველოში დიდი არეულობა სუფევდა, რის გამოც სოხუმიდან მოსკოვში მატარებლით ველარ მივდიოდი და სრულიად შემთხვევით, ერთ რუს ქალბატონთან ერთად, სტუმრად აღმოვჩნდი ქუთაისში, საფიჩხიაზე, ერთ-ერთ უპატიოსნეს ოჯახში. ის ადამიანები დღემდე ჩემი უახლოესი მეგობრები არიან. ეს ისტორია მიშას გაცნობისთანავე ვუამბე. იმ ფაქტმა, რომ ჰოლანდიელი გოგონა ჯერ აფრიკაში, ხოლო შემდეგ საქართველოში იყო ნამყოფი, იგი ძალიან გააოცა და გაახარა. ჩვენ სწორედ გუშინ ვეწვიეთ სტრასბურგში იმ კაფეს, სადაც მე და მიშა პირველად შევხვდით ერთმანეთს.

**- ქალბატონო სანდრა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ დღემდე ეწევით საქველმოქმედო საქმიანობას?**

- დიახ, საქართველოში თავდაპირველად წითელ ჯვარში, ხოლო შემდეგ ჰოლანდიის საკონსულოში ვმუშაობდი. სწორედ იქ მუშაობის დროს გადავწყვიტე, შემექმნა საქართველოს დახმარების ფონდი. 1998-1999 წლებში ამ ფონდის მეშვეობით ქართველი მოსწავლეებისთვის შევიძინეთ სასკოლო ნივთები, შემდეგ დავეხმარეთ მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს. მომავალში სამედიცინო სფეროშიც ვაპირებთ დახმარების გაწევას. ასევე, მაქვს კიდევ ერთი, უფრო აბსტრაქტული პროექტი, რომელიც ავადმყოფ ადამიანთა საზოგადოებაში ინტეგრაციას ითვალისწინებს. ამისათვის ჩვენ ვავრცელებთ ბროშურებს და ვაკეთებთ სატელევიზიო გადაცემებს.



საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალზე.

**- ქალბატონო სანდრა, თქვენმა მეუღლემ თხოვნით მიმართა საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს, რომ დაბრუნდნენ საქართველოში. ამ განცხადებას საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა უცხოეთში მყოფ ქართველთა შორის. თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საკითხთან დაკავშირებით?**

- ამ აზრს, რა თქმა უნდა, მეც ვუერთდები და მიმაჩნია, რომ ახლა ზუსტად ის დროა, როდესაც უცხოეთში განათლებამიღებული ქართველები უკან უნდა დაბრუნდნენ და თავიანთი ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს მოახმარონ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დარიგდება თანამდებობები, მაგრამ ერთი რამ ცხადია, პოლიტიკა იქნება გამჭვირვალე, რაც მათთვის კარგი პერსპექტივაა.

პირადად მე ბევრ ოჯახს ვიცნობ, რომელთა წევრები სხვადასხვა მიზნით უცხოეთში არიან წასულები. თქვენ წარმოიდგინეთ, ისინი რომ დაბრუნდნენ თავიანთი გამოცდილებით, ახალი ენერგიით და ყოველივე ეს თუნდაც თავიანთ ოჯახის წევრებს, მეგობრებსა თუ ნათესავებს გაუზიარონ, რამხელა რეზონანსი შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას.

რაც შეეხება მათ მენტალიტეტს, რა თქმა უნდა, ის ასე სწრაფად არ შეიცვლებოდა, მაგრამ მათ უკვე კარგად იციან შრომის ფასი. ისე, მე თუ მკითხავთ, ქართული მენტალიტეტი არც უნდა შეიცვალოს. მე ვგულისხმობ ადამიანთა შორის ურთიერთობას და ურთიერთგამტანობას. ეს ძალიან კარგი თვისებაა და არ უნდა მოიშალოს. სწორედ ამიტომაა, რომ როდესაც ჩემს სამშობლოში ჩავდივარ, ვფიქრობ, რომ მე, თუკი ოდესმე კვლავ მომიწევს ჰოლანდიაში გადასვლა, იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ყველაფერი თითქოს წინასწარაა გათვლილი, ნამდვილად გამიჭირდება.

უცხოეთში უკვე ბევრი შერეული ქართული ოჯახია. ჩემი აზრით ისინი აუცილებლად უნდა ჩამოვიდნენ საქართველოშო და გაიცნონ თავიანთი მეუღლეების სამშობლო, მათი ოჯახები, ქართული კულტურა და ტრადიციები, რომელიც ნამდვილად ღვთისგანაა ნაბოძები. შეისწავლონ საქართველოს ისტორია, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ ხალხის ეთნოფსიქოლოგიის გასაცნობად და მერე, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქვეყნიდან წასვლა აღარ მოუნდებათ. მე არ ვიცი არც ერთი უცხოელი, რომელსაც საქართველოში მეორედ ჩამოსვლის სურვილი არ გასჩენოდეს. არ შეიძლება უცხოელს არ ხიბლავდეს თუნდაც ტრადიციული ქართული სუფრა.

რაც შეეხება ქართულ ენას, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, მაგრამ მათ მხოლოდ ანბანიც რომ ისწავლონ, ესეც უკვე დიდი საქმე იქნება.

ევროპის ქვეყნებში, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ლტოლვილია. საკონსულოში მუშაობის დროს ხშირად მიხდებოდა მათთან შეხვედრა და საუბარი. მე მათ ვაფრთხილებდი, რომ იოლი არ იქნებოდა უცხოეთში ცხოვრება, ბევრმა ისმინა ჩემი დარიგება, ბევრმა კი არა. მე, რა თქმა უნდა, შევდივარ მათ მდგომარეობაში, ისინი ხომ გაჭირვებამ აიძულა, რომ სამშობლო დაეტოვებინათ.

**- ქალბატონო სანდრა, როგორია თქვენი აზრი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ?**

- მე გულით ჰოლანდიელი, ხოლო სულით ქართველი ვარ, ამიტომ, რა თქმა უნდა, მომხრე ვარ.

**- ქალბატონო სანდრა, რომელი ყვავილი მოგართვართ პირველად თქვენმა ქართველმა თაყვანისმცემელმა?**

- რა თქმა უნდა, ვარდი.

**- დიდი მადლობა საუბრისთვის.**

მოულოდნელი რაკურსი

# სიტყვა და საქმე

პირველი გვერდიდან

საბოლოოდ კი რა გამოვიდა? რა და მძევლების გაცვლა. ჩახვაძისა და მიქელაძის სანაცვლოდ აბაშიძემ ორი დაპატიმრებული "კმარელი" გაათავისუფლა. არსებითად, ხელისუფლებამ გააკეთა იგივე, რასაც აბაშიძე აკეთებს ხოლმე: ჯერ გამოგონილი საბაბით დააკავა პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელი (ჯემალ გოგიტიძეც ხომ სულ იმას იმეორებს, თითქოს ოპოზიციის აქტივისტებს იარაღის უნებართვო ტარებისთვის აპატიმრებენ), მერე კი კულუარული მოლაპარაკებით ორ მხარდამჭერში გადაცვალა. შესაძლოა არც იყო ასე, მაგრამ ნამდვილად ასე გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალური დამკვირვებლისთვის მხოლოდ ასე ჩანდა.

მოვლენათა ამდაგვარი განვითარება აშკარად დამაფიქრებელია. პოლიციას სრული კანონიერი საფუძველი გააჩნდა დამრბევთა დაკავებისთვის. საამისო პოლიტიკური ფონი, ხელისუფლების უმაღლეს პირთა განცხადებების ჩათვლით, კარგა ხანია არსებობს. გარდა ამისა, ასლან აბაშიძისთვის და ყველა მისი მომხრე-მოიმედეებისთვის ეს ფაქტი გამჭვირვალე მინიშნება იქნებოდა იმაზე, რომ ხელისუფლება აღარ მოითმენს რეგიონის ხელმძღვანელის თვითნებობას და დარბევებში მონაწილე ყველა ასლანისტი კანონის მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს.

ყოველივე ამისთვის კი მხოლოდ ორი რამ იყო საჭირო: მტკიცე ნების გამოვლენა და სიმართლის თქმა. ხელისუფლებამ რომ ვერც ერთი მოახერხა და ვერც მეორე, ცხადლივ გამოჩნდა. გაცილებით საინტერესოა ის, თუ რატომ ვერ მოახერხა.

აქ თითქოს წმინდა ვარაუდების სფეროში გადავდივართ, რადგან ხელისუფლების ქმედება ელემენტარულ ლოგიკას არ ექვემდებარება. თუ გამწვავება არ უნდოდათ, მაშინ რას აპატიმრებდნენ და თუ არ ერიდებოდნენ გამწვავებას, მაშინ რაღას უშვებდნენ. იარაღის ტარება კი საერთოდ რა შუაში იყო და რატომ არ დასდეს ჩახვაძეს და მიქელაძეს ბრალი იმაში, რაშიაც მართლა დამნაშავეები იყვნენ?

არადა ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი შეხედვითაა ალოგიკური. ნებისმიერ საქმეში, სადაც არ არსებობს არათუ დეტალურად დამუშავებული გეგმა, არამედ თუნდაც ამ გეგმის წინასწარი მონახაზი, ქმედებები ყოველთვის სპონტანურად და იმპროვიზაციის ხარჯზე ხდება. ვარდების რევოლუციის შემდეგ, გამარჯვებული ხალხის ხელისუფლების აქილევსის ქუსლი სწორედ პროგრამული ხედვების, მწყობრად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმის არარსებობა გახდა. ეს, გარკვეულწილად, ობიექტური მიზეზებითაც გახლდათ გაპირობებული: ახალი ხელისუფლების ფორმირების პროცესი ხომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს და იგი საბოლოოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჩამოყალიბებისა და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დასრულდება. თუმცა, ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: არის ლაპარაკი, რომ ყველა სფეროში რეფორმები უნდა გატარდეს, მაგრამ არავინ ლაპარაკობს იმაზე, თუ კონკრეტულად რა რეფორმის გატარებაა ჩაფიქრებული.

ანალოგიური ვითარებაა აჭარასთან მიმართებაშიც. ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ბოლო მოუღოს აბაშიძის თვითნებურ მმართველობას და აჭარის ავტონომია კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოაქციოს, მაგრამ "სტუდენტების ეპიზოდი" აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ აქტივობები ამ მიმართულებით არ არის სათანადოდ დაგეგმილი და კოორდინირებული. ხელისუფლება, ჯერჯერობით, კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმით, რომ სიტყვიერ რეაგირებას ახდენდა აბაშიძის რეჟიმის და მისი ოპოზიციის ქმედებებზე. ჩახვაძის და მიქელაძის დაკავება პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სიტყვას საქმე მოჰყვა, მაგრამ იგივე შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ეს უფრო იმპროვიზაციის, კონკრეტული პირების ინიციატივის გამოვლენა იყო, ვიდრე სახელისუფლებო პოლიტიკის.

ეჭვი არ არის, რომ სტუდენტების გათავისუფლებას აბაშიძე საკუთარ გამარჯვებად მიითვლის და მისი თვითდაჯერებულობა გაიზრდება. არაფერი ისე არ ათავხედებს შანტაჟისტს, როგორც დათმობა. აბაშიძის პოლიტიკა თბილისის მიმართ კი ყოველთვის შანტაჟზე იყო აგებული. შევარდნაძესთან მას ეს გასდიოდა. ახლა იმედი მიეცა, რომ სააკაშვილთანაც გაუვა. იმედია, უსაფუძვლოდ.

თუმცა, შანტაჟის უიმედობაში რომ დარწმუნდეს, აბაშიძემ თვალნათლივ უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლება მარტო კი არ ლაპარაკობს, არამედ მოქმედებს. მის სიტყვას საქმე მოსდევს და ოპოზიციის წარმომადგენელთა ხელყოფა დაუსჯელი არ დარჩება. ამისთვის ხელისუფლებას სულ ორი რამ სჭირდება: მტკიცე ნება და სიმართლის თქმა. თუმცა, ამ ორზე არანაკლებად ჭირდება კიდევ ერთი: აქტივობათა დაგეგმვა და ქმედებათა განხორციელება დასახული გეგმის მიხედვით. რაც მოხდა, იმას უკვე აღარაფერი ეშველება, მაგრამ სამომავლო დასკვნები მაინც უნდა გაკეთდეს. ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ ჯერ რაღაც ქნა და მერე დაფიქრდე, ახლა რა ვქნაო. პირიქით ჯობია.

და არა მარტო ამ შემთხვევაში...







www.24hours.ge
24
B

ნოდარ ლადარია


ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




გაზაფხულდა, გაზაფხულდა! — ჰოდა, თბილისის ქუჩებშიც, ვერის პარკის შესასვლელთან საგაზაფხულო დეფილეც გაიმართა. განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვა საგაზაფხულო კომპლექტმა "დაჩაგრული მეცენატი": ლურჯი ჯინსები, ვარდისფერი პერანგი და წითელი ველვეტის პიჯაკი. ფერებისა და სტილების ჭეშმარიტად ნოვატორული შეხამება მეტყველებაშიც აისახება — ზვიოს სინტაქსსა და შონზოს ლექსიკას მარილიანი ქართულის მწიკვიც ემატება, რომელსაც დროდადრო ჩურჩულით აშველებს იქვე მდგომი ცოლისძმა...

ეჰ, ლადაობა ყოველთვის ადვილია, მით უმეტეს, როცა ამდენ საბაბს გაძლევენ. მაგრამ სერიოზულად რომ ვილაპარაკოთ, საქმე საკმაოდ სერიოზულადაა და მდგომარეობის სერიოზულობა ახსნა-განმარტების ნაკლებობაში გამოიხატება. შესაძლოა, ვიღაცას ჰგონია, რომ დაჭერები, რომლებმაც უკვე კარგა ხანია საყველპურო ქართულშიც დაიმკვიდრა ადგილი ("ყველა დასაჭერია!"), თავისთავად საკმარისია ამომრჩეველთა ნდობის განსამტკიცებლად, ან თვითმფრინავის ტრაპთან "გაფსკვანჩული" ჯოხთაბერიძის თავხედური გამომეტყველება თავისთავად ზიზღის მომგვრელია. რა თქმა უნდა, ამგვარ განწყობაში არის თავისი ლოგიკაც და საფუძველიც, მაგრამ არაა გათვალისწინებული ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ამ ქვეყანაში დასაჭერთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ყველას დასაპატიმრებლად საჭირო დრო მრავალჯერ სჭარბობს იმას, რომლის განმავლობაში ტელევიზორით განმეორებული და პრესაში გაშუქებული ერთი და იგივე სანახაობა ბოლოს და ბოლოს ყველაზე გაავებულსა და გაჭირვებულ ამომრჩეველსაც მობეზრდება.

არა, ეს გაავებული და გაჭირვებული ამომრჩეველი იმდენად ბრიყვი და უმადურიც არ აღმოჩნდება, რომ მაშინვე იყვიროს, დამასაქმეთ და დამაპურეთო, მაგრამ ახსნა-განმარტებას კი მოითხოვს. დიახ, ამომრჩეველს პროპაგანდა სჭირდება და ამაში მართალიც არის. თანაც ქართველი ამომრჩეველი საკმაოდ სწრაფად ეჩვევა ღრმა აზროვნებას ("ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა") — შესაბამისად, პროპაგანდის მეთოდებიც მრავალფეროვანი და სწრაფად ცვალებადი უნდა იყოს.

ჯერჯერობით ვხედავთ, რომ პროპაგანდისტული აქტიურობა საწინააღმდეგო მხარესაა. მართალია, ეს აქტიურობა სასაცილოა, მაგრამ ისიც საკითხავია, რამდენ ხანს გაუძლებს ჩვენი გაავებული და გაჭირვებული ამომრჩევლის აზროვნების სიღრმე? — ერთიც ვნახოთ და გაავებამ და გაჭირვებამ გადასწონა! აი, **ირინა სარიშვილმაც** შეგვაცოდა ლევან მამალაძის "აწიოკებული ოჯახი" (26 თებერვალი, **ვერიკო თევზაძე**, *რა განსხვავებაა "ენჯეოელ" და პოლიტიკოს სარიშვილს შორის?*). მართალი გითხრათ, მე მამალაძის ატირებულ ცოლ-შვილზე მეტად ამ ოჯახში კედლებზე დაკიდებულმა სურათებმა შემზარა: თუ საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის გემოვნება არაფრით განსხვავდება იმ საშუალო "გარემოვაჭრის" გემოვნებისაგან, რომელსაც ახლა უკვე კიდევ ერთი დამცველი ჰყავს ირინა სარიშვილის სახით, გვაქვს კი საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ამ ორ მხარეს შორის მართლაც გადაულახავი უფსკრულია აღმართული? მით უმეტეს, რომ მილიონებზე და ასეულ მილიონებზე ასეთი ადვილი ლაპარაკი მოისმის ყოველი მხრიდან, ასე ადვილად აჩვევ ყურს... არა, ახსნა-განმარტებაა საჭირო!

23 თებერვალს "24 საათმა" გამოაქვეყნა ორი სტატია, რომელთა ავტორებმა ამგვარი ახსნა-განმარტება სცადეს. ერთი დავით ზურაბიშვილს ეკუთვნის — *ვარიანტი ომეგა*. აქ ვერაფერს იტყვი: სტატია შესანიშნავადაა დაწერილი. მაგრამ მისი ადრესატი ხელისუფლებაა. ჩემისთანა უბრალო ადამიანს ეს ტექსტი კიდევ უფრო უძლიერებს საკუთარი უძლურების შეგრძნებას. ტექსტის დედააზრი კი შემდეგშია: ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაუნაწილოს ძალაუფლება საზოგადოებას, რომ მარტო არ დარჩეს ოლიგარქების პირისპირ. ეს დევიზი სტატიის ბოლოში გამოყოფილიც კია: "**ძალაუფლების განმტკიცება საზოგადოებისთვის ძალაუფლების გადაცემით**".

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საზოგადოებამაც ხომ უნდა იცოდეს, რა საშიშროებას უქადიან მას ოლიგარქები. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ჟურნალისტური გამოძიებები და მხილებითი პათოსი მხოლოდ მაშინ იყო საჭირო, როცა ხელისუფლების სათავეში შევარდნაძე იდგა? ან იქნებ ის ჰგონია ვინმეს, რომ დღეს შევარდნაძე მხოლოდ კრწანისის რეზიდენციაში მცხოვრები მოხუცია? ჟურნალისტური გამოძიებებისა და ვითარების პოპულარულად განმარტების აუცილებლობა გაცილებით უფრო მწვავედ დგას მაშინ, როცა პროკურატურა აქტიურობს.

მშვენიერია, როცა დავით ზურაბიშვილი "24 საათის" საშუალებით ასე აშკარად და გასაგებად აფრთხილებს ხელისუფალთ (იმედი დავიტოვოთ, რომ კითხულობენ მაინც), მაგრამ ასეთივე აშკარა და გასაგები ტექსტი საზოგადოებასაც სჭირდება, თორემ ვერ გავიგეთ, რატომ უხდიან ორ მილიონს გირაოდ იმას, ვისაც სამართალი სულ რაღაც შვიდას ოც ათასს ედავება.

ამგვარი განმარტების ცდა იყო **მაია ურუშაძის** მიერ 23 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული სტატია: *ამერიკული ცდუნება ყოფილი პრეზიდენტის სიძისთვის*. სათაურიდანვე გასაგებია, რომ საქმე "მაგთიკომის" დამფუძნებელს, **გია ჯოხთაბერიძეს** ეხება. ყურადღებით წავიკითხე ეს სტატია და აქაც ვერაფერს ვიტყვი: ბეჯითადაა დაწერილი. თანაც იმ იმედით, რომ, როგორც იტყვიან, გამგები გაიგებსო. კი მაგრამ, თუ არა ვარ გამგები? რაო, არ უნდა გავიგო?

ერთი სიტყვით, ჩემთვის (უნდა გამოგიტყდეთ, ეკონომიკა ჩემთვის ჩინურია და ვერც ადმინისტრირების ჯუნგლებში ვგრძნობ თავს ძალიან კარგად) გაუგებარი დარჩა შემდეგი: კონკრეტულად რითი მაზარალებს ამერიკული "მეტრომედიის" მაქინაციები საქართველოში? საიდან ჩნდება ამ უბადრუკ და წყალწაღებულ ქვეყანაში ეს ასტრონომიული რიცხვებით გამოხატული თანხები? სტატიაში ერთობ აპოკალიფსური სურათია აღწერილი: "მეტრომედია" მისტიური მხეცის სახით მოსდებია მთელს მსოფლიოს, საქართველოში კი მრავალჭირნახული "აზოტიც" ყოფილა ამ უბედურებაში ჩარეული. და მაინც, მოქმედება სადღაც უსასრულოდ შორეულ სამყაროში ხდება, სადაც ადამიანები უხმაუროდ და მსუბუქად დასრიალებენ ახალთახალი ზღაპრული "მერსედესებით" — ისრიალებენ თუ არ ისრიალებენ, მერე მე რა?! ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გაიელვა ჩვენი სისხლისა და ხორცისთვის ახლობელმა ფრაზამ — "**ხელოვნურად გაყინული ტარიფები**" — და კვლავ ჩაქრა ეკონომიკური ოპერაციებისა და იურიდიული ლაბირინთების აღწერაში.

ეჰ, თქვენი კვნესამე, რაში მენაღვლება მე ეგ ოხერი "მეტრომედია" თუ რაღაც დოზანა? — დამიმტკიცეთ, რომ ჯოხთაბერიძის ბნელი საქმიანობის გარეშე წუთში სულ რაღაც 15 თეთრს გადავიხდიდი და, აგაშენათ ღმერთმა, თქვენს სახელზე ვილოცებ მთელი ცხოვრება!

არა, თქვენი კვნესამე, ვერა ხართ ჯერ სათანადოდ reader's oriented, ანუ მკითხველზე ორიენტირებულნი.

და მაინც, ამდენი უშრომია მაია ურუშაძეს და წყალში ხომ არ გადავუყრით! ერთი საინტერესო რამ უნდა ვცადო ახლა, თუმცა არ ვიცი, თუ გამომივა...

25 თებერვალს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ **მანანა შევარდნაძესთან**. ამ ქალბატონის იდენტიფიკაცია ორგვარად შეიძლება: ედუარდ შევარდნაძის ქალიშვილი და გია ჯოხთაბერიძის ცოლი. თავისთავად, ის არაფრისმთქმელი და ანონიმურია, როგორც ინტერვიუს ავტორი, რომლის სახელი გაზეთში ვერ ვიპოვე. თუმცა, თვით ინტერვიუ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი რამის ამოკითხვა სტრიქონებს შორისაც შეიძლება. მანანა შევარდნაძეც ხომ იმ "უთქმელი" ცოლების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც ქმრების დაპატიმრების შემდეგ მოუწიათ მიკროფონის წინ ან სხვისი დაწერილის გაჭირვებით წაკითხვა ან საკუთარი სათქმელის რის ვაი-ვაგლახით მოხერხება...

შევადაროთ ერთმანეთს მაია ურუშაძის მიერ შედგენილი "მაგთიკომის" ეპოპეა და დამფუძნებლის ცოლის ცნობიერების ნაკადი.

ჯერ მანანა შევარდნაძე ასახელებს თანხას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ჯოხთაბერიძისათვის გადასახადთა დამალვის ინკრიმინირების საფუძველს: 720.000 ლარი. შემდეგ კი პასუხობს შეკითხვაზე, თუ როგორაა შედგენილი ეს თანხა. მართალია, პასუხიდან დასრულებულ აზრს ვერ გამოიტან ("**მე ამაში ცუდად ვერკვევი**" — აღიარებს რესპონდენტი), მაგრამ რაღაცას ხომ ამბობს მაინც ეს ქალი: "**იმ 51 პროცენტში, რომლის მფლობელიც "მაგთიკომში" ამჟამად გიაა, თავიდან იყო ფირმა "G-კომი". დაახლოებით ერთი წლის წინ გიამ გამოისყიდა ეს წილი. საბრალდებო დასკვნაც ამ ურთიერთობებზეა შედგენილი**". წაღმა-უკუღმა რომ წაიკითხო მაია ურუშაძის ტექსტი, ამ იდუმალ G-კომს ვერ იპოვით. არადა ამ საქმეში მონაწილე მრავალი სუბიექტია დასახელებული არხანგელსკიდან საქართველომდე. თანაც ერთი კითხვა ჩნდება: რას უნდა ნიშნავდეს ამ ფირმის პირველი ასოსა და ჯოხთაბერიძის ინიციალის დამთხვევა? დასკვნა ასეთია: სრულიად შესაძლებელია, რომ ეს იდუმალი G-კომი რომელიღაც მაქინაციისათვის შეთითხნილი ფანტომია, ილფისა და პეტროვის "Рога и копыта". ეს მხოლოდ ვარაუდია, მართალია, არცთუ უსაფუძვლო ვარაუდი (განა ჩაის გეგმების რეკორდსმენ შევარდნაძეს და მის ოჯახს ესწავლება, როგორ უნდა გაიყიდოს, მაგალითად, ერთი ტონა საქონელი ათჯერ და, შესაბამისად, ათი ტონა საქონელბრუნვა გაფორმდეს? — ეს ხომ ძველი ხერხია!) — მაგრამ ვინმე ხომ უნდა გაისარჯოს და დაადგინოს სიმართლე? ვარაუდები უკონტროლოდ არ უნდა დაფრიალებდნენ ჰაერში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჰაერში მოფარფატე ვარაუდების მწყემსვას საკმაო მატერიალური სახსრები სჭირდება და ნიჭიერი ჟურნალისტებიც კი ამას უზმოზე ვერ მოახერხებენ.

შეკითხვაზე, არის თუ არა ჩამოყალიბებული დაცვის სტრატეგია, მანანა შევარდნაძე პასუხობს: "**დაცვის სტრატეგია ახლა ყალიბდება, რადგან ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ველოდით მოვლენათა ასეთ განვითარებას**". საინტერესოა, არა? — "მეტრომედიის" პარტნიორი ხარ და მოვლენათა ასეთ განვითარებას არ ელოდები. მერე: "**მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოურ ფირმებთან, რათა ევროპელი ადვოკატებიც დავიქირავოთ,**" — ადვოკატი, რამდენადაც მესმის, საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის მცოდნეა და სხვა ქვეყნისა ცოტა რამ გაეგება. ნეტა ვინ უნდა მოკიდოს ამ საქმეს ხელი? როგორც ეტყობა, აქ მანანა შევარდნაძე, როგორც იტყვიან, პონტზე გვაგდებს. მერე: "**ძირითადი მონაცემები და დოკუმენტაცია გადაგზავნილია ამერიკულ საადვოკატო ფირმებშიც; ისინი მუშაობენ და უახლოეს მომავალში ჩამოვლენ**". აი, ახლა კი მომწიფდა შეკითხვა "მეტრომედიის" შესახებ. უცნობმა ინტერვიუერმაც არ დააყოვნა, მაშინვე ჰკითხა, "მეტრომედია" თუ აპირებს რაიმე სახით პროცესში ჩართვასო. ამ სრულიად ცალსახა შეკითხვას, რომელსაც შეიძლება ერთი სიტყვითაც კი უპასუხო ("ჰო" ან "არა" საკმარისი იქნებოდა) მანანა შევარდნაძის ვრცელი ტირადა მოჰყვა. რაზე არ ილაპარაკა შევარდნაძის ქალიშვილმა და ჯოხთაბერიძის ცოლმა! — "მაგთიკომის" ტოტალური შემოწმება დაიჩივლა, ჩემი ქმარი მხოლოდ დამფუძნებელიაო, თქვა, საბრალდებო დასკვნა შეკერილიაო, წამოგვძახა, უაზროაო და აბსურდულიაო, მერამდენეჯერ გაიმეორა. ერთი სიტყვით, ღობე-ყორეს მოედო, ლამის ჩვენც გაგვიხსენა, ჩემო მკითხველო, აი, "მეტრომედიაზე" კი კრინტი არ დაუძრავს. დროა, ჩვენც გავაკეთოთ argumentum ex silentio — დუმილიდან გამოტანილი დასკვნა. მაგრამ განა მარტო დუმილიდან? — აი, მაია ურუშაძე სულაც არ დუმს: "**კომპანია "მეტრომედია" ყველა ქვეყანაში ერთი სცენარით მოქმედებდა. მისი მიზანი მარტივი იყო: ის განვითარებად სახელმწიფოებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან სხვადასხვა სახის გარიგებების საფუძველზე შედიოდა და, ამავე ხელისუფლების მხარდაჭერით, ბაზარზე ერთპიროვნული ლიდერი ხდებოდა**". რა არ ხდება ამქვეყნად! — მანანა შევარდნაძის დუმილმა განმიმარტა მაია ურუშაძის აქამდე დაუძლეველი ტექსტი. ერთი სიტყვით, შევარდნაძის კლანს ახლა საშინლად არ აძლევს ხელს "მეტრომედიას" ამოტივტივება მზის სინათლეზე!

სამაგიეროდ, მთელ ღვაწლს "მაგთიკომის" ანგარიშზე რიცხავს მანანა შევარდნაძე: მისი სიტყვებით, "მაგთიკომი" "**უზარმაზარი ქსელია, რომელიც სერიოზული ინვესტიციებისა და დიდი შრომის ფასად აიგო. თუნდაც მაღალმთიან რაიონებში გადამცემების დამონტაჟება რად ღირს. ეს ხომ კომპანიისათვის წამგებიანი იყო**". ახლა კი ისევ მაია ურუშაძის სტატია წავიკითხოთ: "**პრეზიდენტის სიძე ფორმალურად, "უსასყიდლოდ" მფარველობდა კომპანიას. ამ დროს კი ის პირადად ლობირებდა "მაგთიკომისათვის" ძალზე მომგებიან და სხვა კომპანიებისათვის აშკარად კაბალურ პირობებს, იქნებოდა ეს ხელოვნურად გაყინული ტარიფები, "მაგთიკომის" ანძების შემოტანა-განთავსება თუ იძულებითი გარიგებების დადება სხვა კომპანიებთან**". ახლა ხომ გასაგებია, ნამდვილად წამგებიანი იყო თუ არა "მაგთიკომისათვის" მაღალმთიან რაიონებში გადამცემების დამონტაჟება? მაგრამ მანანა შევარდნაძე ისე ლაპარაკობს, თითქოს ედუარდ შევარდნაძეს არასოდეს უარსებია, თითქოს ის ფრთიანი ანგელოზი ყოფილიყოს.

შეკითხვაზე, რა რეაქცია ჰქონდა ედუარდ შევარდნაძეს სიძის დაპატიმრებაზე, მანანა შევარდნაძე პასუხობს: "**რასაკვირველია, ძალიან განიცადა და აღიქვა, როგორც შევარდნაძის ოჯახის წინააღმდეგ მიმართული აქცია**". საინტერესოა ქართველების მენტალობა: თუ, მაგალითად, ბინის გაფართოება უნდათ, აქ ორი ოჯახი ცხოვრობსო, ამბობენ; თუკი სიძეს დაუპატიმრებენ, არიქა, ოჯახი დამიქციესო. ბოლოს და ბოლოს, როდის გავარკვევთ ჩვენს კულტურულ არეალში ოჯახების დათვლის წესს! თუ მანანა შევარდნაძეს ჰგონია, რომ ჯოხთაბერიძის წინააღმდეგ განხორციელებული სასამართლო დევნა შევარდნაძის ოჯახის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ნაწილია, ეს უფრო იმაზე მეტყველებს, რომ თვითონ ვერ დაუძლევია პირველყოფილ-თემური შეხედულება ადამიანებს შორის ურთიერთობებზე. ასე რომ, მის მიერვე დასმულ შეკითხვას — "**მე ვარ კლანი?**" — ცალსახად დადებითი პასუხი უნდა გაეცეს.

ახლა კი ორი ფინალური ციტატა. მანანა შევარდნაძის ინტერვიუ ასე მთავრდება: "**მე მოვითხოვ, რომ პრეზიდენტი ჩვენი ოჯახის მიმართ იყოს კორექტული და ეთიკური! გარდა ამისა, მოვითხოვ, რომ დაცული იყოს როგორც შევარდნაძეების, ისე ჯოხთაბერიძეების ოჯახის უსაფრთხოება, რაიმე ექსცესის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დაეკისრება. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვაცნობეთ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს**". კიდეც რომ იმუქრება! გარდა ამისა, სიტყვა "უსაფრთხოება" აქ აშკარად ნიშნავს "დაუსჯელობას" ამას კი, ბოდიში, ვერ მოგართმევთ. ვიღაც ღვთისნიერს ლიტერატურულად დაუმუშავებია ეს ტექსტი, თორემ ზეპირი შესრულებით, თუ რესპონდენტის კულტურულ დონეს და უნარებს გავითვალისწინებთ, სიტყვათა ეს ერთობლიობა, სხვათა შორის, ქართული ენის ხარისხითაც ნამდვილად საოცრად ემგვანებოდა **ასლან აბაშიძის** რომელიმე საჯარო გამოსვლას.

ამ ტექსტის გასაგებად კი კვლავ მაია ურუშაძის სტატიას მივმართავ და ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოვიყვან მის დასასრულს, რომელიც, ზემოთქმულის წყალობით, სრულიად გასაგებია ყველასათვის: "**როცა ბოლო მოვლენებმა "მეტრომედიას" პრეზიდენტის სიძის პოზიციების შესუსტებაზე მიუთითა, ["მეტრომედიამ"] გადაწყვიტა, კომპანიის ყველა ქართული აქტივი გაეერთიანებინა, დაემატებინა პრეზიდენტის სიძის წილი "მაგთიკომში" და ერთ პაკეტად მიეყიდა რუსი მყიდველისათვის. ამით კომპანია საქართველოში თავისი მოღვაწეობის კვალსაც გააქრობდა. "მეტრომედიას" იმედები ამჯერად აღარ გამართლდა. ირაკლი ოქრუაშვილის უწყებამ ყოფილი პრეზიდენტის სიძე სწორედ იმ დროს დააკავა, როცა, სავარაუდოდ, ის ცდილობდა, სწრაფად დაეტოვებინა საქართველო და ეს გარიგება გაეფორმებინა...**"

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
შეიძინეთ და აჩუქეთ მაღაზია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრო ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



## კომპოზიტორები - ტელევიზიას

### საქართველოს ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარეს ბატონ ზაზა შენგელიას

პატივცემულო ბატონო ზაზა!

მივესალმებით თქვენს დაბრუნებას საქართველოს ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარის პოსტზე. გამოვთქვამთ ჩვენი თანამშრომლობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების იდეას, მთელი ქართული მუსიკალური კულტურის სასიკეთოდ, რაც უაღრესად აქტუალურ, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო საქმედ გვესახება.

მოგეხსენებათ, თუ რა მძიმე ვითარებაა შექმნილი ამ ტრადიციულად ძლიერ და წარმატებულ სფეროში უკანასკნელი წლების განმავლობაში. ქართული მუსიკალური კულტურა და მისი მსახურნი სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. არის სხვა საგანგაშო და სავალალო გარემოებებიც, რომლებიც სასწრაფო რეაგირებას მოითხოვენ.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოვალეობაა (კულტურის სამინისტროსთან ერთად) შეძლებისდაგვარად გამოვასწოროთ ეს უმძიმესი მდგომარეობა და თავიდან ავიცილოთ მისი კატასტროფული შედეგები. ამასთან დაკავშირებით, თქვენი თანხმობით, კომპოზიტორები ვაპირებთ, ახლო მომავალში, თქვენთან შეხვედრას კონსტრუქციული სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

ამჯერად კი მოგმართავთ ერთ კონკრეტულ, ფრიად მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება თქვენს გამგებლობაში მყოფ საქართველოს ტელერადიოკორპორაციის სიმფონიურ ორკესტრს.

შარშან, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, საქართველოს რადიოტელევიზიის სიმფონიურმა ორკესტრმა, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, 17 მარტს და 18 ნოემბერს შეასრულა თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები და ამით კიდევ ერთხელ გამოხატა კომპოზიტორების მიმართ თანადგომა. მაშინ როდესაც, წლების განმავლობაში ვერ ვიღებთ ჰონორარს და სახელმწიფოსაგან არავითარი დაფინანსება არ გაგვაჩნია.

მოგეხსენებათ, ეს შესანიშნავი ტრადიციების კოლექტივი ათეული წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება ქართულ მუსიკას, როგორც ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების აქტიური პროპაგანდისტი და მეგობარი. საზოგადოებისთვის ცნობილია, თუ რა ფასდაუდებელი როლი აქვს შესრულებული ორკესტრს საქართველოს რადიოს ოქროს ფონდის შექმნაში. ქართული მუსიკის საამაყო ფენომენი – კინომუსიკის ჟანრი ხომ თითქმის მთლიანად რადიოტელევიზიის ორკესტრის მიერაა ჩაწერილი. წლების განმავლობაში მას შესრულებული აქვს მრავალი ახალი ქართული ნაწარმოები. მთელი მისი არსებობის მანძილზე ამ სიმფონიურ ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი დირიჟორები, მაღალი იყო მისი საშემსრულებლო დონეც. ორკესტრი მართავდა შესანიშნავ საჯარო სიმფონიურ საღამოებსაც, რომლებიც მუდამ იპყრობდნენ მუსიკალური საზოგადოების ყურადღებას.

სამწუხაროდ, დღეს მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა. მიზერული ხელფასის გამო ორკესტრი ლამის დაშლის პირზეა მისული და რომ იტყვიან, სულს ღაფავს. ცნობილი ფაქტია, რომ რადიოტელევიზიის ახალი შენობის აგებისას, მასში სპეციალური დარბაზი აიგო ორკესტრისთვის, რომელიც გამიზნული იყო სიმფონიური მუსიკის მაღალ დონეზე ჩასაწერად. დღეს თუ ორკესტრის გადარჩენა ჩვენი ზრუნვის უმთავრესი მიზანია, ასევე დიდ ძალისხმევას საჭიროებს სტუდიის მოდერნიზება და ტექნიკური მხარის თანამედროვე დონეზე აღჭურვა. ყოველივე ეს ყველაფერთან ერთად, ხელს შეუწყობს კოლექტივის პროფესიონალური დონის ამაღლებას, მოიზიდავს მაღალი კვალიფიკაციის მუსიკოსებს, სტიმულს მისცემს ორკესტრს მიზანმიმართული საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის.

რადიოტელევიზიის ორკესტრი ქართული კულტურის პრიორიტეტული დარგებისა და ობიექტების ნუსხაში უნდა იქნას შეტანილი!

ბატონო ზაზა! ჩვენ დიდი იმედი გვაქვს თქვენი დახმარებისა და აქტიური თანადგომისა ამ მართლაც რომ საშვილიშვილო მნიშვნელობის საქმეში.

მთელი ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდება თქვენს მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს, რაც ორგანულად ჩაიწერება საქართველოს ახალი ხელისუფლების გონივრულ, პროგრესულ და პატრიოტულ ღონისძიებათა კონტექსტში.

გისურვებთ წარმატებებს ამ კეთილშობილურ საქმეში და, საზოგადოდ, მთელ თქვენს ნაყოფიერ საქმიანობაში საქართველოს ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარის ესოდენ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პოსტზე.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის სახელით:

კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე,

საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო, ზაქარია ფალიაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიების ლაურეატი, პროფესორი ვაჟა აზარაშვილი.

## დებიუტი კარნეგი ჰოლში



თამარ ქურდაძე

თეონა ჯაფარიძე

ამას წინათ იანვარს კარნეგი ჰოლში ამერიკელ მსმენელს ქართული დიასპორის ნაწილიც შეუერთდა. პროგრამაში იყო ბეთჰოვენის სონატა დო მინორი, შოპენის პოლონეზი. მეორე განყოფილებაში ქართველი კომპოზიტორის – ოთარ თაქთაქიშვილისა და სერგეი რახმანინოვის მუსიკა აჟღერდა. შემსრულებელი გახლდათ ნიუ იორკის მენესის კონსერვატორიის სტუდენტი თამარ ქურდაძე. ქართველ შემსრულებელს საინტერესო პროგრამის შედგენაში მისი პედაგოგი, მენესის კოლეჯის სამხატვრო ხელმძღვანელი და საფორტეპიანო ფაკულტეტის გამგე, ქალბატონი პავლინა დოკოვსკი დაეხმარა.

ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, თბილისში დაიწყო: თამარ ქურდაძემ ჯერ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზია დაასრულა (პედაგოგ ცირა ცირეკიძის კლასი), შემდეგ კი ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. (პედაგოგი გიზი ამირეჯიბი).

ვარშავასა და იტალიაში გამართულ საფორტეპიანო კონკურსებში მონაწილეობის შემდეგ, თამარი 2000 წელს ამერიკაში, ეთერ ანჯაფარიძისა და ვლადიმირ ფლეცმანის მიერ დაარსებულ "ნიუ-პლაპლადსის" საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსში, "პიანო-სომერსში" მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა, სადაც მეორე ადგილის მფლობელი გახდა და კონკურსის ორგანიზატორთა ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდა. ავტორიტეტულ კონკურსში გამარჯვებას, თან მოჰყვა წარმატებები საკმაოდ მნიშვნელოვან მენესის სამუსიკო კოლეჯის ფესტივალში "შუმანი და მისი წრე", მენესის კოლეჯის ფესტივალმა კი თავისთავად ახალგაზრდა შემსრულებელს გზა გაუხნა ჰარვარდისა და მეტროპოლიტენის კლუბებში კონცერტებზე.

თამარ ქურდაძე დღეს მენესის კონსერვატორიის სტუდენტია. კარნეგი ჰოლში დებიუტს შედეგად ახალი კონტრაქტი – მომავალ სეზონზე კონცერტი ლინკოლნის ცენტრში მოჰყვა. ერთი სიტყვით, მუსიკალური კარიერის რთული და საინტერესო გზა გრძელდება.

# მთარგმნელები ახალი საუკუნისთვის

ანა კორძაია-სამადაშვილი

ლიტერატურული ჟურნალი New Century ("ახალი საუკუნე") აცხადებს კონკურსს, რომელში მონაწილეობის მიღებაც 35 წლამდე მთარგმნელებს შეუძლიათ. 7 მაისამდე მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში (ილია ჭავჭავაძის გამზირი 36), ამერიკანისტიკის ცენტრში, უნდა მიიტანონ სამი ქართული მოთხრობის ინგლისური თარგმანი. ესენია: ილია ჭავჭავაძის "სახრჩობელაზედ", მიხეილ ჯავახიშვილის "ორი შვილი" და გურამ გეგეშიძის "შურისძიება" (ქართულ ენაზე ამ ტექსტების მოპოვება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, თუ სახლში არა გაქვთ, ნებისმიერ ბიბლიოთეკაში მიაგნებთ).

გარდა იმისა, რომ გამარჯვებული თარგმანები ჟურნალის შემდგომ, შემოდგომის ნომერში გამოქვეყნდება, მთარგმნელთათვის დაწესებულია სამი ჯილდო: პირველი – 3 ათასი ლარი, მეორე – 2 ათასი ლარი და მესამე – 1000 ლარი.

თუ არ გაგიმართლათ, არც ესაა სადარდებელი: ჟურნალის რედაქტორებს – რეზო თაბუკაშვილს, ზაალ სამადაშვილს და შალვა კაპანაძეს ნამდვილად ეცოდინებათ, რომ თქვენ არსებობთ და ჩინებული მთარგმნელი ბრძანდებით, და შემდგომშიც შეძლებენ თქვენთან თანამშრომლობას – ქართული ლიტერატურა ხომ სამი ავტორით არ იწურება!

მეეჭვება, მაგრამ თუ რამე საკითხი გაუგებრად გეჩვენათ, შეგიძლიათ კონკურსის ორგანიზატორებს დაუკავშირდეთ ტელეფონებზე 224682 ან 877 424727.

■ ■ ■

1923 წელს, ანატოლიაში, ღატაკ ოჯახში იაშარ ქემალი დაიბადა. მთელს სოფელში წერა-კითხვა მხოლოდ მან ისწავლა. ის მოჯამაგირედ მუშაობდა ხან ბამბის, ხან ბრინჯის პლანტაციებში, ხან მწყემსი იყო, ხან - მეთულუხჩე, ხან - ტრაქტორისტი... მერე მან ერთი ძველი საბეჭდი მანქანა იყიდა და პატარა ქალაქში "ქუჩის მწერალი" გახდა: იმ გლეხებისთვის, ვინც წერა-კითხვა არ იცოდნენ, წერილებს, სათხოვარებს, საბუთებს ადგენდა.



ეს ფოტოსურათი ოკლაჰომის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული. ხელმარცხნივ მდგომი მამაკაცი რომ არა, კიკაპოს ინდიელების თქმულებები არავის ეცოდინებოდა. მისი სახელი უცნობია, სამაგიეროდ, წვიმის ცეკვა ყველამ იცის.

ქემალი თორმეტი წლის განმავლობაში მოგზაურობდა თურქეთის სოფლებში. ის სიღატაკის, შიმშილის, ფეოდალური წყობის გადმონაშთების შესახებ წერდა. ერთი ისაა, რომ მისი ჩანაწერები იმხანად არც ერთ გაზეთს არ გამოუქვეყნებია.

და უცებ, 1955 წელს, მსოფლიომ "მემედი, ჩემი მიმინო" წაიკითხა – უცნობი თურქი მწერლის, იაშარ ქემალის წიგნი, და 1997 წელს ავტორმა, მრავალი სხვა ჯილდოს შემდეგ, მრავალი ბესტსელერის ავტორმა ქემალმა გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანების მშვიდობის ჯილდო მიიღო.

გარწმუნებთ, რომ "მემედი, ჩემი მიმინო", "ათასი ხარის სიმღერა" თუ ქემალის სხვა, არანაკლებ სქელტანიანი წიგნები ორიგინალში მხოლოდ თურქებმა თუ წაიკითხეს. თავის გამარჯვებას იაშარ ქემალი და მასთან ერთად მთელი თურქული ლიტერატურაც მათ უამდლიან, ვინც, ავტორისგან განსხვავებით, არც ჯილდოებს იღებენ და არც საერთაშორისო აღიარებით სარგებლობენ: მთარგმნელებს და მამაც გამომცემლებს, რომლებიც სახსრების იმ პროდუქციაში დაბანდებას ბედავენ, რომლის გაყიდვა-არგაყიდვის საკითხიც საკმაოდ სათუოა. არადა, თუნდაც ის, რომ ანდერსენის ზღაპრებზე გავიზარდეთ, მთარგმნელების და მრავალი, მრავალი წლის წინათ მცხოვრები, დღეს ჩვენთვის უცნობი გამომცემლის წყალობაა, და ნურავინ იტყვის, კალის ჯარისკაცის ამბავი რომ არ გვცოდნოდა, ბევრს არაფერს დავკარგავდითო...

იაშარ ქემალის მაგალითი შეიძლება ვინმეს არადამაჯერებლად ეჩვენოს: თურქეთი დიდი ქვეყანაა, საქართველო – ერთი ციდა. რასაკვირველია, ასეა. მაგრამ ჩვენი კულტურაც ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მას მსოფლიო იცნობდეს. ისიც, რომ საქართველო "რთულ" ქვეყანად ითვლება, მხოლოდ პოლიტიკური ვითარების დამსახურება როდია – ჩამოსულთა უმრავლესობისთვის ის აბსოლუტურად უცხოა: მათ იციან ხაჭაპური, ჰა-ჰა, მრავალჟამიანობა, ჰე-ჰე – კავკასიონი. ყველაფერი დანარჩენი გაუგებარია და, შესაბამისად, საშიში. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ იმას, ვინც "სტუმარ-მასპინძელს" წაიკითხავს, მთაში მოგზაურობის არასოდეს შეეშინდება.

■ ■ ■

რამდენიმე ანბანური ჭეშმარიტება: ლიტერატურა ერის, საზოგადოებისა და კულტურის სარკეა, ხოლო უცხო ენიდან თარგმნილი ლიტერატურა ამ ენის მატარებელი ერის შესახებ წარმოდგენას საუკეთესოდ ქმნის. სწორედ ამიტომ ლიტერატურა კულტურათა დიალოგის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა – ამ დიალოგის წარსამართად ხომ რამე არხია საჭირო.

მოგეხსენებათ, არსებობს უცხო ერის გაცნობის ორი საშუალება: ან მისი ენის სწავლა (რაც, დამეთანხმებით, ქართულ ენასთან მიმართებაში თავში მხოლოდ ერთეულებს მოსდით და საერთოდ, ყველა ენას ვერ ისწავლის), ან ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანის კითხვა – აი, ეს უკვე რეალურად ჟღერს და, შესაბამისად, უფრო მნიშვნელოვანიცაა.

უცხო ქვეყნების ლიტერატურის მიმართ ინტერესი საყოველთაოა და ძალიან ბუნებრივიც. მსოფლიოში არსებობს უამრავი ჟურნალი და ბევრად ნაკლები, მაგრამ მაინც გამომცემლობები, რომელიც მხოლოდ უცხო ენებზე შექმნილი ნაწარმოებების თარგმანებს აქვეყნებს (ასეთი ჟურნალია New Century-ც, რომელიც, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში ვრცელდება).

ინგლისურენოვანი მთარგმნელები, რომლებიც ქართულ ენას იმდენად ღრმად ფლობენ, რომ მათი თარგმანის ხარისხი ორიგინალს მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს, ძალიან ცოტანი არიან. ქართული და ინგლისური ენები სრულიად განსხვავებული სისტემებია, და მთარგმნელი მთელ რიგ სირთულეებს აწყდება. ეს მხოლოდ ტერმინოლოგიას როდი ეხება – ამ სფეროში გამოსავლის მოძებნა შედარებით იოლია (თან ქართული ტერმინოლოგია რა სალაპარაკოა). უფრო დიდი პრობლემა ლიტერატურულ თარგმანთანაა დაკავშირებული. მაგალითად, დიალოგების თარგმნისას (და ეს მხოლოდ დრამატურგიას როდი ეხება, იგივეა რომანებსა და მოთხრობებშიც): საიდან უნდა იცოდეს, ვთქვათ, ამერიკელმა, რომელიც ქართულ ენას თუნდაც ძალიან კარგად, მაგრამ მაინც სწავლობდა, რომელი სტილისტური შრეა მისაღები? ასე რომ, ისევ ჩვენ, ქართველებმა უნდა გამოვიდოთ თავი. რას იზამ, ძნელია გურჯობა.

■ ■ ■

**P.S.** ყოველმა მეტ-ნაკლებად თავმოყვარე გამომცემელმა თუ ლიტერატურულმა აგენტმა იცის, რომ არსებობს თეორია, მართალია, ცოტა პოლიტიკური ხასიათისა: ქვეყნის ლიტერატურა მაშინ ხდება საინტერესო, როცა ქვეყანა პოლიტიკური თვალსაზრისითაც საინტერესოა. ამის ნათელი დასტური, თუნდაც, დასავლეთ ევროპაში პალესტინური ლიტერატურით ცხოველი დაინტერესებაა.

ასე რომ, "გაჭრის" დიდი შანსი გვაქვს: ინტერესს ხომ მხოლოდ სისხლისღვრა არ იწვევს! არანაკლებ მიმზიდველია ჩემთვის ყელში ამოსული, მაგრამ უცხოელისთვის უცხო და განსაცვიფრებელი იები და ვარდები, ვარდები, ვარდები...

# უგემოვნებობა

### ქართული კულტურა გადარჩენას ითხოვს

მარინე ცინცაბაძე

საქართველოში მომხდარმა უახლესმა მოვლენებმა კიდევ უფრო ჩაგვახედა იმ რეალობაში, რომელმაც უამრავი მანკიერება დანერგა ქართულ ცნობიერებაში – კორუფცია ყველგან და ყველაფერში. ხელოვნება და კულტურა ის სფეროებია, სადაც უნდა ხდებოდეს ქვეყნის, ერის ფასეულობათა კრისტალიზაცია. სამწუხაროდ ამ სფეროში ჩართულ "საქმოსნებს" შიშველი ხელებით ვერ მოერევი და მათ იურიდიულ კანონებს ძნელად თუ მიუყენებ.

რა მოუტანა ქართულმა შოუბიზნესმა ქართულ კულტურას, რა ხარისხის შემოქმედებას გვთავაზობს იგი, ასეთ გააქტიურებულ მომღერლობასა და ხალხურ ცეკვებად სახელდებული დადგმებით? – უგემოვნებობა. წარმატების მოსახვეჭად გამოყენებულია ყველა საშუალება – "ვარსკვლავებად" გასაღებულ მომღერალ ბავშვებს უკარგავენ ბავშვობას, ქართულ ჰარმონიაზე აგებენ სოულის, რეპის, როკის და ა.შ პაროდიას, სენად არის ქცეული საყოველთაო მომღერლობა... და ეს ქვეყანაში, სადაც ძველთაგანვე არსებობდა უნიკალური პოლიფონიური აზროვნების ტრადიცია. გარდა ამისა, ეროვნული სამოსი – ქართული ჩოხა და კაბა, იყო დიდი სიმბოლიკის მტვირთველი, რომლის მატარებელი პიროვნება ცეკვისას ლაპარაკობდა რაინდულობასა და კდემამოსილებაზე, სიყვარულსა და ურთიერთგატანაზე. რა მოგვიტანა უგემოვნოდ გარემიქსებული სიმღერის თუ მელოდიის ფონზე, თავწაკრულ ვაჟების თუ შეუსაბამობდე გააქტიურებული ჩაფხუტიანი ქალიშვილების ცეკვამ, რომლებსაც უკან აყრილი ფეხებით ლამის ჭიხვინს აწყებინებენ სენსაციურობის მძებნელი და საქმოსნობით დაკავებული ცეკვის დამდგელი მოღვაწენი?! არის ერთი ჭეშმარიტება – მორალური პასუხისმგებლობა ეროვნულ ტრადიციებთან შეხებისას, რომლის დროს გაცნობიერებული უნდა იყოს არა მარტო კონკრეტული სუბიექტის, არამედ ჩემი, იმისა და ყველა ქართველის ინტერესი. XII საუკუნის ბოლოს და XIII-ის დასაწყისში შექმნილ "ვეფხისტყაოსანს" საუკუნეების მანძილზე ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა, ხოლო XX საუკუნეში შეიქმნა "ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენელი კომისიის" ჩამოყალიბების საჭიროება – მისი ორიგინალური სახის გამოსავლენად. ნუთუ იგივე ბედი ელის ქართულ ხალხურ ცეკვას?! ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და თითოეულ "ერთში" უნდა იყოს გაცნობიერებული "სახე ჩვენი"; გარდა ამისა, სიმცირის მიუხედავად, ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მყოფმა ქართველებმა აზიური ტემპერამენტის და ევროპული არისტოკრატიზმის შერწყმის პრეცედენტი შევქმენით.



ატენის სიონი

არსებობს კიდევ ერთი, მეტად სერიოზული პრობლემა - ქართული ხალხური სიმღერის და გალობის შესრულება - თუმცა ყველა გარეგნული ეტიკეტების დაცვით - ყოველთვის არ არის სულიერების და გულწრფელად გამოხატული ფასეულობების მატარებელი. ქართულ გალობას და ხალხურ სიმღერას ასრულებს იაპონელიც, ამერიკელიც და ა.შ. მაშ, რაშია სხვაობა? ჩვენთვის იგი არა მარტო მდიდარ ბგერათა კომპლექსია, ეგზოტიკურად საინტერესო მასალა, არამედ ეროვნულ ძირებთან, უფრო მეტიც - ზეციურ სიმაღლეებთან შეხების ფაქტი. ამდენად, იგი არ უნდა გახდეს მერკანტილური ინტერესების საშუალება. იგივე ფაქტორია ქართულ სააზროვნო არეალში დამკვიდრებული ჟურნალების პოპულისტური გამოცემები, რომელთა სამწერლო ინტერესები ერთი პიროვნების, ერთი წრის გარშემო ტრიალებს. ასეთივე მექანიზმია ჩადებული "მაღალი ინტელექტუალური ინტერესებისთვის მოწოდებული" თავყრილობების - კონფერენციებსა და პრეზენტაციებში, სადაც ჰუმანიტარ მოღვაწეთა გაწეული შრომა არ არის მიმზიდველი და საინტერესო ფართე აუდიტორიისათვის, პირველ რიგში, ახალგაზრდებისათვის. ამ პირობებში ადგილი აქვს საოცარ ინფორმაციულ, ხელოვნურად შექმნილ ვაკუუმს. ასე მაგალითად, ერთ სიბრტყეზე განლაგებულ (თავისუფლების მოედნიდან უნივერსიტეტამდე) კულტურის პრობლემებით დატვირთულ ორგანიზაციებში, ერთმანეთის საქმიანობის შესახებ არაფერი იციან, თუ განსაკუთრებული მოწვევა არა აქვს კონკრეტულ პირვნებას.

ნომენკლატურულ საბჭოურ პერიოდშიც კი, სხვადასხვა დარგის ღვაწლმოსილმა მეცნიერებმა შეძლეს წარმოეჩინათ ერის კულტურული სახე, გარდა ამისა, ხელოვნების მესვეურები თავიანთი მოღვაწეობით წარმოგვიდგენდნენ ერთგვარ მისაბაძ მაგალითს. აქედან გამომდინარე, გარდა თავიანთი საქმიანობისა, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და საზოგადოების ინტელექტუალური დონის შექმნაში. უკანასკნელმა 10-11 წელმა ამ კულტურული გარემოს მთლიანი მოშლის პრეცედენტი შექმნა და წარმოშვა "საქმოსნობის" დიდი ასპარეზი. ამასთან დაკავშირებით საკითხი შეიძლება ასე დაისვას - თუ, ამგვარი მოვლენა დამკვიდრებულია ჩვენს რეალობაში და იგი, როგორც ერთგვარი ხელოვნურად შექმნილი ფარული კორუფციის ელემენტი, უნდა მოიხსნას, მაშ რა მექანიზმი უნდა ამუშავდეს? უპირველესად იგი უნდა იქნას მხილებული და, ასევე, აუცილებელია, ამ გადმონაშთის შემაჩერებელი ორგანიზმის შექმნა, სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი საექსპერტო კომისიის სახით. ამდენად, დადგა დრო ჩაკეტილი სივრცეების გახსნის, რომელიც, უპირველესად, უნდა შეეხოს სააზროვნო სფეროს. ამიტომ საჭიროა ერთგვარი კულტურული გარემოს შექმნა.

კულტურული გარემოს შექმნა ეს არის რთული, ამავე დრის ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი პროცესი. უპირველესად, უნდა განისაზღვროს კულტურის რა სახეობას ვნერგავთ, უნდა იყოს გაცნობიერებული კულტურის, როგორც სახელმწიფოს იდეოლოგიური ბერკეტის ფუნქცია პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში (ბავშვთა ბაღიდან, სკოლა, სტუდენტობა და ა.შ.) ასევე, ერთიანი კულტურული სივრცის შესაქმნელად უნდა ამოქმედდეს საინფორმაციო საშუალებები - პირდაპირი კონტაქტის თუ რადიოს, ტელევიზიის, საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციების გზით, რომელიც გამიზნული იქნება არა რეკლამური სენსაციური ჭორისათვის, არამედ მკითხველს გააცნობს ქართულ კულტურაში მომხდარ სიახლეებს და წარმატებებს, ასევე, დაეხმარება მკითხველს გაიცნობიეროს ამ წარმატებების წყარო. ამ მიზნით, უნდა გამოვიდეს ყოველკვირეული გაზეთი - "ქართული კულტურა", რომელიც შეეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს - გარეგნული იერსახიდან ინტელექტამდე. ჩვენ პატარა ერს ყოველთვის მოგვდგამდა ოჯახიშვილობის ინსტიტუტი, რომელიც თავის თავში შეიცავდა და არეგულირებდა ქცევის, მეტყველების თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის ესთეტიკურ-ეთიკურ ნორმებს. კულტურული ჩვევების აღდგენის სურვილი გიჩნდება მაშინ, როდესაც უსმენ ენაბორძიკა დიქტორებს, ან უყურებ პოლიტიკურ პრესკონფერენციაზე მჯდომარე სარაფნიან, წელში გალეულ საქმიან გოგონებს.

საბედნიეროდ, ჩვენს სინამდვილეში, პოლიტიკური სენსაციების გარდა, ხდება კულტურული სიახლეები, თუნდაც პრეზიდენტის ინაუგურაციასთან დაკავშირებული ქართველი მოღვაწეების, მართლაც, სენსაციური კონცერტი, რომელიც თავისი სიმაღლით შესაშური იქნებოდა მდიდარი სახელმწიფოსთვისაც. მაგრამ იგი შესაბამისად არ იყო გაშუქებული, გაანალიზებული თუ გარჩეული სატელევიზიო არხების მიერ. პოლიტიკურად გააქტიურებულ ჩვენს საზოგადოებას ჟანგბადივით სჭირდება კულტურული გარემო. ასევე, საბედნიეროდ, ქართულ რეალობაში გვყავს დიდებულ ბაგრატიონთა თუ სხვა წარჩინებულთა წარმომადგენლები, "ჩოხოსნები", მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, მხოლოდ საჭიროა მათი და ჩვენი ძალისხმევა ამ ფასეულობების გავრცელებისა, რადგან ქართული კულტურა გადარჩენას ითხოვს.

# პათოლოგის "არაჩვეულებრივი გამოფენა"

გვამები უკვე ქალაქში არიან!

გიორგი ჯანელიძე
მიუნხენიდან

2002 წლის ნოემბერში, ლონდონში, გერმანელმა ანატომმა, ჰაიდელბერგის პლასტინაციის ინსტიტუტის პროფესორმა გიუნტერ ფონ ჰაგენსმა, პირველად პათოლოგიური ანატომიის ისტორიაში, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში აჩვენა გვამის გაკვეთა. უფრო მეტიც: მან თავის "შოუზე" მაყურებელიც მიიწვია და დასასწრები ბილეთებიც გაყიდა. საზოგადოებაში დიდხანს მიმდინარეობდა დისკუსია ამ სენსაციის გარშემო. ყველაფრის მიუხედავად კონსერვატულ ინგლისში ფონ ჰაგენსის "შოუს" გარკვეული წარმატება მოჰყვა. პარალელურად კი ბრიტანეთის დედაქალაქში მიმდინარეობდა "გვამთა პროფესორის" "ნამუშევრების" გამოფენა, რომელმაც გასული წლის თებერვალში გერმანიაში, კერძოდ კი, მიუნხენში გადმოინაცვლა.

ბავარიის მიწაზე ფონ ჰაგენსის "ექსპონატებს" სერიოზული სამართლებრივი ბარიერები დახვდა. პროფესორის იდეა, მიუნხენში ლონდონის პრეცედენტის გამეორებისა და პირდაპირი ეთერით გაკვეთის ჩვენებისა, ჩანასახშივე დასამარდა. მეორე საკითხი, რომელიც მიუნხენის მერიას არანაკლებ აწუხებდა, იყო პროფესორის მიერ გარდაცვლილთა მიერ სიცოცხლეში ხელმოწერილი ორმხრივი კონტრაქტების წარმოდგენის მოთხოვნა, რაზეც "დოქტორ სიკვდილი" კატეგორიულ უარს აცხადებდა, ერთი შეხედვით, საკმაოდ დამაჯერებელი მოტივით: კონტრაქტის პირობების მიხედვით, იგი პასუხს აგებდა მიცვალებულთა ანონიმურობის დაცვაზე.

გერმანული ტელეკომპანია MDR და ამერიკული "ესოშეიტედ პრესი" იუწყებოდნენ, რომ მათი კვლევის თანახმად, პათოლოგ-ანატომს საეჭვო გზებით უხდება გვამებამდე მიღწევა. მაგალითად, იმ 50 გვამის წარმომავლობა, რომლებიც ფონ ჰაგენსმა რუსეთის ქალაქ ნოვოსიბირსკის სამედიცინო აკადემიიდან მიიღო, დღემდე გასაიდუმლოებულია. MDR აქვე დასძენდა, რომ ნოვოსიბირსკის დამკრძალავმა ბიუროებმა მიცვალებულთა ნათესავებს ცარიელი ურნებიც კი გადასცეს. "გვამთა პროფესორის" მიმართ არსებული ეჭვების გასამყარებლად რუსი სპორტსმენი ალექსანდრ სიზონენკო (სიმაღლე 240სმ.) აცხადებდა, რომ ფონ ჰაგენსმა მას დიდი თანხა შესთავაზა ორმხრივი კონტრაქტის დადების საფასურად. სიზონენკოს განცხადებით, მან პროფესორთან კონტრაქტზე ხელი არ მოაწერა


მარცხნივ: გიუნტერ ფონ ჰაგენსი


ჰაგენსის შოუ

იმის შიშით, რომ ნაადრევად არ წასულიყო ამ ქვეყნიდან. ყოფილი კალათბურთელის ბრალდებას ფონ ჰაგენსი უარით იგერიებდა და პასუხობდა, რომ ამ გარიგებისთვის ფული თვით სიზონენკომ მოითხოვა.

გარდა ზემოთქმულის, მიუნხენის ხელმძღვანელობა ჰაიდელბერგელ პროფესორს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაშიც ადანაშაულებდა: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, მიცვალებული 36 საათის განმავლობაში უნდა დაიკრძალოს და ყველა სხვა სახის ქმედება განსვენებულის სიმყუდროვის დარღვევად და მის შეურაცხყოფად ითვლება.

ქალაქის ხელმძღვანელობის ერთადერთი დიდი მიღწევა ფონ ჰაგენსისთვის იმ პლასტინატების გამოფენის აკრძალვა იყო, რომლებიც ნაკლებად ან სრულიად არ ტოვებდნენ საგანმანათლებლო ნიმუშის შთაბეჭდილებას და შოუს განწყობას ქმნიდნენ (მაგ.: ცხენზე ამხედრებული მეომარი, ფეხბურთის მეკარე ბურთით ხელში და ა.შ.). თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ გერმანელმა პათოლოგმა პლასტინატი "მხედარი" აკრძალვის მიუხედავად ჩამოიტანა მიუნხენში და პროტესტის ნიშნად "ოქროს" ნაჭერში შეფუთულ მდგომარეობაში გამოფინა.

ყურადღების ცენტრში 8 თვის ფეხმძიმე ქალისა და მისი ნაყოფის პლასტინატი მოექცა. ისევე, როგორც "გატყავებული" მამაკაცი, რომელსაც ხელში საკუთარი კანი უჭირავს. ფონ ჰაგენსი დღემდე ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ მის გამოფენას შემეცნებით-საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს და საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას აწვდის ადამიანის აგებულების შესახებ. აქვე დასძენს, რომ "სხეულთა სამყაროები" (ასე ჰქვია მის "შოუს") სიკვდილს სახეს აძლევს, რის შედეგადაც ამ ქვეყნიდან წასვლა ისეთი მტკივნეული აღარაა.

პლასტინირება გვამის დამუშავების ფონ ჰაგენსის მიერ აღმოჩენილი ახალი მეთოდია. გერმანელი "გვამთა პროფესორის" ოპონენტები თვლიან, რომ "ანატომიური დისნეილენდი" მხოლოდ და მხოლოდ სენსაციების მოხდენის წყურვილს ემსახურება. მიუხედავად ამისა, "დოქტორ სიკვდილის" პლასტინატები 1997 წლიდან მოძრაობენ დედამიწის გარშემო და თერთმეტმა მილიონმა ადამიანმა მოინახულა.

პროფესორი აცხადებს, რომ მის "კოლექციაში", სიცოცხლეში კონტრაქტზე ხელის მოწერის გარეშე ვერავინ მოხვდება. სწორედ ამ მიზნითაა საგამოფენო დარბაზებში შესაბამისი კუთხე გამოყოფილი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, საკუთარი სხეული შესწიროს ანატომს. ამ უკანასკნელმა გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ ჯერჯერობით გამოჩენილი ადამიანის პლასტინირება ვერ შეძლო. თუმცა, აქვე დასძინა, რომ გერმანიის ყოფილი კანცლერიც კი წარმოუდგენია "სხეულთა სამყაროს" პოდიუმზე.

ამჟამად ფონ ჰაგენსი ჩინეთში ცხოვრობს და საკუთარ 170-კაციან ფირმაში ჩინელ კოლეგებთან ერთად განაგრძობს მოღვაწეობას.

როგორც მიუნხენის გაზეთი "აბენდცაიტუნგი" იუწყებოდა, "მისტერ სიკვდილი" აპირებს პლასტინატების ქალაქის აშენებას. გვამთა მსოფლიო ტურნეს შემდეგი პუნქტი ჰამბურგი გახლდათ. საიდანაც "გვამთა შოუმ" თებერვალში მაინის ფრანკფურტში გადაინაცვლა. ჰამბურგის კულტურის სენატორი დანა ჰორაკოვა ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში ირწმუნებოდა, რომ გამოფენის ან ცალკეული პლასტინატების აკრძალვა ზიანს მოუტანდა საპორტო ქალაქის საერთაშორისო ავტორიტეტს, მაგრამ ფონ ჰაგენსის "ახალ-ახალ იდეებს" ვერც ჰამბურგის ხელმძღვანელობა შეეგუა და "მისტერ სიკვდილს" იქაც რამდენჯერმე მოუწია სასამართლოს წინაშე წარდგენა.

კითხვა კი, პროფესორი გუნტერ ფონ ჰაგენსი დიდი მეცნიერია, თუ მიცვალებულთა შეურაცხმყოფელი პათოლოგი, საზოგადოებაში დღემდე აქტუალურია.

გერმანული გაზეთის "ველტ ამ ზონტაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში "დოქტორ სიკვდილმა", ასე ვთქვათ, ახალი "ბომბი გახეთქა": თურმე მის გეგმაში სექსუალური აქტის, მოციგურავე გოგონასა და იესო ქრისტეს ჯვარცმის სცენების ინსცენირებაც შედის. ვერ ვიტყვი, თუ რამდენად ექნება ამგვარ ინსცენირებას სამედიცინო-დიდაქტიკური დატვირთვა, თუმცა ფაქტია, რომ მსგავს სენსაციურ იდეებს, სკანდალსა და ინტრიგებთან ერთად, მილიონობით შემოსავალი მოაქვს, რაც, ფონ ჰაგენსის განცხადებით, ადამიანის მუზეუმის დაარსებას უნდა მოხმარდეს. ასეა თუ ისე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი პოლიტპატიმრის და დღევანდელი "გვამთა პროფესორის", გუნტერ ფონ ჰაგენსის შეჩერება ჯერჯერობით ვერავინ შეძლო.

**P.S.** მიუნხენის ხელმძღვანელობის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის ერთ-ერთ პუნქტში, ფონ ჰაგენსის მიერ თავის "საკოლექციო მიცვალებულთა" დაუყოვნებლივი დაკრძალვის მოთხოვნაც იყო გათვალისწინებული. მაგრამ "დოქტორ სიკვდილი" დამკრძალავი ბიუროს სახელდახელოდ გახსნას, მისი დირექტორის (ან მინიმუმ მესაფლავის) თანამდებობას და გვამებით ნაშოვნი ფულის საკუთარი ხელით მიწაში დამარხვას გერმანიის სამართლის ლმობიერი ნორმების წყალობით გადაურჩა..




# რა ელით ენებს

"ენები გადაშენების ზღვარზე" – ცნობა ამ სათაურით გრაფიკული საინფორმაციო სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. ჯოანა გრიფინი ეყრდნობა ჟურნალ "საიენსის" მოხსენებას და აცხადებს, რომ დღეს მსოფლიოში არსებული ექვსი ათასი ენიდან უმრავლესობას გადაშენება ემუქრება. ამის მიზეზი ტექნიკის განვითარება და საგრძნობი დემოგრაფიული ცვლილებებია.

ჟურნალ "საიენსის" ცნობით, მეოცე საუკუნეში ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ნამდვილი დემოგრაფიული აფეთქება დაფიქსირდა. ლინგვისტურ იერარქიაზე დიდი გავლენა სწორედ ამ ფაქტორმა მოახდინა. ჩინური კვლავაც დარჩა კიბის სათავეში, მაგრამ ასევე გაიზარდა ტამილის ენაზე, ბენგალურსა და მალაურზე მოსაუბრეთა რიცხვიც. მსოფლიო ენების წყობაში ზევით მიიწევს არაბული ენის გავრცელების მაჩვენებელიც. სამაგიეროდ, არც თუ სახარბიელო პროგნოზები კეთდება დანარჩენი ნაკლებად გავრცელებული ენებისთვის. მომავალში, შესაძლოა, ისინი საოცარი ტემპითაც კი გადაშენდნენ, მაგალითად, ყოველ დღე თითო მათგანი გაქრეს.

დაიწევს ისეთი გავრცელებული ენის მაჩვენებლიც კი, როგორიც ინგლისურია. მიუხედავად იმისა, რომ ის თანამედროვე მსოფლიოში ნომერ პირველ ენად ითვლება, 2050 წლისთვის ეს ენა მშობლიური იქნება საერთო მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტისთვის. თუმცა, ამ დროისთვის ინგლისური მაინც შეინარჩუნებს მეორე ადგილს მრავალენოვან დედამიწაზე, სადაც ტერმინს "მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე" დიდი მნიშვნელობა აღარ მიენიჭება.

პატარ-პატარა ენების გაქრობის პარალელურად დაფიქსირდება კიდევ რამდენიმე საინტერესო ასპექტი: ახალი საგამომცემლო პრაქტიკისა და ტექნოლოგიების გამო შეიცვლება დიდი ენების შინაგანი ბუნებაც, იმ ქალაქებში კი სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი თანაცხოვრობს, ენების ახალი ფორმები აღმოცენდება. მსგავსი ჰიბრიდების წარმოქმნა კი ხელს შეუწყობს გლობალურ საზოგადოებაში მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

ცხადია, ამ დიდი სიახლეების ბოლომდე გათავისება და გაანალიზება რთულია. მით უფრო, რომ საკითხის არსში ჩაწვდომას ლინგვისტებიც კი ჯერაც თავგამოდებით ცდილობენ. ცვლილებების სწრაფ ტემპს მათ ფეხი როგორმე დროულად უნდა შეუწყონ, რის გამოც უკვე გვერდზე გადადეს ლექსიკონებსა და ენობრივ სინტაქსებში ძიებაზე გათვლილი პროექტები. ნაცვლად ამისა, ლინგვისტები ყოველდღიურ დიალოგებს აკვირდებიან და ამ ფრაგმენტული, გაბნეული ინფორმაციული ნაკადით ცდილობენ იმ შტრიხების დაფიქსირებას, რომელთა საშუალებითაც პოსტმოდერნისტული მსოფლიოს პორტრეტი იქმნება.

# როგორ გაჩნდა ანჟელიკა

ცნობილია, რომ უკვდავი ლიტერატურული სახეების შემქმნელები თავიანთ გმირებს საკუთარი თვისებებით ავსებენ, და სწორედ ამიტომ გამოდის ეს სახეები ასეთი რეალისტური. მაგრამ ხშირად პირიქითაც ხდება: მწერალი თავის პერსონაჟში სწორედ იმ ღირსებებსა და ნაკლებს ასხამს ხორცს, რომლებიც თავად აკლია და რომელთა შეძენაზეც, თავისი ხასიათის თუ გარეგნობის გამო, მხოლოდ ოცნებობს. ასეთ დროს მწერალს განსაკუთრებით მდიდარი ფანტაზია უნდა ჰქონდეს, რომ გამოგონილი პიროვნება გაცოცხლდეს და მილიონობით ადამიანს დაამახსოვრებინოს თავი.

სიმონა შანჟე, რომელსაც მსოფლიო ან გოლონის სახელით იცნობს, თავის თაყვანისმცემლებს გამუდმებით უმტკიცებს, რომ განთქმულ ანჟელიკა დე პეირაკთან არაფერი აქვს საერთო. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ანჟელიკა, რომელიც მთელ დღეებს საწერ მაგიდასთან ან ბიბლიოთეკაში ატარებდეს. თავად ქალბატონ სიმონეს სახიფათო თავგადასავლებს მათ შესახებ წერა ყოველთვის ერჩივნა. ამიტომ მის ცხოვრებას მხოლოდ ნაწილობრივ თუ შევადარებთ ისტორიულ რომანს – მასში არც ჩახვეული ინტრიგები ყოფილა, არც საიდუმლოებები. მართალია, მოგზაურობა მაინც მოუწია, თავბრუდამხვევი წარმატებაც ჰქონდა და ხანგრძლივი, რომანტიკული სიყვარულიც.

სიმონა 1921 წელს, ტულონში დაიბადა. მამამისი, ფლოტის კაპიტანი, გამომგონებელი, მოყვარული მფრინავი და საერთოდ, დიდი ენთუზიასტი იყო. თავისი ცხოვრების უდიდეს მიღწევად მას ავიაგადაფრენების უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი წიგნი მიაჩნდა. მისი ჩანაფიქრის თანახმად, წიგნის ილუსტრაციები და მასში გამოყენებული რუკები ფერადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სახსრები მხოლოდ შავ-თეთრი გამოცემისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ათი წლის სიმონემ მამას "ბესტსელერის" ხუთასი ეგზემპლარი საკუთარი ხელით გააფერადა – მხოლოდ ასეთი ნებისყოფის პატრონი თუ შეძლებდა უზარმაზარი "ანჟელიკების" დაწერას!


მიშელ მერსიე ანჟელიკას როლში

როგორც კი წერა-კითხვა ისწავლა, სიმონემ მოთხრობების წერა დაიწყო. თვრამეტი წლისამ, ჯოელ დანტერნის ფსევდონიმით, პირველი წიგნი გამოუშვა – რაც არ უნდა სასაცილოდ გეჩვენოთ, ავტობიოგრაფიული: "ქვეყანა ჩემი თვალით". და რაც კიდევ უფრო სასაცილო და გასაკვირია, წიგნი დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

სიმონე არც ოკუპანტებს ებრძოდა, არც წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაბმულა – აბა, ამდენი სად შეეძლო! ომის დროს ის წერდა, და სხვადასხვა ფსევდონიმებით ათობით ნარკვევი და სამი წიგნიც გამოაქვეყნა. უბრალოდ, ფაშისტების მიერ ოკუპირებულ პარიზში ცხოვრება სულ უფრო მეტად გაჭირდა, და სიმონე, პასიური პროტესტის ნიშნად, ველოსიპედზე დაჯდა და პროვინციაში გაემგზავრა – პუატუში, თავისი მომავალი გმირის სამშობლოში.

იქ ავტომობილი იშვიათი ხილი იყო, სიმონეს ველოსიპედმაც კი დიდი გაოცება გამოიწვია. იქაურებს ძველებური ტანსაცმელი ეცვათ და ლამის შუასაუკუნეების ადათების თანახმად ცხოვრობდნენ. დედის მიერ მკაცრად დარიგებული სიმონე ღამეს დედათა მონასტრებში ათენებდა – ამიტომ შეძლო შემდგომ იქაური ატმოსფეროს ასე კარგად ასახვა...

შემდეგი მოგზაურობა უფრო გრძელი იყო – ესპანეთის საზღვრამდე, კვლავ ველოსიპედით. მაგრამ აქ სიმონეს უკვე უსიამოვნება შეხვდა: ოკუპირებული ზონის საზღვარზე ის, როგორც საეჭვო პირი, დააპატიმრეს, და მას ათასგვარი სისულელის ლაპარაკი მოუწია: "მე ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ, თავგადასავლებს ვეძებ, მე ჩემი ქვეყნის მშვენების შესახებ წიგნის დაწერა მინდა"...

ომის დამთავრების შემდეგ სიმონემ საკუთარი ჟურნალი, "საფრანგეთი-47" დააარსა, მერე საბავშვო სათავგადასავლო წიგნისთვის დიდი ფულადი ჯილდო მიიღო და ამ ფულით ფრანგულ ეკვატორიულ აფრიკაში, ახლანდელ კონგოში გაემგზავრა – ახალი შთაგონების წყაროს საძებნელად.

მიაგნო კიდეც: იქ, ჯუნგლებში, მამაკაცი გაიცნო, მასზე თვრამეტი წლით უფროსი, რუსეთის კონსულის ვაჟი, ვსევოლოდ გოლუბინოვი. ამ კაცმა, ქიმიკოსმა და გეოლოგმა, უამრავი ენა იცოდა და ჭეშმარიტი ავანტიურისტისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით იყო შემკული. სიმონე ვსევოლოდს საათობით უსმენდა ხოლმე და ზუსტად ხვდებოდა – მისი ნაამბობი გამოგონილი არ იყო. ვსევოლოდს კი სიმონე თავდავიწყებით შეუყვარდა.

ვსევოლოდი მწერალი არასოდეს ყოფილა, უბრალოდ, ოდესღაც მან ერთ დამწყებ ჟურნალისტს თავის ბიოგრაფია უამბო, და იმან გადაწყვიტა, სახელი სერჟ გოლონი ვსევოლოდ გოლუბინოვზე უკეთ ჟღერსო. სერჟ გოლონს მოსაყოლი ბევრი ჰქონდა, სიმონა-ანამ წერა იცოდა.

ასე დაიწყო მისი და ანჟელიკას დიდი რომანი.

# თემა: სექსი რადიოში


ჰოვარდ შტერნი

ამერიკის შეერთებული შტატების მედია ცდილობს სექსზე საუბარი რადიოშიც აღკვეთოს. ჰოვარდ შტერნს, სახელგანთქმულ რადიოწამყვანს, რომელიც თავის სტუმრებს სექსზეც ელაპარაკება ხოლმე, პროგრამის დახურვა მოსთხოვეს: რა უზრდელობაა! ჩვენთან, შტატებში, სექსი არ არსებობს!

იმის შემდეგ, რაც ჯენეტ ჯექსონმა კდემამოსილ ამერიკელ მაყურებელს ის აჩვენა, რაც, ცხადია, არავის არასოდეს უნახავს, შეერთებული შტატების ტელეარხები ძალიან ცდილობენ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს. გაზეთი Hollywood Reporter იუწყება, რომ ამერიკელი მსმენელიც ძალიან მგრძნობიარე ყოფილა – ჰოვარდ შტერნს სექსზე საუბრით პატიოსან მოქალაქეთა შოკირება აეკრძალა.

დასკვნითი აკორდი იყო მისი ინტერვიუ რიკ სალომონთან, სასტუმროების კონცერნის მემკვიდრის, პერის ჰილტონის ყოფილ საყვარელთან. საუბრის თემა ვიდეოჩანაწერი იყო, რომელიც სალომონმა და 23 წლის პერისმა გადაიღეს – მასზე მათი სექსია ასახული. შტერნი ისედაც იმითაა ცნობილი, რომ სექსის შესახებ "მეტისმეტად თამამად" საუბრობს და აგრესიულიც ბრძანდება, და სალომონთან ინტერვიუ სავსებით შეესაბამებოდა მისი გადაცემის კონცეფციას.

ჯონ ჰოგენმა, მედიასაწარმო Clear Channel Communications-ის თავმჯდომარემ, გადაწყვიტა, რომ შტერნის ატანა აღარ შეიძლება. მისი შოუ ყოფილა "ვულგარული, ამაზრზენი და შეურაცხმყოფელი, არა მარტო ქალებისა და აფრო-ამერიკელებისთვის, არამედ ნებისმიერი გონიერი ადამიანისთვისაც".

მოკლედ

## ვერცხლისა და ბრინჯაოს საგზურები




გრეგორი ბალაკჩინმა ნიკოლოზ იზორიას (ზურგით) ქულებით მოუგო

რაკი 2004 წელი საოლიმპიადოა, ძირითადი ყურადღებაც სწორედ ოლიმპიური სახეობებისკენაა მიმართული. თამაშდება საგზურები ანუ ლიცენზიები, რომლებიც სპორტსმენს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლებას აძლევს. საქართველოს მოკრივეთა ნაკრები, ისევე როგორც ევროპის დანარჩენი ქვეყნები, 19-29 თებერვალს პულაში (ხორვატია) სწორედ ლიცენზიებისთვის იბრძოდა. მართალია, ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატის თავსართის გახლდათ, მაგრამ აქცენტი მაინც ლიცენზიების მოპოვებაზე იყო გაკეთებული. ლიცენზიებს საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაეუფლნენ.

ევროპის 35-ე ჩემპიონატზე ლიცენზიებისა და მედლებისთვის საქართველოს ნაკრებიც იბრძოდა. კონსტანტინე კუპატაძისა (57კგ) და ნიკოლოზ იზორიას (51კგ) თავგამოდებამ საქართველოს ნაკრებს, შესაბამისად, ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები მოუტანა.

## რივალდო კვლავ უგუნდოდაა

ორი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ბრაზილიელმა რივალდომ ახალი სამუშაო ადგილი იპოვა და იტალიური "მილანიდან" გათავისუფლების შემდეგ ბრაზილიურ "კრუზეიროში" გადაბარგდა. ეს ტრანსფერი ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გარიგებად მონათლეს. ყველა კმაყოფილი იყო - "კრუზეიროც", რივალდოც და, პირველ ყოვლისა, ბრაზილიელი გულშემატკივრები. თუმცა, ეს ამბავი ცუდად დამთავრდა.

"კრუზეიროს" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა ვანდერლეი ლუქსემბურგო. ეს გუშინწინ მოხდა. გუშინ კი, ლუქსემბურგოს მოხსნიდან 24 საათის შემდეგ, რივალდომ "კრუზეიროსთან" კონტრაქტი გაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ რივალდო და ლუქსემბურგო დიდი მეგობრები არიან. ლუქსემბურგოს ფაქტორმა იმაშიც დიდი როლი შეასრულა, რომ რივალდო "კრუზეიროს" წინადადებას დათანხმდა. ახლა კი ეს მწვრთნელი, რომელმაც, სხვათა შორის, გასულ სეზონში "კრუზეიროს" ბრაზილიის ჩემპიონატი მოაგებინა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გააძევეს გუნდიდან. რივალდო ამ ფაქტმა აღაშფოთა და სწორედ ლუქსემბურგოს მოხსნის გამო წავიდა "კრუზეიროდან". ფეხბურთელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კლუბიდან სხვა გუნდში გადასვლის მიზნით არ მიდის და რომ მისი ეს ნაბიჯი მხოლოდ ლუქსემბურგოს გაგდების ფაქტმა განაპირობა. რივალდოს განცხადებით, ახლა მას წარმოდგენა არა აქვს, თუ სად მოუწევს კარიერის გაგრძელება.

ასე რომ, რივალდო კვლავ უგუნდოდ დარჩა.

## "ოქროს გოლი" აღარ იქნება

ფიფა-მ მიიღო გადაწყვეტილება, გააუქმოს "ოქროს გოლი". ეს გადაწყვეტილება ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შევა ძალაში. გაუქმებულია "ვერცხლის გოლის" წესიც. ამიერიდან დამატებითი დრო გაგრძელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე გუნდი პირველ დამატებით ტაიმს მოიგებს.

"ოქროს გოლის" წესი იმ მიზნით შემოიღეს, რომ დამატებითი დრო უფრო საინტერესო გამხდარიყო. თუმცა, ფიფა-ს აზრით, დამატებით დროში გუნდები მეტისმეტად ფრთხილობდნენ და ასეთი თამაშის ყურება საინტერესო არ იყო. "ოქროს გოლის" შემოღებით ფიფამ უარყოფითი ეფექტი მიიღო. შეცდომის ფასი იმდენად გაიზარდა, რომ გუნდები დამატებით 30 წუთში ბურთს აქეთ-იქით უბრალოდ არბენინებდნენ.

ფიფა-მ ამხანაგურ მატჩებში შეცვლების ლიმიტიც დააწესა. ამიერიდან ამხანაგურ მატჩებში 6 შეცვლა იქნება შესაძლებელი. ფიფა-ს მოთმინების ფიალა სვენ-გორან ერიქსონმა აავსო. ინგლისის ნაკრების მწვრთნელს ჩვევად ჰქონდა შესვენებაზე მთელი გუნდის შეცვლა.

გერმანელთა ინიციატივამ, შესვენება 20 წუთამდე გაეზარდათ, გამოხმაურება ვერ პოვა. ფიფა-ს აზრით, ასეთ ცვლილებას შეიძლება მთლიანად ფეხბურთისთვის ზიანი მიეყენებინა.

TV - პროგრამა

### ორშაბათი. 1 მარტი

**НТВ+ ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. "უტრეხტი" – "აიაქსი"
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" – "სელტა"
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:10 გერმანიის ჩემპიონატი. "ფრაიბურგი" – "კაიზერსლაუტერნი". პირდაპირი ტრანსლაცია
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ჩარლტონი"
20:40 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 იტალიის ჩემპიონატი. "პარმა" – "რომა"
01:10 "FUTBOL MUNDIAL"
01:40 01:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს ფინალი 2003
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. ოვერტაიმი: რიკ ბერი
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. "UTAH JAZZ" - "DETROIT PISTONS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:30 პრესცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:35 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
12:05 ჩოგბურთი. ATP ტურნირი საფრანგეთში. ფინალი
14:15 "ჰარმონიის ფორმულა"
14:30 მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი "Gaz de France"
17:15 კრივი. ევროპის ჩემპიონატი ხორვატიაში. ფინალები. შესვენებისას (18:00) - "NHL - პლუს"
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
21:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
22:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. მორალესი – ჩავესი
00:00 "NHL - პლუს"
00:15 სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ტურნირი. იუნიორები. დუეტი. სოლო. გუნდები. ფინალები. შესვენებისას (01:156) – ახალი ამბები

**EUROSPORT**
11:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
12:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი ფინეთში
12:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი სლოვენიაში
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი აშშ-ში
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. უიკ ენდი
18:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა
18:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი აშშ-ში
20:15 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
20:45 ფეხბურთი. ევრო-2004. ჩემპიონთა თაობა
21:15 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 მულტისპორტი
23:00 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
01:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ბედნიერი საათი
02:15 ფეხბურთი. ევროგოლები
03:15 ახალი ამბები
03:30 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:45 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# "რომა" არ გარუსდა...

თებერვლის დასაწყისში იტალიის საინფორმაციო წყაროებმა სენსაციური ინფორმაცია გაავრცელეს იმის შესახებ, რომ საფეხბურთო კლუბ "რომას" შეძენას რუსული კომპანია Нафта-Москва აპირებდა. ჟურნალისტები რუსი მენავთობეების მიერ ფრანკო სენსისთვის შეთავაზებული თანხის რაოდენობასაც ასახელებდნენ – 400 მილიონი ევრო, საიდანაც 250 კლუბის დავალიანებების დაფარვას მოხმარდებოდა, 50 მილიონი – ახალი ფეხბურთელების შეძენას, ხოლო 100 მილიონ ევროს მიიღებდა თავად პრეზიდენტი სენსი, რომელსაც კლუბის საპატიო პრეზიდენტის პოსტს შეუნარჩუნებდნენ.

"ჩვენ მზად ვართ, ნაღდი ფულით გადაგიხადოთ!" – იმეორებდნენ აღფრთოვანებული იტალიელი ჟურნალისტები Нафта-Москва-ს წარმომადგენელთა სიტყვებს. რა კრიტერიუმებით აირჩიეს რუსმა ბიზნესმენებმა "რომა"? – ამ საკითხთან დაკავშირებით ორ ვერსიას ასახელებენ. ერთ-ერთის თანახმად, იტალიური კლუბის შეძენა რომან აბრამოვიჩს ჯერ კიდევ მანამდე უნდოდა, სანამ ლონდონის "ჩელსის" შეიძენდა. Нафта-Москва-ს უკან სწორედ აბრამოვიჩს მოიაზრებენ. ამბობენ, რომ "რომას" სწორედ აბრამოვიჩი ყიდულობს და ამ საქმეში Нафта-Москва-ს მხოლოდ ფორმალური დანიშნულება აქვს. მეორე ვერსიით, რუსული ნავთობ-კომპანია საფეხბურთო ბიზნესით დაინტერესდა და გადაწყვიტა, იტალიურ კლუბებში არსებული ფინანსური კრიზისით ისარგებლოს. "რომა" დიდ ვალებშია ჩავარდნილი. ამავდროულად, სახელოვანი კლუბია, თანაც, იტალიის დედაქალაქის ბინადარია. ასე რომ, "რომა" შესანიშნავი ვარიანტია ფულის დასაბანდებლად.

თავდაპირველად ფრანკო სენსი ჯიუტად უარყოფდა რუსებთან მოლაპარაკების ფაქტს, შემდეგ კი აღიარა, რომ კლუბისთვის ახალ ინვესტორს ეძებდა. თუმცა, Нафта-Москва-ს გვერდით, "რომას" შესაძლო მყიდველებს შორის, სხვა კომპანიებიც სახელდებოდა, მათ შორის, ჰოლანდიური ABN Amro.

გასულ კვირას წამყვანი იტალიური გაზეთები პირველ გვერდებზე წერდნენ, რომ კვირას "რომა" რუსების გახდებოდა. მათი ინფორმაციით, კლუბსა და რუსულ კომპანიას შორის მოლაპარაკებები დასრულდა და კვირას მხარეები ხელს მოაწერდნენ კონტრაქტს. პრესა იმ ფეხბურთელთა გვარებსაც ასახელებდა, რომელთა შეძენას "რომას" ახალი პატრონები აპირებდნენ: კრისტიან ვიერი, ფილიპ მექსესი, ედგარ დავიდსი, მარეკ იანკულოვსკი...

კვირა გათენდა და "რომა" არ გახდა რუსების... გარიგება, რომელიც თებერვლის უკანასკნელი დღისთვის იყო დაგეგმილი, აღარ შედგა. მოლაპარაკება, რომელიც თითქოს უკვე დასრულებული იყო, უკანასკნელ დღეს ჩაიშალა. ყველაფერი კი იმან გამოიწვია, რომ "რომას" ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ახალი დეტალები გახდა ცნობილი. გასულ კვირას კლუბს აუდიტი ჩაუტარეს. აღმოჩნდა, რომ "რომას" 250 მილიონ ევროზე ბევრად მეტი ვალი აქვს და, შესაძლოა, არც კანონთან იყოს მთლად პირნათელი. იტალიის პოლიცია ქვეყნის საფეხბურთო კლუბების სატრანსფერო საქმიანობას იძიებს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, იტალიური კლუბები სატრანსფერო გარიგებებს ისე აწარმოებდნენ, რომ გადასახადებს ფარავდნენ. შესაძლოა, ასეთი დარღვევები "რომასაც" ჰქონდეს.

არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში "რომა" მაინც შეიძინოს ვინმემ, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ კვირას "რომა" არ გახდა რუსული...

კრივი

# ამერიკა - კლიჩკოების მოლოდინში

გიგა გურასაშვილი

სავსებით შესაძლებელია, აპრილში კრივის მსოფლიო საბჭოსა (WBC) და კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) სუპერმძიმეწონოსანთა ეშელონს ახალი ჩემპიონები მოევლინოს. ჩემპიონი თავისთავად გამოვლინდება, მაგრამ საინტერესოა, მათ შორის ძმებ კლიჩკოებს ვიხილავთ თუ მათ მეტოქეებს. თუ საჩემპიონო სარტყელები უკრაინელი გიგანტების საკუთრება გახდება, მაშინ მათი ჩანაფიქრი თუ ამბიცია ნაწილობრივ დაკმაყოფილდება.

რა ხანია, ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოები საკრივო სამყაროს ყველაზე გავლენიანი ფედერაციების WBC (საბჭო), WBA (ასოციაცია), WBO (ორგანიზაცია) და IBF-ის (ფედერაცია) უმთავრესი ტიტულების დასაუფლებლად იბრძვიან. ჩანაფიქრის მიხედვით, ძმებმა ოთხივე ფედერაციის ტიტული უნდა გაიყონ და კრივის სამყაროს მონოპოლისტებად მოგვევლინონ. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უმცროსმა – ვლადიმირმა უნდა გადადგას. მერე კი საქმეში ჩაებმება ვიტალი, რომელსაც სამხრეთაფრიკელი კორი სანდერსის სახით ძლიერი მეტოქე ელის. სანდერსთან ორთაბრძოლა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სასწორზე ყველაზე გავლენიანი - საბჭოს ქამარი დევს.



კლიჩკოები მსოფლიოს დაპყრობას აპირებენ

ვიტალისა და კორის შერკინებას დიდი აჟიოტაჟი უძღოდა წინ. სამხრეთაფრიკელი უკრაინელთან ორთაბრძოლის კონტრაქტზე ხელის მოწერას აჭიანურებდა. ხან რას იმიზეზებდა, ხან - რას. ამ ორთაბრძოლაზე უარის თქმა საკუთარი ნებით კარიერის დასამარების ტოლფასი იქნებოდა. ასე რომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ: სანდერსის ჭირვეულობას სარეკლამო ოინის ელფერი დაჰკრავდა.

ბრძოლა, როგორც ადრე იყო დათქმული, 24 აპრილს გაიმართება. ერთადერთი, რაც დღემდე გაურკვეველი რჩება, ბრძოლის ველის ადგილმდებარეობაა. სახელდება სამი ქალაქი, რომელიც, შესაძლოა, მატჩის მასპინძლად მოგვევლინოს: ნიუ იორკი, ატლანტიკ-სიტი და, რა თქმა უნდა, ლას ვეგასი.

"როგორც იქნა, კონტრაქტთან დაკავშირებული პერიპეტიები წარსულს ჩაბარდა. ახლა შემიძლია მშვიდად შევუდგე ორთაბრძოლისთვის მზადებას, - აცხადებს ვიტალი კლიჩკო და იქვე სიტყვას მეტოქეზე აგრძელებს. – მშვენივრად მესმის, რომ წინააღმდეგობა მელის არა მარტო სანდერსის გამოცდილებასთან და ოსტატობასთან, არამედ მისი მწვრთნელისა და პრომოუტერის ლენოქს ლუისის განსწავლულობასთანაც. ისიც ვიცი, რომ იოლი გასეირნება არ მელის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სანდერსს იქ მივუჩენ ადგილს, სადაც ვლადიმირთან ორთაბრძოლამდე იყო".

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს ორთაბრძოლა ვიტალისთვის რევანშის დატვირთვასაც იძენს. შარშან, 8 მარტს, კორი სანდერსმა ვიტალის უმცროს ძმას ორგანიზაციის უმთავრესი ტიტული ორ რაუნდში აართვა. ახლა კი სამხრეთაფრიკელს ვლადიმირის უფროს ძმასთან უწევს ურთიერთობის გარკვევა, თუმცა, არა მგონია, ამჯერად მისთვის ყველაფერი ისე იოლად წარიმართოს, როგორც ერთი წლის წინათ.

რაც შეეხება ვლადიმირის ორთაბრძოლას, იგი, წესით და რიგით, 10 აპრილს უნდა გაიმართოს. წესით და რიგით იმიტომ, რომ კონტრაქტზე ჯერაც არ მოუწერიათ ხელი. ბრძოლა კი საორგანიზაციოა. ანუ, ვლადიმირი WBO-ს ვაკანტური ტიტულისთვის იბრძვის. ებრძვის კი ამერიკელ ლეიმონ ბრიუსტერს. გაურკვევლობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მოკრივეთა პრომოუტერები საბოლოოდ ჯერაც არ შეთანხმებულან. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები საბოლოოდ შეთანხმდებიან (რასაც რამდენიმე დღეში ელიან), მათი დაპირისპირება ლას ვეგასში შედგება. ერთი სიტყვით, ორკვირიან ინტერვალში ამერიკის კონტინენტი საბჭოსა და ორგანიზაციის ჩემპიონებს გამოავლენს.

ველოსპორტი

# დამარცხება სიკვდილის ტოლფასია...

### ლანს არმსტრონგი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა

ნინო პირველი

როგორც იქნა, ლანს არმსტრონგმა ველოსპორტისთვისაც მოიცალა. მას შემდეგ, რაც გასული წლის ზაფხულში ტურ დე ფრანსი მეხუთედ მოიგო და ცოლს გაშორდა, საერთოდ დაავიწყდა, რომ სპორტსმენი იყო. 2003 წელი არმსტრონგისთვის დიდი ცვლილებების მომტანი აღმოჩნდა - აქამდე ამერიკელი ერთგულ მეუღლედ და სანიმუშო მამად ითვლებოდა, საფრანგეთში მოპოვებული მეხუთე გამარჯვების შემდეგ კი მისი იმიჯი ძირეულად შეიცვალა. არმსტრონგმა საერთოდ დაივიწყა თავისი ძველი როლი, მიატოვა ოჯახი და თავფეხიანად გადაეშვა ბოჰემურ ცხოვრებაში. ვიღას ახსოვდა მოკრძალებული კრისტინი, რომლის გარეშე ერთ დროს არმსტრონგს ვერც კი წარმოედგინა ცხოვრება. ერთგული კრისტინი, რომელიც გვერდიდან არ მოშორებია არმსტრონგს, როცა ის კიბოს დიაგნოზდასმული მძიმე პაციენტი იყო და არა ტურ დე ფრანსის გმირი. ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. ამერიკელს მობეზრდა იდეალური მეოჯახე კაცის თამაში და საკუთარ თავს სრული თავისუფლება მიანიჭა. საიდუმლო შეხვედრები სანდრა ბალოკთან, რომანტიკული საღამოები ნიუ-იორკის ფეშენებელურ რესტორნებში, ბულვარული გაზეთების ჟურნალისტთა ცნობისმოყვარე მზერა და პაპარაცთა კამერები.... ლანს არმსტრონგის ცნობა პირდაპირ შეუძლებელი იყო. თუმცა, მთავარი სიურპრიზი ჯერ კიდევ წინ ელოდათ სენსაციების მოყვარულთ. არმსტრონგმა, მართლაც, დიდი თავსატეხი გაუჩინა ყველას. ვერავინ გაიგო, ბოლოს და ბოლოს, ვისთან მეგობრობდა მეუღლესთან განშორების შემდეგ. მთელი




არმსტრონგი "საპენსიოდ" ემზადება

ნიუ-იორკი ჯერ ისევ სანდრა ბალოკთან წამოწყებულ ფლირტზე ჭორაობდა, როცა მოულოდნელად არმსტრონგი შერილ კროუსთან ერთად გამოჩნდა და ყვითელ პრესას საბოლოოდ აუბნია თავგზა. ამ აბრაკადაბრადან ამერიკელმა ჟურნალისტებმა მხოლოდ ერთი დასკვნა გამოიტანეს: არმსტრონგს თავისზე უფროსი ქალები ჰყვარებია და, არ არის გამორიცხული, შერილ კროუს მერე შერონ სტოუნს ან სულაც ბარბრა სტრეიზანდს დაუწყოს არშიყობაო...

რაკი არმსტრონგი ასე გაერთო ნაირ-ნაირ ქალებთან ფლირტით, გულშემატკივრები უკვე ფიქრობდნენ, რომ 2004 წელს ამერიკელი აღარ მოისურვებდა ტურ დე ფრანსზე გამოსვლას და წლევანდელი ტურის უპირობო ფავორიტი არმსტრონგის მთავარი კონკურენტი, გერმანელი იან ულრიხი იქნებოდა, მაგრამ არმსტრონგმა უცებ ცივი წყალი გადაასხა იოლ გამარჯვებაზე მეოცნებე ულრიხს და მის ახალ გუნდს, გერმანულ T Mobile-ს. ახალი სეზონი ამერიკელმა პორტუგალიაში დაიწყო და პირველივე ცდაზე გაიმარჯვა, თანაც, სპრინტერებთან ბრძოლაში. ასეთ შედეგს არავინ ელოდა, სხვათა შორის, არც თავად არმსტრონგი: "არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. წლის ამ დროს საერთოდ არ ვარ ხოლმე ფორმაში. ძალიან გამიკვირდა, როცა საუკეთესო დრო ვაჩვენე", - თქვა არმსტრონგმა ინგლისური "ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში. იმის მიუხედავად, რომ იან ულრიხზე არავის არაფერი უკითხავს, არმსტრონგმა მაინც ვერ მოისვენა და მწარედ უკბინა თავის ძველ მეტოქეს: "საინტერესოა, რა გაიფიქრა იან ულრიხმა, როცა ეს ამბავი გაიგო. დარწმუნებული ვარ, ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე ჩემი გამარჯვება. ჩემთვის რომ ეთქვა ვინმეს, იანმა თებერვალში სპრინტერებს აჯობაო, ალბათ, ორმოცდაათ ბუქნს გავაკეთებდი, რომ შოკიდან გამოვსულიყავი და საკუთარი თავისთვის მეთქვა: ჯერ კიდევ შემიძლია რაღაცის გაკეთება", - სიცილით შენიშნა არმსტრონგმა.

იან ულრიხი და ლანს არმსტრონგი. გასული წლის ტურმა ამ ორი გიგანტის უშეღავათო დაპირისპირებაში ჩაიარა და 2004 წელსაც იგივეა მოსალოდნელი. შარშან ულრიხმა დიდსულოვანი რაინდის როლი შეასრულა, როცა ველოსიპედიდან ჩამოვარდნილი არმსტრონგისთვის გასწრება არ იკადრა და მანამდე არ დაიძრა ადგილიდან, სანამ ამერიკელი საწყის მდგომარეობას არ დაუბრუნდა. ეს კეთილშობილური ჟესტი ძვირად დაუჯდა გერმანელს. არმსტრონგმა ის რბოლა მოიგო. შემდეგ ეტაპზე კი, როცა უკვე ულრიხი აღმოჩნდა მიწაზე, მეტოქისთვის დაცდა აზრადაც არ მოსვლია. სავარაუდოდ, ამ სეზონში მსგავსი აღარაფერი მოხდება. დიდი ხანია, იან ულრიხი ტურის მეორედ მოგებაზე ოცნებობს და კარგი მანერებით კეკლუცობას, ალბათ, არ დაიწყებს. არც არმსტრონგი დაზოგავს თავს მეექვსე ტიტულის მოსაგებად. "ეს წელი, შესაძლოა, უკანასკნელი იყოს ჩემს კარიერაში. თერთმეტი თვის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე მალე დასრულდებოდა ყველაფერი. ახლა უკვე ისეთ განწყობაზე ვარ, რომ შეიძლება მეტად აღარც გავიდე ტრასაზე. ტურ დე ფრანსი აუცილებლად უნდა მოვიგო. როცა ავად ვარ, სიკვდილი არ მინდა, როცა ტურნირზე გამოვდივარ, დამარცხება არ მსურს. დამარცხება ჩემთვის სიკვიდილის ტოლფასია", - ამბობს ტურ დე ფრანსის ხუთგზის ტრიუმფატორი.

რა განწყობაზეა ამ დროს არმსტრონგის კონკურენტი? იან ულრიხს ჯერ არ დაუწყია სეზონი. მთელი ზამთარი კუნძულ მაიორკაზე ვარჯიშობდა და ზაფხულისთვის ემზადებოდა. ახლა, როცა არმსტრონგი ასე კმაყოფილია თავისი წარმატებებით და ტრაბახობს, ფორმის პიკს ივლისში, ტურზე მიაღწევო, იან ულრიხს ძალაუნებურად მოუწევს პირველ რბოლაში თავის გამოჩენა. მთავარი ბრძოლა კი, რა თქმა უნდა, საფრანგეთში შედგება.

# „საოჯახო ტოტო"-ს 28 თებერვლის №48 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000001 | 1,5 |
| 000015 | 1,5 |
| 000032 | 2,0 |
| 000038 | 1,0 |
| 000043 | 1,5 |
| 000110 | 1,5 |
| 000115 | 1,5 |
| 000128 | 2,0 |
| 000130 | 3,0 |
| 000153 | 2,0 |
| 000188 | 2,0 |
| 000194 | 25,0 |
| 000197 | 2,5 |
| 000203 | 1,5 |
| 000225 | 1,5 |
| 000227 | 1,0 |
| 000236 | 1,5 |
| 000263 | 1,5 |
| 000302 | 1,5 |
| 000315 | 1,5 |
| 000335 | 1,5 |
| 000354 | 6,0 |
| 000355 | 4,0 |
| 000377 | 2,0 |
| 000384 | 1,0 |
| 000414 | 1,5 |
| 000415 | 1,0 |
| 000450 | 2,0 |
| 000473 | 3,5 |
| 000480 | 1,5 |
| 000506 | 1,0 |
| 000515 | 2,0 |
| 000517 | 2,5 |
| 000555 | 2,0 |
| 000561 | 2,0 |
| 000576 | 3,5 |
| 000604 | 2,0 |
| 000618 | 1,0 |
| 000650 | 2,5 |
| 000655 | 3,5 |
| 000661 | 2,0 |
| 000664 | 1,0 |
| 000670 | 2,5 |
| 000686 | 1,0 |
| 000688 | 1,0 |
| 000717 | 1,0 |
| 000732 | 1,5 |
| 000778 | 2,0 |
| 000799 | 1,5 |
| 000817 | 1,0 |
| 000820 | 1,0 |
| 000840 | 2,0 |
| 000905 | 4,0 |
| 000914 | 2,0 |
| 000940 | 1,0 |
| 000953 | 9,0 |
| 000958 | 3,0 |
| 000994 | 4,5 |
| 001536 | 2,5 |
| 001546 | 1,5 |
| 001560 | 1,0 |
| 001562 | 3,5 |
| 001612 | 1,0 |
| 001623 | 1,5 |
| 001632 | 1,5 |
| 001636 | 3,5 |
| 001672 | 2,0 |
| 001684 | 1,5 |
| 001754 | 3,0 |
| 001766 | 1,0 |
| 001783 | 1,0 |
| 001793 | 2,0 |
| 001796 | 3,0 |
| 001807 | 1,5 |
| 001869 | 1,0 |
| 001878 | 2,0 |
| 001881 | 1,5 |
| 001892 | 25,0 |
| 001900 | 1,5 |
| 001925 | 2,5 |
| 001930 | 2,0 |
| 001939 | 1,0 |
| 001944 | 1,5 |
| 001972 | 1,5 |
| 001973 | 1,0 |
| 001974 | 1,0 |
| 001981 | 1,0 |
| 002019 | 2,0 |
| 002020 | 4,5 |
| 002036 | 2,0 |
| 002044 | 2,0 |
| 002051 | 1,5 |
| 002052 | 1,5 |
| 002054 | 2,0 |
| 002058 | 2,0 |
| 002090 | 1,0 |
| 002109 | 1,0 |
| 002126 | 3,0 |
| 002134 | 1,0 |
| 002138 | 1,0 |
| 002171 | 1,5 |
| 002180 | 1,5 |
| 002188 | 1,0 |
| 002222 | 1,5 |
| 002257 | 1,5 |
| 002270 | 3,5 |
| 002272 | 1,0 |
| 002291 | 1,5 |
| 002309 | 1,0 |
| 002318 | 1,5 |
| 002339 | 2,0 |
| 002350 | 1,0 |
| 002351 | 1,5 |
| 002374 | 1,5 |
| 002379 | 1,5 |
| 002460 | 2,0 |
| 002486 | 3,5 |
| 002503 | 2,0 |
| 002513 | 600,0 |
| 002517 | 2,0 |
| 002532 | 1,0 |
| 002550 | 1,0 |
| 002566 | 1,5 |
| 002569 | 2,5 |
| 002574 | 2,0 |
| 002584 | 2,0 |
| 002626 | 3,5 |
| 002638 | 3,5 |
| 002682 | 1,5 |
| 002691 | 2,0 |
| 002714 | 1,0 |
| 002717 | 2,0 |
| 002726 | 5,0 |
| 002727 | 6,0 |
| 002747 | 1,5 |
| 002810 | 2,0 |
| 002816 | 1,5 |
| 002823 | 2,5 |
| 002827 | 1,0 |
| 002842 | 1,5 |
| 002853 | 1,0 |
| 002857 | 2,0 |
| 002866 | 3,0 |
| 002887 | 3,5 |
| 002901 | 7,0 |
| 002930 | 1,5 |
| 002941 | 2,0 |
| 002964 | 2,0 |
| 002967 | 2,0 |
| 002974 | 1,5 |
| 002977 | 2,0 |
| 002993 | 2,5 |
| 002998 | 500,0 |
| 003006 | 1,5 |
| 003012 | 1,5 |
| 003032 | 10,0 |
| 003041 | 4,0 |
| 003051 | 1,5 |
| 003078 | 1,5 |
| 003085 | 3,5 |
| 003097 | 1,0 |
| 003101 | 1,5 |
| 003120 | 2,5 |
| 003128 | 1,5 |
| 003129 | 1,5 |
| 003137 | 2,0 |
| 003173 | 1,5 |
| 003210 | 1,0 |
| 003215 | 1,0 |
| 003226 | 8,0 |
| 003246 | 2,5 |
| 003254 | 3,0 |
| 003266 | 2,0 |
| 003278 | 1,5 |
| 003286 | 2,0 |
| 003292 | 1,5 |
| 003297 | 2,0 |
| 003301 | 1,5 |
| 003307 | 1,5 |
| 003328 | 1,5 |
| 003335 | 1,5 |
| 003336 | 1,5 |
| 003367 | 2,0 |
| 003373 | 3,0 |
| 003375 | 1,5 |
| 003387 | 3,0 |
| 003389 | 1,5 |
| 003421 | 15,0 |
| 003438 | 1,0 |
| 003461 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 003462 | 2,0 |
| 003491 | 2,0 |
| 003499 | 1,5 |
| 003547 | 3,0 |
| 003558 | 2,0 |
| 003559 | 2,5 |
| 003595 | 2,5 |
| 003597 | 6,0 |
| 003598 | 1,0 |
| 003607 | 1,5 |
| 003621 | 1,5 |
| 003634 | 1,5 |
| 003635 | 1,5 |
| 003638 | 1,5 |
| 003647 | 1,5 |
| 003651 | 1,5 |
| 003662 | 2,5 |
| 003674 | 1,5 |
| 003675 | 1,0 |
| 003680 | 1,0 |
| 003682 | 5,0 |
| 003689 | 2,0 |
| 003690 | 2,0 |
| 003691 | 1,5 |
| 003713 | 1,5 |
| 003723 | 1,5 |
| 003726 | 1,0 |
| 003777 | 1,5 |
| 003781 | 2,0 |
| 003795 | 1,5 |
| 003820 | 4,0 |
| 003840 | 1,0 |
| 003844 | 1,0 |
| 003854 | 1,0 |
| 003863 | 1,5 |
| 003867 | 6,0 |
| 003870 | 6,0 |
| 003891 | 2,0 |
| 003899 | 1,0 |
| 003940 | 1,5 |
| 003958 | 5,0 |
| 003970 | 2,0 |
| 003987 | 2,5 |
| 004029 | 1,0 |
| 004067 | 2,0 |
| 004071 | 8,0 |
| 004082 | 1,0 |
| 004090 | 1,5 |
| 004091 | 1,0 |
| 004113 | 1,0 |
| 004118 | 4,5 |
| 004120 | 1,5 |
| 004162 | 1,0 |
| 004187 | 3,0 |
| 004200 | 1,5 |
| 004235 | 1,0 |
| 004266 | 1,0 |
| 004268 | 3,5 |
| 004284 | 2,0 |
| 004326 | 2,5 |
| 004334 | 3,5 |
| 004337 | 1,5 |
| 004362 | 1,0 |
| 004377 | 2,5 |
| 004389 | 1,5 |
| 004426 | 2,0 |
| 004439 | 2,0 |
| 004440 | 1,0 |
| 004455 | 1,5 |
| 004460 | 2,0 |
| 004493 | 1,5 |
| 004530 | 1,0 |
| 004550 | 1,0 |
| 004553 | 2,5 |
| 004572 | 3,0 |
| 004599 | 3,5 |
| 004604 | 1,5 |
| 004606 | 1,5 |
| 004614 | 1,5 |
| 004619 | 4,5 |
| 004647 | 2,0 |
| 004650 | 1,5 |
| 004663 | 7,0 |
| 004668 | 2,5 |
| 004670 | 2,5 |
| 004676 | 2,0 |
| 004695 | 2,0 |
| 004699 | 3,0 |
| 004702 | 1,5 |
| 004741 | 2,0 |
| 004755 | 4,5 |
| 004761 | 1,0 |
| 004765 | 3,5 |
| 004815 | 2,0 |
| 004834 | 2,0 |
| 004835 | 3,0 |
| 004865 | 1,0 |
| 004916 | 1,0 |
| 004920 | 2,0 |
| 004931 | 1,5 |
| 004935 | 6,0 |
| 004937 | 3,5 |
| 004938 | 6,0 |
| 004981 | 2,5 |
| 005008 | 1,0 |
| 005031 | 2,0 |
| 005041 | 1,5 |
| 005043 | 1,0 |
| 005118 | 2,0 |
| 005135 | 1,5 |
| 005139 | 1,5 |
| 005141 | 5,0 |
| 005157 | 2,0 |
| 005175 | 8,0 |
| 005182 | 1,0 |
| 005183 | 2,0 |
| 005189 | 3,0 |
| 005194 | 2,0 |
| 005205 | 1,0 |
| 005211 | 12,5 |
| 005224 | 1,0 |
| 005240 | 20,0 |
| 005242 | 1,5 |
| 005259 | 1,5 |
| 005261 | 4,5 |
| 005263 | 1,5 |
| 005267 | 1,5 |
| 005277 | 1,5 |
| 005295 | 15000,0 |
| 005298 | 2,0 |
| 005300 | 3,0 |
| 005303 | 3,0 |
| 005333 | 2,0 |
| 005335 | 2,0 |
| 005341 | 2,0 |
| 005385 | 20,0 |
| 005391 | 2,0 |
| 005396 | 3,5 |
| 005420 | 5,0 |
| 005424 | 4,0 |
| 005438 | 5,0 |
| 005443 | 1,5 |
| 005444 | 2,0 |
| 005450 | 2,5 |
| 005452 | 2,0 |
| 005491 | 2,5 |
| 005496 | 2,0 |
| 005511 | 4,5 |
| 005531 | 1,0 |
| 005554 | 1,5 |
| 005605 | 1,5 |
| 005609 | 2,0 |
| 005611 | 5,0 |
| 005621 | 1,5 |
| 005627 | 2,5 |
| 005638 | 1,0 |
| 005648 | 2,0 |
| 005657 | 1,5 |
| 005689 | 2,5 |
| 005694 | 1,0 |
| 005707 | 3,0 |
| 005722 | 50,0 |
| 005730 | 2,0 |
| 005749 | 2,0 |
| 005764 | 1,5 |
| 005786 | 2,0 |
| 005822 | 2,5 |
| 005851 | 2,0 |
| 005856 | 1,5 |
| 005863 | 1,0 |
| 005887 | 1,0 |
| 005896 | 8,0 |
| 005899 | 8,0 |
| 005901 | 1,5 |
| 005915 | 1,5 |
| 005936 | 1,5 |
| 005957 | 2,0 |
| 005990 | 1,5 |
| 005992 | 2,5 |
| 005996 | 1,5 |
| 006002 | 2,5 |
| 006032 | 1,5 |
| 006035 | 2,5 |
| 006065 | 1,5 |
| 006085 | 2,0 |
| 006087 | 1,5 |
| 006126 | 2,5 |
| 006134 | 1,5 |
| 006136 | 5,0 |
| 006216 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 006252 | 2,0 |
| 006275 | 2,0 |
| 006296 | 2,0 |
| 006821 | 1,5 |
| 006837 | 1,5 |
| 006854 | 2,0 |
| 006892 | 2,0 |
| 006940 | 10,0 |
| 006945 | 1,5 |
| 006958 | 2,0 |
| 006984 | 1,5 |
| 006989 | 5,0 |
| 007000 | 2,0 |
| 007007 | 3,5 |
| 007043 | 1,0 |
| 007050 | 1,5 |
| 007082 | 2,0 |
| 007108 | 1,0 |
| 007128 | 1,5 |
| 007139 | 2,0 |
| 007152 | 2,5 |
| 007156 | 1,5 |
| 007158 | 2,0 |
| 007180 | 2,0 |
| 007191 | 1,0 |
| 007205 | 1,5 |
| 007217 | 1,0 |
| 007227 | 2,0 |
| 007229 | 1,5 |
| 007230 | 2,0 |
| 007251 | 2,0 |
| 007269 | 2,0 |
| 007300 | 2,0 |
| 007303 | 1,5 |
| 007315 | 2,0 |
| 007323 | 2,0 |
| 007374 | 1,5 |
| 007383 | 1,5 |
| 007405 | 2,0 |
| 007411 | 2,0 |
| 007413 | 2,5 |
| 007415 | 1,5 |
| 007427 | 6,0 |
| 007432 | 1,5 |
| 007445 | 2,0 |
| 007452 | 1,5 |
| 007466 | 1,5 |
| 007483 | 1,5 |
| 007485 | 1,0 |
| 007524 | 1,0 |
| 007527 | 9,0 |
| 007528 | 1,0 |
| 007551 | 2,5 |
| 007560 | 40,0 |
| 007571 | 1,0 |
| 007593 | 1,5 |
| 007594 | 1,0 |
| 007602 | 1,0 |
| 007604 | 1,0 |
| 007612 | 4,0 |
| 007618 | 3,0 |
| 007655 | 3,0 |
| 007686 | 4,5 |
| 007697 | 3,5 |
| 007732 | 1,5 |
| 007753 | 8,0 |
| 007793 | 1,5 |
| 007795 | 2,0 |
| 007796 | 1,5 |
| 007813 | 1,5 |
| 007839 | 2,0 |
| 007844 | 2,0 |
| 007872 | 1,5 |
| 007880 | 1,5 |
| 007886 | 4,0 |
| 007892 | 1,5 |
| 007900 | 3,0 |
| 007915 | 9,0 |
| 007916 | 1,5 |
| 007920 | 1,5 |
| 007962 | 2,0 |
| 007965 | 1,5 |
| 007970 | 1,0 |
| 008004 | 1,0 |
| 008007 | 2,0 |
| 008009 | 3,0 |
| 008058 | 4,0 |
| 008072 | 2,5 |
| 008076 | 4,0 |
| 008083 | 3,5 |
| 008090 | 1,0 |
| 008094 | 1,0 |
| 008111 | 1,5 |
| 008129 | 2,5 |
| 008140 | 1,5 |
| 008143 | 3,5 |
| 008195 | 1,5 |
| 008197 | 2,0 |
| 008198 | 2,0 |
| 008231 | 4,0 |
| 008245 | 1,0 |
| 008276 | 1,0 |
| 008329 | 1,5 |
| 008353 | 8,0 |
| 008361 | 2,0 |
| 008408 | 1,0 |
| 008443 | 1,5 |
| 008471 | 2,0 |
| 008480 | 5,0 |
| 008515 | 4,5 |
| 008517 | 2,0 |
| 008525 | 2,5 |
| 008569 | 1,5 |
| 008622 | 1,0 |
| 008629 | 1,5 |
| 008670 | 1,0 |
| 008686 | 1,0 |
| 008690 | 1,5 |
| 008700 | 2,0 |
| 008709 | 1,0 |
| 008715 | 3,5 |
| 008716 | 2,0 |
| 008727 | 1,0 |
| 008732 | 7,0 |
| 008739 | 1,5 |
| 008741 | 2,0 |
| 008800 | 2,0 |
| 008839 | 3,0 |
| 008852 | 1,5 |
| 008910 | 1,0 |
| 008912 | 2,0 |
| 008949 | 2,5 |
| 008968 | 1,5 |
| 008974 | 2,0 |
| 008987 | 1,0 |
| 009004 | 2,5 |
| 009007 | 1,5 |
| 009010 | 1,5 |
| 009050 | 2,0 |
| 009054 | 2,0 |
| 009060 | 2,5 |
| 009061 | 2,0 |
| 009071 | 1,5 |
| 009077 | 2,0 |
| 009082 | 1,0 |
| 009090 | 3,5 |
| 009098 | 5,0 |
| 009107 | 1,5 |
| 009109 | 3,0 |
| 009119 | 8,0 |
| 009131 | 1,5 |
| 009133 | 1,5 |
| 009148 | 2,0 |
| 009160 | 5,0 |
| 009188 | 1,0 |
| 009203 | 1,5 |
| 009209 | 1,0 |
| 009215 | 1,5 |
| 009240 | 2,0 |
| 009241 | 1,0 |
| 009242 | 1,5 |
| 009251 | 1,0 |
| 009265 | 1,0 |
| 009270 | 9,0 |
| 009333 | 1,0 |
| 009341 | 2,0 |
| 009355 | 3,0 |
| 009394 | 4,0 |
| 009404 | 3,0 |
| 009409 | 2,0 |
| 009427 | 3,0 |
| 009442 | 1,0 |
| 009450 | 1,5 |
| 009488 | 2,0 |
| 009515 | 2,5 |
| 009572 | 6,0 |
